

გამოიცა მანგლელი მიტროზოლიტის  
ანანია ჯაფარიძის ლოცვა-კურთხევით

## წმიდა პეტრე იბერი

მეზუთე შევსებული გამოცემა

თბილისი  
2015



ღმ. ბერების ღმ. პეტრე იბერი  
— ქართველ წმინდანთა  
ცხოვრება-წამებათა  
გრებულიდან,  
ე.წ. ბერის  
გათოლიკოსის (1725-1737)  
გრებული.  
ხელნაწერი დაცულია  
ხელნაწერთა  
ეროვნულ ცენტრში  
(S-3269).


წმ. ბერების ღმ. პეტრე

St. Petre Iberi



წმ. მღვდელმოწამე კირიონ II და წმ. აღმსარებელი ამბროსი ხელაია.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, სიმონ ჯანაშიას სახელობის  
საქართველოს მუზეუმის ისტორიის მიმართულების ფონდი.



„საქართველოს ეკლესიას ცოდვად არ ჩაეთვლება, თუ ის აღადგენს  
თავის ძველ, მრავალსაუკუნების განმავლობაში შეწენარებულ  
დადგენილებას წმიდა შეტრე მაიუმელის ხსენებისას 2 დეკემბერში“.

წმიდა ამბროსი აღმსარებელი,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (+1927).

წმ. ამბროსი ხელაიას ხელნაწერის დედანი დაცულია  
წმინდანის შირად არქივში (მოგ ზაურია რაჭა-ლეჩხუმში, 2, გვ. 372),  
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.



წმ. გეორქი იბერი

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის პედლის ფრესკიდან  
გადმოხატული ნ. ჩუბინაშვილის მიერ 1845 წელს.

„პეტრექართველის მიერ დაარსებული მონასტერი საფეხნი იუვნინ  
ბერ-მონაზენებით, მოდიოდნენ იგინი სამშობლოში და თან მოჭქონდათ  
ქრისტიანობის და ეროვნული გრძნობის განმამტკიცებული სწავლა-  
მოძღვრება და საეკლესიო წიგნენი და არიგებდნენ ეკლესიებში.  
პეტრე თვით სთარგმნიდა და სწერდა ქართულ ენაზედ საღმრთო  
წერილს, აწერინებდა თავის მოწაფეებს მრავლად წირვა-ლოცვის  
დროს სახმარებულ წიგნებს. ესრეთ სათონ მოღვაწეობა ქართველ ბერ-  
მონაზონთა ჰალესტინის, ანტიოქიის, სინას მთის, ათონის მთის და  
სხვა მონასტრებიდან არ შეწყვეტილა თვით XVIII საუკუნეში“

წმიდა აღმშარებელი პოლივეგქოს ქარბელაშვილი, იერარქია საქართველოს  
ეკლესიისა, ეპთაღიუროსი და მღვდელმთავარნი, ტფილისი, 1890, გვ. 27-28.

„ჯერ კიდევ სიცოცხლეში შეტრე იძერი თავიანთ საამაზო  
ადამიანად მიაჩნდათ მონფიზიტებსაც (სირიელებს და სომხებს)  
და მართლმადიდებლებსაც (ბერმძნებს და ქართველებს), ხოლო  
ნეტარხსენებულის გარდაცვალების შემდეგ ერთმა მხარემაც და  
მეორემაც ერთდროულად თავის წმინდანთა დასხი ჩარიცხა“.

წმიდა მღვდელმოწამე კირიონ II,  
სრულიად საქართველოს ქათოლიკოს-პატრიარქი (+1918).  
(მწიგნობრობა ქართული, სახულისერო მწერლობა, ივერიის კულტურული  
როლი რუსეთის ისტორიაში, ტ. 11, თბილისი, 2011, გვ. 25).

ამ უდიდესი სასულიერო მოღვაწის ფრესკა გამოსახულია იერუ-  
სალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე, ხატი (XI - XII სს.) დაცულია  
სინას მთის წმიდა ეგატერინეს მონასტერში, ხოლო ორი მინიატურა  
წმ. შეტრე იძერის გამოსახულებით შესულია ქართულ-ბერმძნულ უნი-  
კალურ სელნაწერში (XIV - XV სს.), რომელიც შესრულდა ათონის  
წმინდა მთის ივერონის მონასტერში. სელნაწერს ანალოგი არ ეძებ-  
ნება მართმადიდებელ სამეაროში.

ქართველი ერი უნდა იცნობდეს თავის სახელოვან წინაპარს,  
ჸალესტინაში მოღვაწე იძერიელ უფლისწულს – „მთელ მსოფლიოში  
საკირველად სახელგანთქმულ კაცს“, რომელიც არის სამკაული და  
სიქადული ქართველთა და მეოხი მთელი ქვეყნიერების.

სიტუაცია, წარმოთქმული ციურისის უნივერსიტეტის  
ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის  
პროფესორ მასწავლებლებთან და სტუდენტებთან

„...მე-4 საუკუნიდან მოუღებული, საზღვარგარეთ მდე-  
ბარე ქართულ მონასტრებში საუკუნეთა მანძილზე იქმნებოდა და  
ითარგმნებოდა საქვეუნოდ აღიარებული სასულიერო, თუ საერო  
თხზულებანი. აღნიშნულ ქვეუნებში მრავალი სახელოვანი ქა-  
რთველი ღვთისმსახური იღვწოდა, რომელთა წარმოსახენად ორის  
დასახელებაც კმარა: მე-5 საუკუნის ქართველი წმინდა მამა ჰეტრე  
იბერი, იგივე ფსევდო-დიონისე არეოპაგელი, რომლის შრომებიც  
საფუძვლად დაედო შუასაუკუნეების მსოფლიოს ფილოსოფიურ-  
თეოლოგიურ აზროვნებას და უდიდესი გავლენა მოახდინა ახალი  
დროის მსოფლიმსედველობაზე, და იერუსალიმის ჯვრის მონას-  
ტრის გამამშვენებელი ბერი, გენიალური პოეტი შოთა რუსთავე-  
ლი, ავტორი უკვედავი პოემისა „ვეფხისტეაოსანი...“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
ილია II

## წინასიტყვაობა

მეცუთე საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნე, ფილოსოფოსი და ლვის მეტყველი პეტრე იბერი (411-491) იუთ ზალესტინაში მოღვაწე დიდი მღვდელმთავარი, ასევე და მეუდაბნოე, სირია-ზალესტინასა და ეგვიპტეში ეკლესია-მონასტრების მაშენებელი, უცხოეთში პირველი ქართული კოლონიისა და ქართველთა სამონასტრო ცხოვრების დამაარსებელი. უცხოეთში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებს მორის უძველესის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, იბერთა, იორ-დანიის უდაბნოში - ლაზთა მონასტრის მაშენებელი.

ეგვიპტის უდაბნოში, თებეს ნეკროპოლში აღმოჩენილი ეკლესია, როგორც მიქელ თარხნიშვილი მიიჩნევს, პეტრე იბერის მიერაა აშენებული (9, გვ. 5). მასვე აუგია ეკლესია სჩარსეთში წამებულ მარტვილთა სახელზე.

წმ. კირიონ II წერს, რომ წმ. საბას მონასტრის დაარსებას წმ. პეტრეს მიაკუთვნებენ (2, გვ. 25). პეტრე იბერისა და სხვა ზალესტინელი ქართველი მოღვაწეების დამსახურებაა, როგორც ამას საბა განწმენდილის ანდერმი მოწმობს, ქართველებს უფლება რომ ჰქონდათ ზალესტინის უდიდეს ლავრაში, სადაც ბერძნები იუგნენ გაბატონებული, ქართულად შეესრულებინათ ქამნობა, სამხრობა და წაეკითხათ სასარება და სამოციქულო (9, გვ. 45).

1952 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვ. კორბომ იორდანიის უდაბნოში აღმოაჩინა პეტრეს მიერ დაარსებული მონასტერი, რომლის იატაკიც პეტრე იბერს შეუძია ქართული წარწერებით. ისინი ნახევარი საუკუნით უსწორებენ დღემდე უველაზე მველად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებს. იორდანიის უდაბნოს მე-5 საუკუნის შესანიშნავი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განუსაზღვრელად დიდია - განაცხადა

აქადემიკოსმა გიორგი წერეთელმა.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ წმ ჰეტრეს სახელს უკავშირდება ქართველი (ე. წ. ასურელი) მამების (ჟურნალი „ივერია“, 1877, N14,15,16,17) ღირსი იოანე ზედაზნელისა და მისი 12 მოწაფის მოსკლა საქართველოში (38, გვ. 207). „მდინარე თერმოდონის დასავლეთით დალისამდის ცხოვრობდნენ კაბადუკიელები, - ნაწილი დიდი ერისა, რომელსაც უკავა მთელი დიდი კაბადუკია და უელი მცირე აზიის ნახევარუკუნძულისა, სადაც ხმარებაში იუო მხოლოდ ერთი კაბადუკიური ენა. სტრაბონის სიტყვით, უფრო წმინდა კაბადოკები იუგნენისინი, რომელნიც ცხოვრობდნენ კოლხიდიდან მდინარე ლალისამდე. ამ კაბადუკიელებს ბერძნები უწოდებდნენ „თეთრ სირიელებს“, ნამდგილი სირიელებისაგან გასარჩევად ...ამ ადგილის ქართველთაგანი იუგნენ წმ. ნინო და 13 მამანი სირიელებად წოდებული, რითაც აიხსნება მათი მოღვაწეობა საქართველოში. აქედანვე იუო წმ. გიორგი “(1, გვ.420).

ჰეტრე იბერი არის ზირველი ქართველი სასულიერო მოღვაწე, რომელმაც საერთაშორისო სახელი და დიდება მოიპოვა. დაუღალავი სამონასტრო და ზილიგრიმული მოღვაწეობით ისეთ სახელი გაითქვა, რომ მას სირია-ზალესტინისა და ეგვიპტის მონაზონთა ბურჯი უწოდეს. იმდროინდელი წერტილი ჰეტრეს ისენიებენ, როგორც „მთელ მსოფლიოში საკვირველად სახლვანთქმულ კაცეს“ (48, გვ.51). მას სტუმართმოუვარეობით ადარებენ ზატრიარქ აბრაამს. ჰეტრე და იოანე, განსაკუთრებით დღესასწაულებზე, ათ მაგიდასაც კი შლიდნენ და უველას თავად ემსახურებოდნენ (45, გვ. 291). ჰეტრეს ეცხადებოდა უფალი, მოციქულები მარკოზი და ჰეტრე.

ჰეტრე იბერი (ერისკაცობაში მურვანოსი) იუო ქართლის მეფის ვარაზ ბაკურის ძე. იგი ვახტანგ მეფის ახლო ნათესავი იუო და განხლდათ ფარნავაზიანთა იმავე მველ-ქართულ სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, რომელსაც ეკუთვნოდა ვახტანგ გორგასალი (29, გვ. 791). მურვანოსი დაიბადა 411 წელს ანგელოზის ხარებით „ვითარცა

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი



სამოელი და იქრებია“ და საშოთგანვე წმინდა იქმნა, ვითარცა დიდი წინამორბედი“ (43, გვ. 217). სამი წლის მურვანოსს სწავლა დააწევებინეს. იგი განსაკუთრებით გულმოდგინედ კითხულობდა წმიდა წერილს. იძერიელი უფლისწული, ოოგორც მმევალი, 12 წლიდან ბიზანტიის იმპერატორის, თეოდოსი მცირის, კარზე იზრდებოდა. მურვანოსს თან ახლდა მისი გამზრდელი, თავისი ღროის უგანათლებულესი ადამიანი, ფილოსოფოსი მითრიდატე ლაზი, ოომელმაც განათლება მიიღო კოლხეთის ცნობილ ტიტორიკულ სკოლაში (ფაზისის უმაღლესი ფილოსოფიური სკოლა). ეს სკოლა იმდენად მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა III-IV საუკუნეებში, ომ იქ განათლების მისაღებად მიღიოდნენ თვით გამოჩენილი ბიზანტიელი მოღვაწეებიც.

მე-4 საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი და ორატორი თემისტოისი წერს, რომ ფილოსოფიური განათლება მიიღო არა ელინურ ადგილას, არამედ ფაზისის (ფოთი) მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა, ოომლის შესახებაც ზოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ. წერილიდან ასევე ვიგებთ, რომ კოლხეთში, ფაზისის მახლობლად არსებულ აკადემიაში განათლება მიუღია თემისტოისის მამას, ევგენიოსს, ოომლიც შემდეგ ხდება ფილოსოფიის განთქმული მასწავლებელი კონსტანტინეპოლიში. მისივე თქმით კოლხეთი უაღრესად კულტურული ქვეყანაა და იგი მეცნიერებისა და სელოუნების ცენტრს (მისი ტერმინით „მუზების ტაბარს“) წარმოადგენს (11, გვ. 50).

სასახლეში ქართველი უფლისწულის აღზრდა-განათლებას მითორიდატე ლაზთან ერთად იმპერატორის მეუღლე, ევდოკია, ხელმძღვანელობდა. მურვანოსს თავისი ცოდნით და გონიერებით მეფე და სასახლის ფილოსოფოსები განცეიფრებაში მოჰყავდა. უფლისწულზე დათის მაღლი იქო დავანებული. მურვანოსი ღროის უმეტეს ნაწილს ლოცვასა და მარხვაში ატარებდა. მას გარედან ამშვენებდა მდიდრული სამოსი, შიგნით კი მამა ემოსა. იგი ხორცის სიმსურეალეს თრგუნავდა და „ცეცხლსა მას სულისასა განაძლიერებდა, ოომლის მოფენად

მოვიდა ქრისტე მე ღვთისა“, და ოოგორც წმ. მოციქული იტეოდა „უკველნი ნაუოფნი სულისანი შეიტებნა, ოომელ არიან წმიდანი სათნოებანი“. სიუკარული ღვთისადმი მურვანოსს სამშობლოდან, კეთილმორწმუნე მშობლებისგან გამოჰყა. ჰეტრეს ბაბუა ბაკურ დიდი გარდა იმისა, ოომ ლოცულობდა და მარხვას მკაცრად ინახავდა, კვირაში სამჯერ გვიდა ქალაქის ეკლესიას, გლასაკთა თავშესაფარში საჭმელები კალათებით თავად მიჭქონდა და შეუძლოდ მეოფებს თავისი ხელით აჭმევდა. ჰეტრეს დედა ბაკურდებული სოფლებში უმწეოთა თავშესაფრებს აგებდა, ბოლოს კი მონაზვნად აღიკვეცა... (46, გვ. 7-12). იბერიელ უფლისწულზე ღვთის მაღლი იუო დავანებული. მან ჯერ კიდევ უმაწვილმა ბიზანტიის სამეფო კარზე სასწაულები მოახდინა. ერთ-ერთი მათგანი იუო ზეთის გარეშე კანდელების წეალზე ან-თება, ოომლებიც 7 დღე-დამის განმავლობაში ენთო.

კეისრის კარზე ახალგაზრდა მურვანოსი ინიშნება მეფის კავალერიის უფროსად, რასაც მისმა ტანადობამაც შეუწეო ხელი. მას წინ ბრწყინვალე კარიერა ელოდა, მაგრამ მურვანოსს არ იზიდავდა სამეფო კარის ცხოვრება, სურდა თავი უფლისთვის მიემღვნა. ერთხელ, უფლისწულს უფალი ჩეგნი იესო ქრისტე გამოეცხადა მონაზვნის სამოსელში. ამ გამოცხადების შემდეგ მან მტკიცედ გადაწევიტა სასახლის დატოვება. მურვანოსმა და მითრიდატე ლაზმა, ოოგორც კი მარჯვე შემთხვევა მიეცათ, იმპერატორისაგან ფარულად კონსტანტინეპოლი დატოვეს და სამოდგაწეოდ შალესტინას მიაშერეს. იერუსალიმში მიმაგალთ გზას დამის სიბნელეში ნათლის სვეტი უნათებდა. იერუსალიმში უფლისწული მურვანოსი და მისი მასწავლებელი მითრიდატე ლაზი მაცხოვრის საფლავზე ბერებად აღიკვეცნენ. მურვანოსს ეწოდა ჰეტრე, მითრიდატეს იოანე.

ჰეტრემ და იოანემ სირია-ზალესტინასა და ეგვიპტეში მრავალი ეკლესია-მონასტერი დააარსეს. ოოგორც ჰეტრე იბერის ბიოგრაფი ზაქარია ქართველი გვამცნობს მას გამოცხადება ჰქონდა: ეგვიპტეში წმიდა ჰეტრეს მიერ აშენებული ტამარი წმიდა მარკოზ მახარებელმა

აკურთხა. წმიდა ბეტრე იბერს არაერთხელ ჰქონდა სილვა. იოანე მაიუმელი თავის წიგნში „პლეროფორიები“ მოგვითხოვს იმის შესახებ, თუ წმ. ბეტრე მოციქულმა როგორ აიყვანა წმ. ბეტრე იბერი მაღლობზე, უჩვენა ცაში დიდი ნათლის სივი და უთხრა: „აი მამა“ შემდეგ მეორე ნათელი (ძე) და შემდეგ მესამე (სული წმიდა). წმიდა ბეტრე მოციქულმა სილვაში წმიდა ბეტრე იბერს უჩვენა წმიდა სამება, რომელიც ერთარსობით და მთლიანობით შეუცნობელია, სამშიროვნებითა და განუოფით გამოვლენილი (47, გვ. 62; 38, გვ. 62).

ბეტრე ქართველი ფრიად სახელებანთქმული მწერალი უოფილა, მისი სახელით ზოგიერთი ბირი თავისი ნაწერების გაფრცელებასაც კი ცდილობდა (27, გვ. 21). იგი ავტორია დიდმნიშვნელოვანი წიგნებისა, ჩვენამდე ეს წიგნები არ არის მოღწეული (14, გვ. 733). თუმცა, ერთი ცნობით, თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) ბიბლიოთეკაში თითქოს უოფილა ბეტრეს მიერ თარგმნილი „სტიხის გრიგოლ ღვთისმეტეველისანი“ (10, გვ. 95).

ბეტრე იბერი არის ქრისტიანულ აღმოსავლეთსა და დასავლეთში კარგად ცნობილი ე.წ. არეოპაგიტული თხზულებების ავტორი. მან ამოავსო ის ჭარვები, რაც ანტიკურმა ფილოსოფიამ ვერ გადაჭრა. ქერძოდ, ნეოპლატონიზმი ქრისტიანულ საფუძველზე გადამუშავა (39, გვ. 135). არეოპაგიტული მოძღვრების ავტორად მიიჩნევდნენ დიონისე არეოპაგელს, რომელიც ჩვ.წ. I საუკუნეში ცხოვრობდა და ქრისტიანობაზე ბავლე მოციქულმა მოაქცია. მეცნიერებაში დაგროვდა უმრავი მტკიცებულება, რომ დიონისე არეოპაგელი არ იყო არეოპაგიტული თხზულებების ავტორი. დადგინდა, რომ ეს თხზულებები დაიწერა V საუკუნის დამდეგს ქალაქ ლაზის მახლობლად. თხუთმეტი საუკუნის შემდეგ საიდუმლოებით მოცული ავტორის ვინაობას მიაკვლია ქართველმა მეცნიერმა შ. ნუცუბმეგ. 1942 წელს მან წამოაუენა თეორია, რომ ავტორი არეოპაგიტული თხზულებების არის V საუკუნის დიდი ქართველი მოაზროვნე ბეტრე იბერი. ათი წლის დავვიანებით, 1952 წელს გერმანელმა მეცნიერმა ერნესტ ჰონიგ მანმა

შალვა ნუცებიძისაგან სრულიად დამოუკიდებლად იგივე თეორია წარმოადგენა.

აკადემიკოსი შალვა ნუცებიძის გამოკლევებით დადგინდა, რომ ზეტრე იბერიელმა შემღო ანტიკურ დროში დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემა, რითაც კაცობრიობას გზა გაუნათა ანტიკურობიდან რენესანსამდე. არეოპაგიტიკულმა მოძღვრებამ დიდი გავლენა მოახდინა შეა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზეც. ზეტრე იბერის შემოქმედებიდან იღებენ საწერს ეფრემ მცირის, იოანე ზეტრიწისა და შოთა რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმსედველობანი. არეოპაგიტიკული თხზულებები ქართულ ენაზე თარგმნა ეფრემ მცირემ. ამ პრობლემას პროფ. ს. ენუქეშვილმა მიუძღვნა თავისი კაპიტალური ნაშრომი გამოსცა ზეტრე იბერის (ფსევდოდიონისე არეოპაგელის) შრომების ეფრემ მცირესეული თარგმანი, რომელსაც დაურთო მონაცრაფიული გამოკლევა, ეფრემ მცირის კომენტარები და ლექსიკონი. შ. ნუცებიძისა და ე. ჭონიგმანის გამოკლევებს ეპრობელმა მეცნიერებმა „განსაკუთრებული აღმოჩენა“ უწოდეს.

აკადემიკოსი გურამ თევზაძე შენიშნავს, რომ დიდ ქართველ მოაზროვნეს, წმიდა ჰეტრე იბერს, თუნდაც მსოფლიდ იმით, რასაც მისი ბიოგრაფები გადმოგვცემენ, სრული ღირსება ჰქონდა იმისათვის, რომ „არეოპაგიტიკის“ შესაძლებელ ავტორთა სიაში უოფილიყო. მაგრამ ამის გარეშეც, მის მიერ წამოუწენებული პრინციპები, როგორც შიროვნების, თავისი თავის, კაცობრიობის და ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობის, მსოფლმსედველობის არსებითი ასზექტის წამოწევისათვის მას, მართლაც ეკუთვნის პატივი ჩაითვალოს საქართველოს სიამაჟედ და კაცობრიობის მეოხად (6, გვ. 22).

ისინი, რომელთაც სურთ ზეტრე იბერი მონაფიზიტად წარმოადგინონ, ერთ-ერთ მირითად საბუთად იშველიებენ იმ ფაქტს, რომ იგი ეპისკოპოსად იერუსალიმის ერეტიკოსი პატრიარქის თეოდოსის მიერ იუო ხელთდასხმული და რომ მას მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ალექსანდრიის მთავარეპისკოპოსად მონაფიზიტი ტიმოთე

ელურის ხელთდასხმაში. მონოფიზიტი ბიოგრაფის თხრობით ორივე ხელთდასხმა ძალადობის შედეგად მომხდარა (8, გვ. 64). ეკლესიის ისტორიაში არცუ ისე იშვიათია ფაქტები ერეტიკოსთაგან იმ ადამიანთა ეპისკოპოსებად ხელთდასხმისა, რომელიც შემდეგ ეკლესიაში წმინდანებად შერაცხა. მაგალითად წმ. მელეტი ანტიოქიელი და წმ. კირილე იერუსალიმელი ეპისკოპოსად მონოფიზიტობის ერესიარქმა დიოსკურებ აკურთხა. კონსტანტინეპოლის ჩატრიარქს, უწმინდეს გერმანეს, რომელიც ხატომებრმოლების წინააღმდეგ დაუდალავი მებრძოლი იყო, ხელთდასხმა მონოთელიტებისაგან მაშინ ჰქონდა მიღებული, როცა მათი ერესი უკვე კრების მიერ იყო განსჯილი (8, გვ. 183).

თვით მონოფიზიტი ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ ზეტრე, მაიუმის მოსახლეობის მოთხოვნით, მიუხედავად იმისა, რომ მან თავი ერეტიკოსად (ქალექონიტად) გამოაცხადა (46, გვ. 51), იმულებით, ეპისკოპოსად აკურთხეს (იგი იძოვეს უდაბნოში და რომ არ გაქცეული შებოჭეს და ასე შებოჭილი წაიუვანეს ჩატრიარქთან). კურთხევის შემდეგ ზეტრე წირვას არ ასრულებდა. მაიუმის მოსახლეობა, რადგან ეგონათ, რომ ის გაქცევაზე ფიქრობდა, დაემუქრა, რომ მასაც და ეკლესიასაც გადასწუვავდა, თუ ის მათ წირვას არ დაუუკებდა. მაშინ ზეტრეს სმა მოესმა: „შესწირე მსხვერპლი, რომ არ დაისაჯო იმ მონასავით, რომელმაც თავისი უფლის ტალანტი მიწაში ჩამარხა“. უფლის სმის გაგონებაზე მან დაიწუო ქამის წირვა და „რაჟამს განა წილა სორცი იგი ქრისტესი, აღივსო წმიდაი საკურთხეველი სისხლითა...“ (43, გვ. 242).

როცა იერუსალიმის მართლმადიდებელი ჰატრიარქი იუბენალი იმშერატორის ჯართან ერთად უკან დაბრუნდა, მან მონოფიზიტი ზატრიარქი თეოდოსის მიერ დასმული ერეტიკოსი მღვდელმთავრები გადააუენა ზეტრე იბერის გარდა. სამშერატორო კარის მოთხოვნით (დედოფლის სურვილით) სახელვანთქმული ზეტრე ხელუხლებელი დარჩა (48, გვ. 52). წმიდა დედოფალი ზულქერია ის ზიროვნება იყო გისაც უდიდესი წვლილი მიუძღვოდა ქალექონის კრების მომზა-

დებასა და დიოფიზიტების გამარჯვებაში. რელიგიური საკითხების თაობაზე მას გაცხოველებული მიწერ-მოწერა ჰქონდა ორმის ჰათან, ლეონთან, ოომელიც მართლმადიდებლებს მეთაურობდა ერეტიკოსებთან ბრძოლაში... მნელი დასაჯერებელია, ოომ ბიზანტიის დედოფალს, ოომლის მთელი ცხოვრებაც ჭეშმარიტი რწმენისათვის ერთგული სამსახურის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენდა, ხელი დაეფარებინა მისი სასახლის კარზე აღზრდილი ჰეტრე იბერისათვის, ის რომ მონოფიზიტი ეოფილიუო... ასე რომ ჰეტრე იბერი მაიუმის საეპისკოპოსო კათედრაზე არა დედოფლის მფარველობის, არამედ მართლმორწმუნების გამო დარჩა (8, გვ. 170).

კათოლიკე მისიონერებმა ხმა გაავრცელეს თითქოს ქეთევან დედოფალი კათოლიკედ აღესრულა (ისევე ოოგორც ჰეტრეს დაწამეს მონოფიზიტობა), მაგრამ ჰეტრე იბერისგან განსხვავდით, ქეთევან დედოფლის მართლმადიდებლობაში ეჭვი არავის შეუტანია.

წმიდა ჰეტრე იბერის გარდაცვალების შემდეგ მალევე მეექვსე საუკუნის დასაწეისში მისი ცხოვრება ასურულ ენაზე აღწერა მისმა მოსწავლე ზაქარია ქართველმა. ოოგორც მისი ანდერმიდან ვიგებთ იგი ნეტარ მამას საქართველოდან გამოჰყოლია და გარდაცვალებამდე მის გვერდით იუო. ასურულ ენაზე დაწერილი წმიდა ჰეტრეს ცხოვრება ქართულად გადმოთარებნა მაკარი მესხმა სავარაუდოდ XIII საუკუნეში. ზავლე დეკანობმა (XVს.) ნახა „ჰეტრე იბერის ცხოვრების“ თავბოლონაკლული და ფურცლებამლილი ნაწერები, აღადგინა და ბოლოს დაურთო თავისი ანდერმი. ანდერმიდან ვიგებთ, ოომ თხზულების შესაბამის ჰავლე დეკანოზს დაუწერია. ივანე ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, ოომ ჰეტრე იბერის ცხოვრება თანამემამულებისთვის, ქართულადაც იქნებოდა დაწერილი, მაგრამ ქამთა სიავეშ იმსხვერპლა (22, გვ. 202).

ქართულ ეკლესიაში თითქმის ათასწლეულის მანძილზე სანდოდ მიაჩნდათ ზაქარია ქართველის მიერ ასურულ ენაზე დაწერილი „ჰეტრეს ცხოვრება“. მისი ცნობით, ჰეტრე იუო თავდადებული ქალები დონიტი, მართლმადიდებელი (5, გვ. 14)

## სინას მთის წმ. ეგატერინეს მონასტრის

ოთხეარედი წატის მეორე ფრთაზე მესამე რიგში გამოსახულია წმ. ჟერემია იბერი, წმ. ილარიონ ქართველი და წმ. შიო მღვიმელი. მათ ამკობთ ეპითეტი „მნათობნი ქართველთანი“.



ჸირველი რიგი – მთავარანგელოზი მიქაელი მოციქულებთან ერთად, მეორე რიგი – მღვდელმთავრები: იოანე ოქრობირი, ბასილი დიდი და გრიგოლ ღვთისმეტეველი. მესამე რიგი – დიდმოწამები: თევდორე, გიორგი და თევდორე ტირონი

ჸირველი რიგი – მთავარანგელოზი გაბრიელი მოციქულებთან ერთად, მეორე რიგი – დიდი ასკეტი ბერები, წმიდანები: ანტონი, საბა და მაცეიონე. მესამე რიგში – ქართველი წმინდანები: ჟერემია, ილარიონი და შიო მღვიმელი. მათ ამკობთ ეპითეტი „მნათობნი ქართველთანი“.

## ოთხეკარედი (ტეტრაპტიიქონი) წატი (XI - XII სს.)



ჩირგველი რიგი – ვეღვების სცენა,  
მეორე რიგი – სასწაულომოქმედი მჯურ-  
ნალი წმინდანები: კოზმა, ბანტელეიმონი  
და დამიანე, მესამე რიგი – ქართველი ვან-  
ძანათლებლები, წმინდანები: იოანე, ექვ-  
თიმე და ვიორგი მთაწმინდელები. მათ ამ-  
კობთ ეჩითური „მნათობნი ქართველთან“.

შეტრე იბერიელი ქართველთაგან წმინდანად იუო შერაცხული და მას, როგორც მონოფიზიტ მოძღვარს, არავინ არ იცნობდა საქართველოში და არც არავინ სდევნიდა. ნ. მარი რომ შენიშნავს, პეტრეს მოსახსენებელი შეტანილია ვახტანგ VI-ის ბრძანებით 1710 წლის „ქამნში“, ხოლო 1722 წლისაში არაო, ეს შეტრეს დევნის გამო არ არის გამოწვეული, პეტრე არ მოიხსენება „ქამნის“ 1768 და 1791 წლების გამოცემებშიც, მაგრამ მისი მოუხსენებლობა გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული გამოცემები სხვადასხვა რედაქციისას და მათი შემდგენლებისათვის პეტრეს ვინაობა უცნობია, ანალოგიური ვითარება სხვა ქართველი წმინდანების მიმართაც შეინიშნება (მაგ., განა თამარ მეფე ან ქეთევან წამებული ეველა ქამნისა მოხსენიებული?) (21, გვ. 174).

„ადრე-ფეოდალიზმის სანაში ქართველები ისე გაფაციცებით ეცნობოდნენ სამონასტრო ცხოვრებისა და გამოჩენილ ასკეტთა მოღვაწეობის ამსახველ თხზულებებს, რომ საქართა ზაქარია ქართველის „პეტრეს ცხოვრება“ მათ უურადღებოთ დარჩენოდათ, რადგა ანაც იმსანად პეტრე საზღვარგარეთ (სირია-პალესტინაში) მოღვაწე ქართველებისთვის მისაბამი მეუდაბნოე უნდა ეოფილიეო. თვით საქართველოშიც, როდესაც ტაო-კლარჯეთში შენდებოდა ეკლესია-მონასტრები და მათი მაშენებლები მიემგზავრებოდნენ ზალესტინაში წმინდა ადგილების მოსახილვად და მოსალოცად, ცხადია, ისინი გაიგებდნენ თავიანთი თანამემამულის დიდებით მოსილ სახელს და ამდენად დაინტერესდებოდნენ ზაქარია ქართველის თხზულებითაც. პეტრეს ვინაობა და საქმიანობა, როგორც ჩვენი მეცნიერები (შ. ნუცუბიძე, ს. ენუქაშვილი) წერენ, ცნობილი უნდა ეოფილიეო ასურელი მამებისთვის, რომელნიც მეექვე საუგუნეში ჯერ სირია-პალესტინაში მოღვაწეობდნენ და შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ. საურადღებოა ისიც, რომ გრიგოლ სანძოელმა, პეტრე იბერიელის რანგისა და მასშტაბის მეუდაბნოემ, საბერძნეთში იმოგზაურა. შეუძლებელია, ის იქ პეტრეს ვინაობით არ დაინტერესებულიეო, მის რომელიმე მოწაფეს კი ბეთლემის

## XVI ს. ოვენტი (Q -661, 69 r)

შეტრექართველის სხენებაა 2 დეკემბერს - მიციალება შეტრექართველისა, რომელი იუო მე ვარაზ-ბაკურ მეფისა.

ქართველთა მონასტერი არ ენახა. გრიგოლსა და ბეტრეს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. ამიტომაც, ვფიქრობთ, იქნებ გიორგი მერჩულე, რომელმაც საუცხოოდ იცოდა ახლო-აღმოსავლეთის ქრისტიანული ლიტერატურა და ბიზანტიისა და სირია-პალესტინის სამონასტრო ცხოვრება, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ წერისას გაყინო „პეტრეს ცხოვრებას“, როგორც ერთ-ერთ დიდ აგიოგრაფიულ თხზულებას? ამისი ვარაუდის უფლებას იძლევა ის, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ მკრთალად ეტუბა „პეტრეს ცხოვრების“ გავლენის გვალი. ორივე ძეგლის აღნაგობა ერთნაირია: როგორც ზაქარია ქართველი, ისე გიორგი მერჩულე ჯერ მოგვითხრობენ შეტრესა და გრიგოლის ცხოვრებასა და მოქალაქობას, შემდეგ ერთმანეთზე მიწუბით აღწერენ მათ მიერ მოხდენილ სასწაულებს. ორივე ავტორი თავიანთ შერსონაჟებს მიაწერენ მჯდომის (იარის) უცბად განკურნების სასწაულს... ეოველივე თქმული გვაფიქრებინებს, რომ პეტრეს ვინაობა და მისი საქმიანობა აღრეფეოდალიზმის სანაში ქართველებისთვის ცნობილი უნდა ერთი უფლისების, მაგრამ თუ დღეს ამაზე ცნობები არ გაგვაჩნია, ეს იმის მიხედვია, რომ ამ ცნობების ერთი ნაწილი მონოფიზიტთა და დიოფიზიტთა ბრძოლის პროცესში მოისპოდა, მეორე ნაწილი ღროთა ვითარების მსხვერწლი გახდებოდა“ (21, გვ. 156-157).

გრიგოლ ხანძთელის (+862) უზარმაზარი საქმიანობისა და ღვაწლის შესახებ საქართველოში არავითარი ცნობა არ არსებობდა, სანამ ნიკო ჩუბინაშვილმა 1845 წ. იქრუსალიმის ქართველთა მონასტერში არ მიაკვლია მისი ცხოვრების შემცველ წელნაწერს, რომელიც ნიკო მარმა გამოსცა 1911 წ. (15, გვ. 440).

კ. გემელიძე აღნიშნავს, რომ რუსეთში უოფნისას ანტონ 1 მოამზადა „თუენის“ საკუთარი რედაქცია და მან მოსპო შეტრე იბერის სენების კვალი ქართველ ეკლესიაში (25, გვ. 238). „რუსეთში, ქ. ვლადიმირში უოფნისას ანტონ I დაამუშავა ახალი რედაქცია „თუ-ენისა“, რომელიც შეაჯერა რუსულ ტექსტთან, ანტონი ამ შრომას

„გეტრე ქართველის ერთი უელაზე აღრინდელი სენება გიორგი მთაწმინდელის „დიდი სფინაქსარის“ (XI ს) ერთ-ერთი ნუსხის (A-193, 82 გ) აშიაზეა მიწერილი მირითად ტექსტითან შედარებით გვიანდელი ხელით 2 დეკემბერს – ამასვე დღესა წმიდანისა და ნეტარისანი მამისა ჩვენისა გეტრე ქართველისაი, რომელი იუო ძე ქართველთა ბატონისაი (ე. გაბიძაშვილი, შრომები, ტ.1, 2010, გვ431).

ამლევდა კანონიკურ ხასიათს. მას უნდა შეცვალა სხვა უოგელგვარი წინათ არსებული რედაქცია ქართული „თუენისა“. ანტონი 1763 წლის მეორე ნახევარში რუსეთიდან საქართველოში მოემგზავრება, როგორც თავის უფლებებში აღდგენილი მწევმსმთავარი საქართველოსი (24, გვ. 114). ანტონმა რუსეთში კოფნის დროს გადაათვალიერა თითქმის უველა საღვთისმსახურო წიგნები, შეადარა რუსულს და იმათ ეაიდაზე ჩამოასხა. ანტონმა შეასწორა, მაგალითად, კონდაკი, პარაკლიტონი, ტიბიკონი, მღვდელ-მთავრის კურთხევის წესი და სხვ. მაგრამ უველაზე მეტი შრომა მან დასდო საღდესასწაულოს ანუ თუენის შეასწორებაზე (23, გვ. 2).

შეტრე იბერზე არსებობს მდიდარი ლიტერატურა როგორც ქართული, ისე უცხოურ ენებზე. „შეტრეს ცხოვრება“ შეტანილი ყოფილა „ქართველ წმიდა მამათა ცხოვრებათა კრებულში“, რომელიც შიო მღვიმის მონასტერში კოფილა დაცული (13, გვ. 153).

ჩენი კულტურის ისტორიისთვის მაღზე საურადღებო ფეტრულ მასალას წარმადგენს სინაზე დაცული ქართულ წარტერიანი ხატები. მათ შორის აღსანიშნავია ოთხეარედი ხატი. ამ ხატზე (XI - XII ს.) მაცხოვართან, ღვთისმშობელთან, იოანე ნათლისმცემელთან და სხვა წმინდანებთან ერთად გამოსახულნი არიან წმ. შეტრე, წმ. ილარიონი და წმ. შიო მღვიმელი. მათ ამკომბ ებითეტი „მნათობნი ქართველთანი“ (იხ. გვ. 16-17). ვ. ბენეშვიჩმა ხატი დაათარიღა XII საუკუნით (49, გვ. 43, სურ. 22).

ქართულ ეკლესიას მრავალი წმინდანი ჰყავს, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ უველას არა აქვს აგიოგრაფიული საკითხავები, ცხოვრებანი, საგალობლები და სხვა. ამ შრივ შეტრე იბერის საეკლესიო-ლიტურგიული საკითხავები მთლიანად სრულყოფილია (5, გვ. 18).

შეტრე ქართველის ერთი უველაზე აღრინდელი ხსენება „დიდი სვინაქსარის“ (A-193, XI ს.) ერთ ერთი ნუსხით აშიაზე მიწერილია ძირითად ტექსტთან შედარებით გვიანდელი ხელით 2 დეკმბერს, XVI ს. თვენში (Q - 661, 69 r) შეტრე ქართველის ხსენებაა 2 დეკემბერს - მიცვალება შეტრე ქართველისა, რომელი იყო მე ვარაზ-ბაკურ მეფისა. 1661 წლის ქამნგულანში (H-342, 130 r) შეტრე ქართველი იხსენიება 3 დეკემბერს. ასევე 3 დეკემბერს არის ხსენება შეტრე ქართველისა წინასწარმეტეულისა XVII-XVIII სს. წმინდანთა კალენდრული ხსენების კრებულში (Q - 646, 14 r) (15, გვ. 431).

ქართულ ეკლესიას შეტრე იბერის მართლმადიდებლობაში ოდნა-



წმ. ჰეტრე იბერის მიწინდატურული გამოსახულება.  
1742წ. სადღესასწაულო\*.

\* სადღესასწაულო შედგება წმინდანთა სვინაჭსარული (ძოქლედ აღწერილი) ცხოვრებისა და საგალობლებისგან. სადღესასწაულო იყითხება წმინდანთა ხსენების (დღეებში) დღესასწაულებზე ღვთისმსახურებისას (35. გვ. 44).

ვი ეჭვიც კი არ შექონდა. ეს იქედანაც ჩანს, რომ გასტანგ VI-ის მიერ მოწევულმა სწავლულ კაცთა კომისიამ „ქართლის ცხოვრებაში“ ჰეტრე იძერის ცხოვრება შეიტანა. ჰეტრე იძერის სინაქსარული ცხოვრების შირველი ნუსხა მოთავსებულია 1703-1715წწ. გადაწერილი გულანის (A - 111) სინაქსარულ ნაწილში, მეორე კი - ცენტრალური არქივის 459, 1739 წ. ხელნაწერში (42, გვ. 187). სადღესასწაულო ჰეტრე იძერის მინიატურული გამოსახულებით თარიღდება 1742 წლით. მას ჩვენ ვხვდებით ალექსი მესხიშვილის 1758 წლის თვენში (A - 1093) (25, გვ. 238). ხოლო რაც შეეხება ქართულ საეკლესიო ისტორიოგრაფიას (რომლის დასკვნითი შრომები ჩანართის სახით შექმნდათ „ქართლის ცხოვრების“ კრებულებში), იგი ჰეტრეს მიიჩნევდა ქალგედონიტად. ერთი ასეთი ბოლო კრებული „ქართლის ცხოვრებისა“ 1839 წლითაა დათარიღებული (5, გვ. 16).

წმიდა ამბობსი ხელაიას რაჭის სოფელ მიქალწმიდის მთავარანგელოზ მიქალის სახელობის ეკლესიაში სხვა სიძველეებთან ერთად უნახავს ხეცური ხელნაწერი (სავარაუდო XVII-XVIII ს.). ხელნაწერი უძღია, აკლია 99 ფურცელი, დარჩენილია 145. ათონის ივერიის მონასტრის ტიბიკონს უგავია ხელნაწერის 27 ფურცელი. ხელნაწერში ასევე დაცულია „ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდასა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ზეტრე ქართველისა, რომელი იყო ძე ქართველთა მეფისა“. მინაწერი ტექსტის ხელით: „შეიწეალე ამბროსე და მეოს უქმენ წინაშე ქრისტესა ამბობსის, მშობელთა და ნათესავთა მისთა, ამინ უკუნისამდე“, ასევე აქვს მინაწერი „ფრიად ცოდვილსა და გლახაქსა ამა წიგნისა მწერალსა დიმიტრის და მშობელთა მისთა მეოს ექავ, ზეტრე ქართველო, წინაშე ქრისტესა.“ მიქალწმიდის ხელნაწერის მინაწერებში მოხსენებული ამბობს ჩვენის აზრით არის ის ამბობსი, რომელიც სამცხის ათაბაგ მა მზეპაბექმა ათონის ივერიის მონასტერში დიდის შეწირულობით გაგზავნა და რომელიც თავის თავს უწოდებს ათაბაგ ქაიხოსროს აღზრდილად. ეს ამბობსი ცხოვრობდა მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-16 საუკუნის დასაწყისში, ხოლო ჩვენი ხელნაწერი, ალბათ, გადაწერილია ვინმე დიმიტრისაგან მისი ბრძანებით (1, გვ. 402-405). პოლფესორი მიხეილ ქავთარია და დოქტორი ელენე გავლელაშვილი გამოთქამენ გარაუდს, რომ ხელნაწერი, რომელმაც შემოგვინახა ზეტრე ქართველის ცხოვრება დაწერილი უნდა იყოს ათონის წმიდა მთის

პეტრე იბერი, საქართველოს ეპარქიის 1971 წლის კალენდერი  
 Petre Iberi in the Georgian Apostolic Orthodox Church Calendar, 1971.



1971 წლის საქართველოს კალენდარი, რომელიც გამოიცა  
 საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფურეტის ქადაგის  
 დაბადებისა შემდეგი მინიატიურული გამოსახულებისა.

ივერიონის მონასტერში, რაღგანაც ხელნაწერის 27 ფურცელი უკავია ათონის წმიდა მთის ივერიონის მონასტრის ტიბიკონს.

კათოლიკოსი ქირიონ II და კათოლიკოსი ამბროსი ხელაია ცდილობდნენ ჩეტრეს წმინდანად ხელახლა დაკანონებას, როგორც ცნობილია, ორივე ტრაგიკულად დაიღუპა. ჰირველი ქართული ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917) ერთი წლის შემდეგ, ხოლო მეორე, საბჭოთა იმპერიის სახით საქართველოში ხელახლა გაბატონებულ რუსეთში 1827 წ. დღეს ეკლესიაში მზადდება დიდი მოაზროვნისა და მორწმუნის - შეტრე იბერის წმინდანად აღდგენა (7, გვ. 25).

მაშინ, როდესაც XX საუკუნის ქართული ათეისტური მეცნიერება, სამწუხაოდ, უკველგვარი კვლევის გარეშე, ზეტრე იბერის მონაფიზიტად მიიჩნევდა, ამ დროს, 1971 წლის საკლესიო კალენდარში, რომელიც გამოიცა სრულიად საქართველოს კათოლიკურ-პატრიარქის ეფრემ II-ის ლოცვა-კურთხევით, დაიბეჭდა ზეტრე იბერის მინიატურული გამოსახულება.

ზეტრე იბერი არის ერთადერთი ქართველი სასულიერო მოღვაწე (მიუხედავად იმისა, რომ წმინდანის ნეტარი აღსასრულიდან თხუთმეტი საუკუნე გავიდა), რომლის მიმართ დღესაც დიდი ინტერესია საზღვარგარეთ. ოქსფორდის უნივერსიტეტში გახსნილია კათედრა, რომლის მეცნიერ-თანამშრომლების კვლევის საგანს წარმოადგენს ზეტრეს ცხოვრება და მოღვაწეობა.

დიდ ზეტრეს უცხოეთში მოღვაწეობისას არ ავიწედებოდა ის დიდი სულიერი მისია, რომელიც მას უფალმა დააკისრა. იგი იოანე ლაზარე და ქართველი ერის სხვა საუკეთესო შეილებთან ერთად დღენიადაგ იღენდა სირია-პალესტინაში ქართული სალიტერატურო და სამონასტრო კერძების შექმნისათვის, და როგორც აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა განაცხადა, წმინდა ადგილებში მოღვაწეობით მას ქართული ენა და ქართული კულტურა საერთაშორისო სარჩიელზე გაჰქიმდა.

საქართველოს სამოციულო ეკლესიაში დიდი სულიერი ღვაწლისათვის ქვეუნისა და ეკლესის წინაშე ზეტრე იბერის უწოდა მნათობი ქართველი ერისა და მეოხი მთელი ქვეუნიერების.

## იერუსალიმის ჯვრის მონასტერი

საქართველოს სახელმწიფო 50-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი ჰქონდა. მარტო წმიდა მიწაზე ქართველთა სახელთან არის დაკავშირებული 35 მონასტერი (36, გვ 104), რომელთა შორის ჯვრის მონასტერს გამორჩეული ადგილი უკავია. იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ერთ-ერთი უნიჭეველოვანესი რელიგიური და კულტურულ-სამწიგნობრივ ცენტრია, რომელიც ოდესმე დაუარსებია ქართველებს (36, გვ. 106).

სამწუხაროდ, ცოტამ თუ იცის, რომ ზეტრე იბერი არის იერუსალიმში ჯვრის მონასტრის მაშენებელი, რომელიც სახელმწიფო არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტერს შორის უძველესია.

წმიდა აღმსარებელი პოლიეკტოს კარბელაშვილი წერს: „...ზეტრემ გამორჩეულა ერმათა სასწავლო სკოლები, დააარსა მონასტერი ანტიოქიაში (საკვირველ მთაზე), სასტუმრონი და ქსენონნი და ბოლოს მირიანის მიერ დაწესებულ და თავის მიერ გამშვენებულ ჯვარის მონასტერში დაბინავდა, სადაც შობიდან 65 წლისა 477 წელს (3, გვ. 27). უძველესი ღროიდან მოუღლებული ჯვრის მონასტერი ქართველთა მონასტრის სახელითაა ცნობილი. მონასტერს მეექსე საუკუნეში ეწოდა ჯვრის მონასტერი (16, გვ. 13). ამჟამად, ბერმნები დაეპატრონნენ მონასტერს. ისინი ცდილობენ ამ სავანის ქართული წარმოშობის კვალის წაშლას.

ჯვრის მონასტრის ეზოში არის ბიბლიური წმიდა ლოთის მდგიმე (36, გვ. 106). აღმოსავლეთის გადმოცემები და ერთი სირიული აზოვრიფული წერილი მოვალეობის შემდეგას: ლოთია, თავისი მმიმე ცოდვა აღიარა ბიძამისთან, აბრაამ მამამთავრის წინაშე (ძვ. აღთქმა. წიგნის შექმნისა. 19:30-37). აბრაამმა ცეცხლიდან გამოიღო სამი მუგუზალი: კვიპაროსის, ნაძვისა და სოჭის. მან ურჩია ლოთს დაერგო და მოერწეა. თუ ისინი იხარებდნენ და გაიზრდებოდნენ ეს იქნებოდა ნიშანი უფლიდან მმიმე ცოდვის მიტევებისა. მოხდა სასწავლი. ეს მუ-

გუჩალები არათუ განედლდნენ, არამედ დროთა განმავლობაში სასწაულებრივად შეერთდნენ და ერთ დიდ ხედ აღმოცენდნენ. სოლომონის ტაძრის შენებლობის დროს სე მოჭრეს, მაგრამ საშენ მასალად აღარ გამოიყენეს. ამ სისვან გაეკეთდა ჯვარი, რომელზეც ჯვარწმულიქნა უფალი ჩვენი იესო ქრისტე. ტიმოთე გაბაშვილი, XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე, რომელმაც იერუსალიმი მოილოდა 1775 წელს, ამბობს: „და აწცა აჩნია მოკვეთილისა მის სისა ძირი“ (34, გვ. 121).

სამონასტრო ადგილი შემთხვევით რომ არ შეირჩა, არქეოლოგიურმა გათხრებმაც უჩვენეს. პირველი საუკუნიდან მოუღლებული ქართველთა სამონასტრო ცნოვებია რომ ვითარდებოდა პალესტინაში ეს ჩანს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ზეთისხილის ბაღში უძველესი კატაკომბების არსებობით, რომელიც ქართველ მონაზონთა სამგალეთ ითვლებოდა. კატაკომბებია თვით მონასტრის ქვეშაც კლდეში, სადაც ჩასვლა ეზოში არსებული გვირაბით შეიძლება. მირიან მეფეებს ადგილი იმპერატორი კონსტანტინესაგან მიიღო საჩუქრად. მირიან მეფეებს აშენებული ტაძარი V საუკუნეში ჰეტრე იბერს განუახლებია მეფე ვაჩტანგ გორგასლის ფინანსური დახმარებით. არაბების ბატონობის სანაში ჯვრის მონასტერი რამდენჯერმე დაინგრა. XI საუკუნის დასაწესში იგი აღადგინა გიორგი-ზროხორე შავშელმა. ბაგრატ IV-ის (980-1044) ფინანსური დახმარებით. ჯვრის მონასტრის უძველეს ფენაში აღმოჩნდა მოზაიკის იატაკის ფრაგმენტები, რომელსაც IV-V საუკუნეებით ათარიღებენ (16, გვ. 17).

ჯვრის მონასტრის მთავარი ეკლესია თავისი არქიტექტურით, მოხატულობითა და იატაკის მოზაიკით, გამოირჩეოდა წმინდა მიწის სხვა მონასტრებისგან. იქ მოღვაწე ქართველები, უაღრესად რთულ ვითარებაშიც კი დიდ უურადღებას უთმობდნენ ჯვრის მონასტრის მორთვა-მოკაზმვას და მოხატვას. „შემორჩენილი ფრესკები უნიკალურია მთელ პალესტინაში“ – აღნიშნავდა ფილოსოფიის დოქტორი ვ. ცაფერისი (16, გვ. 74). ჯვრის მონასტერს ჰქონდა საკუთარი დღესას-

წაული – წმიდა ჯვრის დასამზადებელი ხის მოჭრის დღე. მონასტერში ინახებოდა სახელგანთქმული ოელიქვია, წმიდა ბარბარეს ხელი (16, გვ. 71-72).


მონასტერი ომ ქართველებმა დააარსეს და მათვე აღადგინეს ეს კარგად ჩანდა მონასტრის დასაცლეთ კედლის ფრესკებზე, სადაც გამოსახული იყენება: მეფე მირიანი, გამტანგ გორგასალი და წმიდა პეტრე იბერი. იმპერატორი კონსტანტინე და მისი დედა ელენე, ბაგრატ IV, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები და პროხორე შავშელი. მირიანი, ომელმაც იმპერატორი კონსტანტინესაგან საჩუქრად მიიღო ეს ადგილი, გამტანგ გორგასალი – დამფინანსებელი და პეტრე იბერი – აღმშენებელი, მონასტრის აღდგენის ინიციატორები – ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ბაგრატ IV – დამფინანსებელი და გიორგი პროხორე – აღმდგენელი (16, გვ. 16).

შეტრე იბერის ფრესკა რომ გამოსახულია იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის კედელზე, მასზე ცნობას იძლევა ნ. ჩუბინაშვილი, ომელმაც 1845 წელს იმოგზაურა წმიდა ადგილების მოსალოცად იერუსალიმში. იგი წერს: „ხატია პეტრე ქართველი და მის შირდაპირ სქემოსანი მონაზონი, თვალებაკრული... (21, გვ. 173). შეტრეს პორტრეტი დახატული ჩანს 1643 წელს, ჯვრის მონასტრის მხატვრობის განახლების დროს (21, გვ. 45-46).

კარის ჭრილის მარჯვენა მხარეს, ბერმძული წარწერის ქვეშ გამოსახული პეტრე იბერის პორტრეტის ადგილის მიხედვით ძალიან კარგად იკვეთება ტაძრის კედლებზე ფრესკების ადგილების მიმჩენის ჩანაფიქრი: ეჩვენებინა პეტრე იბერის უდიდესი ღვაწლი, როგორც მონასტრის დამაარსებლისა. კარიდან მარჯვენა მხარეს, პეტრე იბერის ფრესკის მახლობლად, იუო ჯვრის მონასტრის ქტიოტორების, მეფეების - მირიანის, გამტანგ გორგასლის და ბაგრატ IV-ის ფრესკები. ფრესკებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. მაგრამ მათზე წარმოდგენა გვაქვს ტ. გაბაშვილისა და ნ. ჩუბინაშვილის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი შავ-თეთრი ასლებით (16, გვ. 75-76). იერუ-

სალიმის ბერძნული საპატრიარქოს მუზეუმის კურატორი, ფილოსო-  
ფიის დოქტორი ვ. ცაფერისისი წერს: „ჯვრის მონასტერი აღადგინა  
შრომით, იძერიელმა ბერძა ათონის მთიდან, იერუსალიმის საპა-  
ტრიარქოს თანხმობითა და იძერის მეფე ბაგრატ IV-ის (980-1044)  
ფინანსური დამხმარებით. „მაგრამ ეს მონასტერი თუ ბერძნული იყო  
და მათვე ეკუთვნოდათ, მაშინ ქართველებს რატომ უნდა აღადგინათ  
იგი? ანდა ბერძნები რატომ დაუთმობდნენ ქართველებს ასეთი დიდი  
მნიშვნელობის ქონების მონასტრის აღდგენის უფლებას? ჩასუხი ერთ-  
მნიშვნელოვანია: მონასტერი დაარსებული იყო ქართველების მიერ.  
ამიტომ მათ გამოიენეს კანონიერი უფლება და აღადგინეს ქართული  
ქრისტიანული კულტურის ეს უძნიშვნელოვანესი კერა (17, გვ 14).

გთავაზობთ ნაწევეტს ირაკლი აბაშიძის წიგნიდან „პალესტინის  
დღიური“. ... სამასი წელი მაინც იქნება ქართველთაგან აյ არავის  
უგალობნია. შემოვიდა მონასტრის ახალგაზრდა დიაკვანი ბიკენტი-  
ოსი, მოგვისმინა, აგვიომ-დაგვზომა, და წენარად თქვა: მონასტრის  
ნამდვილ და მეულ ჰატრონებს დღესა ვხედავო. ეს ასალგაზრდა კაწი  
მოგვეწონა, რომელიც, აგერ, იერუსალიმის უნივერსიტეტის არქ-  
იტექტორული ფაკულტეტის სტუდენტი უფილა. აკაკი შანიძე და  
გიორგი წერეთელი პირდაპირ დაშეულებივით მიეჭრნენ კედლებს,  
ფრესკებს, წარწერებს. მე მონასტრის საყდრის ცენტრში ვდგავარ და  
ვათვალიერებ ირგვლივ ერველივეს, ავცერი გუმბათს, დავცერი იატ-  
აკს „იატაკი მოფენილია მოზაიკითა, ანუ ფერადის მარმარილოთი,  
რომელზედაც შესავალთან სტოაში ეკლესიის კარების წინ მოსჩანან  
ცხადად შავი ნიშნები – ვითარცა კვალნი სისხლისა აյ მოწყვეტილთა  
ქრისტეს სარწმუნოებისათვის მონაზონთა სარკინოზთაგან“, ... აი  
ეს კვალიც, იატაკზე მოზაიკის კენტებში მტკიცედ ჩამხმარი ქართ-  
ველთა სისხლის კვალი აქა-იქ ნისლებივით ჩანს. როდინდელია?, ვი-  
სია?... და ზედ ცენტრში ამ უცნაური ნისლების შუაგულში იატაკში  
ჩაჭერილი ლითონის დისკო შევნიშნე, ზედ ქართული ასომთავრული  
წარწერით. სწრაფად გაფარახე კედლების წარწერებითა და ფრესკებით  
გართულ აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელს. ისინც მოვიდნენ,



ჯვრის მონასტრის ქადაგების, მეფეების – მირიანის,  
ვახტანგ გორგასლის და ბაგრატ IV-ის ფრესკებმა  
ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ მათზე წარმოდგენა გვაქვს  
ნ. ჩუბინაშვილის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი შეკ-  
თეთრი ასლებით (16, №7)

ამოვიკითხეთ: „დექით მტკიცედ და შეურეველად“...დღეისათვის დისკო  
ადარ არის თავის ადგილზე, რადგანაც ბერძნებმა იგი ამოიღეს იატა-  
კიდან და მონასტრის მუზეუმში გადაიტანეს. საკურთხევლის წინ, ია-  
ტაკზე შესანიშნავი მოზაიკური სურათები: ფარშავანგები, თევზები... რა  
შეცველილა ჯვარის მონასტერში ჩვენს საუკუნეში ქართული კულტურის  
ძეგლთაგან, ქართულ წეაროთაგან, ქართულის კვალისაგან ყოფილ  
ქართულ ჯვარის მონასტერში, იერუსალიმში? აღარაფერი. თითქმის  
აღარაფერი, გარდა რამდენიმე ფრესკისა და კვედლის ორიოდე წარწე-



ဝေမျက်နှာပြန်ရန် အတွက် မြန်မာနိုင်ငံ၏ ပြည်သူ့ အမြန်ဆုံး လုပ်ငန်းများ

რისა, ხოლო განთქმული ქართული ხელნაწერების მეცნიერების ბიბლიოთე-  
კის ნაგვალევიც კი ჯვარის მონასტერში აღარა ჩანს. აქ ლაპარაკია არა  
მარტო მეცნიერების ქართულ ხელნაწერებზე, არამედ საერთოდ ერველგვარ  
ხელნაწერებზე. მაგალითად, ვთქვათ არაბულ და ბერძნულ ხელნაწერებ-  
ზე, რომლებითაც ქართველი მოღვაწენი სარგებლობდნენ იერუსალიმში.  
ამის თაობაზე ნიკო მარი წერს: „მუსულმანების, მათ შორის ეგიპტელი  
მამლუქების დამოკიდებულება ქართველებთან შეეძლო ნათელებულ არა-  
ბულ დოკუმენტებს, რომლებიც იერუსალიმის მართლმადიდებელი საპ-  
ატრიანქოს არქივში ინახება.

... საკურთხეველში ორისავე მხარეს კედლები ახლად შელესილია  
თეთრად. ცხადია, აქ ქართველთა წმინდანების სახენი წაშლილი და და-  
ფარულია. მე რომ გულმწუხარედ უუკურებდი ესე ვითარს მტარებალობა-  
სა და გავუზიარე ჩემის სულის მჭმუწვარება რუსის დეკანოზს, რომელ-  
მაც ჰყითხა ეკლესის მოსამსახურე ბერძენის: ეს კედლები ნახევრად რად  
არის გათეთრებულიო? უგუნურმა მოგვიგო: ეს ოსმალთ გაათეთრესო,  
თითქოს ოსმალთათვის ერთი და იგივე არ იუს ბერძენთა და ქართველ-  
თა წმინდანები? ტრაზეზის ქვეშ არის ირგვლივ ნაჩევნები ადგილი, რო-  
მელზედაც მოუქრიათ სამგზის სანატორელი სე ქრისტეს ჯვარწმისათვის.  
მასზე ბერძნული წარწერა დარჩენილა და ქართული აღმოუფხვრიათ.  
მხილველს ამ ბოროტმოქმედებისა უნებურად მოგვაგონდება ფსალმუ-  
ნის სიტყვანი: „საჯენ უფალო მავნებელნი ჩვენი და პირმოდე მომოლთა  
ჩვენთა“. ასეთი იუო მდგომარეობა ჯვარის მონასტერში გასული საუკუ-  
ნის მიწურულში.

...ქანტოზულოსი ვირთხასაგით შემვრა საკურთხეველში. ტრაზეზის  
ბირში, იქ სადაც ქრისტეს ჯვარის ლეგენდარული სის ბირია, ფარულად  
ღრმად გამოკვეთილ ქაში მოთავსებული იყო ვერცხლის უჟთი, რომელ-  
ში დიდი ოქროს ჯვარი იდო, ძვირფასი თვალ-მარგალიტით მოოჭვილი.  
ეს ჯვარი 1643 წელს შეუწირავს მონასტერისათვის ლევან დადიანის და-  
ვალებით ჯვარის მამას ნიკიფორე ჩოლოვაშვილს. ქანტოზულოსიც იქ  
მივიდა და თავისთან მიიხმო პატრიარქის თანმხლები არქიმანდრიტები  
ქრისანთი და ვასილი. სხვათა შორის, ეს ჯვარი და მასზე ქართული წარ-  
წერა აღწერილი და შესწავლილი არა აქვს არც ცაგარელს და არც სხვა

ქართველ მოგზაურთ. ეტეობა იგი ჩვენამდე ცნობილი არ იყო. და უცემა არქიმანდრიტ ქრისანთის ხელში გაიღება ამ უნიკალურმა კერცხლის უფთა ქართული წარწერებით, ძვირფასი თველებით მოჭედილმა ოქროს ჯვარმა. ჩვენ დაბეჭითებით მოვითხოვეთ არ წაეღოთ ადგილიდან ეს ჯვარი, რომელიც ჯერ მცნიერულად შესწავლილი არაა; ეს მათ სასაცილოდაც კი არ ეუთ. მოიტაცეს ძვირფასი, ხელოვნების უნიკალური ნაწარმოები, დღემდე უცნობი ქართული წარწერით და სწრაფად ჩასხდნენ მანქანაში.

ვინ იცის, სად გაიყიდება უბრალო ოქროდ უმეტესი, უნიკალური ნიმუში სახელგანთქმული ქართული ოქრომშედლობისა! (20, გვ. 21-46).

... „მაქსიმე აღმსარებელი“, „იოანე დამასკელი“ — გიორგი წერეთველი კითხულობს ბერძნულად... ოოგორც ჩანს მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს ქართული წარწერებიც ჰქონია. ეს წარწერები ახლა წაშლილია... სწორედ აქ, აი აქ უნდა იყოს რუსთველიც, — ვამბობთ ჩვენ. წმინდანთა შორის დარჩენილი ადგილი დღეს მთლიანად შავი საღებავითაა დაფარული... ბიძერკრაუტმა ერველმხრივ გასინჯა ბორტრეტისა და წარწერის ადგილი სვეტზე და გვითხრა, რომ შეიძლება რუსთველის სურათის ინფრაწითელი სხივებით გადაღება, მხოლოდ ფრესკის ნაწილობრივი გაწმენდის შემდეგ.

...ვებეჭით რუსთველის შავ საღებავს ახალი საშუალებებით, რომლითაც დღეს უკვე აღტურვილები ვართ ფრესკების წმინდის სტეციალისტებისაგან. გამოდის, გამოდის...მოჭედიბა ხელი შავ სუდარას, ქიმიურად შლის, ნელ-ნელა ძლევს, სულ უფრო და უფრო იწმინდება რუსთველის წითელი ტანსაცმელი...მივუვებით მაღლა, სულ მაღლა, გამოხნდა თეთრი წვერი. ერთმანეთს ვენაცვლებით, ვღელავთ, ვფუსვუსებთ. სიხარულისაგან ვკრთით. სახეს რომ მივუახლოვდით, ვცდილობთ ზედმეტი მაღლა არ დავაგანხოთ მარჯვენას, ერთმანეთს გაფრთხილებთ, ალერსივით მსუბუქად ვწმენდთ. გვეშინია თვით რუსთველის ბორტრეტზეც არ ვიმოქმედოთ. რუსთველის სურათის ფერებს არაფერი ეკარტება, თუ რუსთველის სურათის ფერები არ იკარტებენ არაფერს. სურათი იწმინდება და ანათებს ისე, როგორც ოდესადაც უნათებია. მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების იოანე დამასკელისა და მაქსიმე

აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი ხელაპურობილი.

„ამისა დამსატავსა შოთას შეუნდეს ღმერთმან ამინ“ . ხოლო ქვე-  
მოთ ზორტოტზე „რუსთველი“ თეთრად გამოანათა მსხვილმა ქარ-  
თულმა ასომთავრულმა. აწ ვეღარსად დაგვეკარგება. ვერვინ წაშლის  
ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველს, იგი ჩვენია დღეს, ჩვენს ხალხს  
ეკუთვნის! (ი. აბაშიძე. ჰალესტინის დღიური. თბ. 1961. გვ 33-56).

არსებობს მოსაზრება, რომ ისინი, ვინც იერუსალიმელ არაბებად  
იწოდებიან, იმ ქართველი მხედრების ჩამომავალნი არიან, რომლებიც  
წმიდა მეფე განტანგ გორგასალმა სამუდამოდ დატოვა წმიდა ქალაქ  
იერუსალიმში ჯვრის მონასტრის დასაცავად. ამის შესახებ საინტერე-  
სო ცნობას გვაწვდის ცნობილი საეკლესიო მოღვაწე პ. კონტოშვილი,  
რომელმაც 1899 წელს იმოგზაურა იერუსალიმში. იგი წერდა: „ჯვრის  
მონასტრიდან 20 წუთის სავალზე, „ვარდების ველზე“, გაშლილია სოფ.  
მალხა, რომლის მოსახლეობა ქართველ კოლონისტთა ჩამომავალია.  
კერძოდ, იმ ქართველთა შთამომავლები არიან, რომლებიც მეფე განტანგ გორგასალმა მე-5 საუკუნეში დატოვა ჯვრის მონასტრის მტერთა-  
გან დასაცავად. მათ დაუვიწყიათ მშობლიური ენა, თუმცა გადმოცემით  
იციან, რომ შთამომავალნი არიან შორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსა-  
ხლებულთა და თავიანთ თავს გურჯებს უწოდებენ. ირგვლივ მცხოვრები  
არაბები მათ ისე უურებენ, როგორც მოსულსა და უცხო ტოშს. ისინი  
იცავენ და ემსახურებიან ჯვრის მონასტერს, მალხელები ძირითადად  
ლაპარაკობენ არაბულად, მაგრამ იციან ცოტაოდენი თურქელი და  
ბერძნული. მალხელები სარგებლობენ საკუთარი უფლებით დაამუშაონ  
მონასტრის მინდვრები და ვენახები. მონასტერს შემოსავლის მესამედს  
აძლევენ. ისინი იერით განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის  
ტოშისაგან, მალხელებს მოჰყავთ ვარდი, ამზადებენ ვარდის წესლს  
აიაზმისთვის, ტრაპეზის კურთხევისათვის და განსაბანელად. ვარდის  
წესლს გზავნიან სრულიად ჩალესტინაში და კონსტანტინეპოლის საპ-  
ატრიარქოშიც“ (30, გვ. 79-80).

الخطاطي كثيرون  
ويمارسونه وآخرين  
ويحتجون بالخطاطين  
وكان في مكتبة  
من الفرزلي

شاتا رستافلی

پرسکی پریز

پرسکی پریز

پرسکی پریز

پرسکی پریز

پرسکی پریز

پرسکی پریز

Shota Rustaveli, the author of the world masterpiece, the Knight in the Panther's Skin. 12th century.

## უძველესი ქართული წარწერები ზალესტინიდან

დღეს ჩვენს წინაშეა ქართველი უფლისწულის მიერ პალესტინის უდაბნოში ავებული ძეგლი, სადაც მას ქართული წარწერები დაუტოვებია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მჭიდროდ უფილა დაკავშირებული ქართულ კულტურულ სამეართოსთან და იმდროინდელ „წმიდა ადგილებში“ მოღვაწეობით მას ქართული ენა და ქართული კულტურა საერთაშორისო სარბიელზე გაჰქონდა – განაცხადა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა.

შროფებორ ვირჯილიო კორბოს აზრით, ეს ქართული წარწერები უძველესი ქრისტიანული წარწერებია (დღემდე ცნობილ წარწერებს შორის) მთელ პალესტინაში.

1952 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვიორჯილიო კორბომ იორდანის უდაბნოში, ბეთლემის მახლობლად, ბირ ელ-უუტის მიდამოებში, აღმოაჩინა და გამოიკვლია შეტრე იბერისა და იოანე ლაზის მიერ დაარსებული მონასტერი, რომლის იატაკიც შემკული იყო ოთხი უძველესი ქართული მოზაიკური წარწერით. პირველი წარწერა მოღწეულია უნაკლოდ. მეორე და მესამე წარწერები დაზიანებულია, წარწერა მეოთხე კი ისეა დაზიანებული, რომ სრულიად არ იკითხება.

პირველი წარწერის მიმართ არის აზრთა სხვადასხვაობა. პირველი წარწერის ორი ზწარი უნდა ეკუთვნოდეს მეოთხე საუკუნეს და აქ საქმე უნდა გვქონდეს დიდი ბაკურის ხანის წარწერასთან (37, გვ.113). უკანასკნელი სამი ზწარი განახლებულია მონასტერის აღდგენის დროს. აკადემიკოსმა გ. წერეთელმა და შროფებორმა მ. თარხნიშვილმა ეს მოზაიკური წარწერა მექქვსე საუკუნის 30-ანი წლებით დაათარიღეს, რადგანაც იქ მოხსენიებული ანტონი აბაი მათ მიიჩნიეს (აბატი) ანტონად, რომელიც იქ მოღვაწეობდა მექქვსე საუკუნეში. რაც შეეხება შროფებორ ვირჯილიო კორბოს, იგი ამ მოზაიკურ წარწერას ათარი-

ღებს მენუთე საუკუნით და მიიჩნევს, რომ იგი ზეტრე იბერის დაკვეთით შესრულდა. „დასაშვებად მიგვაჩნია, რომ „აბაი“ საკუთარი სახელი შეიძლება უოფილიერ და არა საეკლესიო თანამდებობის პირი „აბატი“... არქეოლოგიური ინვენტარის წეალობით ქართული მონასტერი მე-4 საუკუნის ძეგლია. ამის შემდეგ საფუძველი ეცლება მოსაზრებას, რომ წარწერები მოგვიანო სანაში შესრულებულად მიგვეჩნია. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ქართული მონასტრის, იგივე ლაზთა მონასტრად წოდებულის, განმაახლებული ზეტრე იბერიული სამონასტრო ცხოვრებას ჩაუდგებოდა თუ არა სათავეში, მისივე დაკვეთით უნდა გაკეთებულიერ მოზაიკური წარწერები მე-4 საუკუნის წმიდა თეოდორეს სახელზე. მაშასადამე, სინქრონული ხდება, როგორც სამონასტრო ცხოვრების განახლება, ასევე მისი ეპიგრაფიული დადასტურებაც. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუჯერებული იქნებოდა, რომ მწიგნობარ ქართველებს წმ. თეოდორესადმი მიძღვნილი მონასტერი უწარწეროდ დაეტოვებინათ... სამწუხაროდ, მეოთხე საუკუნეზე ადრინდელი წარწერები მაღალიან დაზიანებული ან მოსხობილია... მონასტერს რომ გადაკეთება-განახლება განუცდია თავისი არსებობის მანძილზე, ეს არქეოლოგიურმა შესწავლამაც უჩვენა. გასარკვევი რჩება მხოლოდ ის, თუ რა ვითარებაში მიმდინარეობდა მოღვაწეობა სამშობლოდან მეტად დაშორებულ ქართული კულტურის კერებში, რამაც წარუხოცელი კვალი დაამჩნია ზალესტინის სამწიგნობრო განვითარებას და შექმნა საეკლესიო მწერლობის მთელი ეპოქა. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან მოკიდებული ქართველთა სამონასტრო ცხოვრება რომ ვითარდებოდა ზალესტინაში, ეს ჩანს იერუსალიმის უდაბნოს ჯვარის მონასტრის ზეთისხილის ბაღში, უძველესი კატაკომბის არსებობით, რომელიც ქრისტიანული ტრადიციით ქართველ მონაზონთა სამვალედ ითვლებოდა. მთარგმნელმა პირადად ინახულა 1935 წელს ჯვარის მონასტრის უძველესი კატაკომბი და მონასტრის ასლანდელმა ბერძენმა იღუმენმა და სხვა ეროვნებათა - იტალიულების, ფრანგებისა და ინგლისელთა მონას-

ტრების წინამდღვრებმა დაადასტურეს ზემოაღნიშნული ტრადიციული გადმოცემა. “ მთარგმნელი ბეჭან გიორგამე. ”

ამონარიდი დოქტორ ფირჯილიო კორბოს წიგნიდან სიიარელულანამის (მწევმთა მინდვრის) გათხრები და შემოგარენის მონასტრები. წმიდა თეოდორეს სახელობის ქართული მონასტერი ბირ-ელ-უუჩში (17, გვ. 94).

ბირველ წარწერასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოიქვა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მკვლევარმა მანგლელმა მიტროპოლიტმა ბროფესორმა ანანია ჯაფარიძემ: „ამ წარწერაში ნახსენები არიან ანტონი, აბაი და იოსია. ისინი შესაძლებელია იუნენ წმიდა წერილის ბირველმთარგმნელთა პლეადის წევრები. ამ მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოება. საქართველოს პატრიარქი კალისტრატე ციინცაძე იკვლევდა ბირველქართველ მთარგმნელთა ვინაობას და იგი არქეოლოგთა მიერ პალეოლიტინის ქართული წარწერების აღმოჩენამდე თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე წერდა „პეტრე მაიუმელის მიერ აგებულ მონასტერში უნდა მიეღოთ თავშესაფარი ბირველ ქართველ მთარგმნელებს სამშობლოს გარეთ - სტეფანესა და დავითს. ამავე მონასტერში უნდა ეკვთოვათ და ემოლვაწათ ანტონისა და საბას, რომელთა სახელები მოიხსენიება წმ. გიორგი მთაწმინდელის ბირადი მცნობის, ეფრემ კირილეს ძის ჩანაწერში (Палестинский сборник, X, №. 181) (წიგნიდან „საღვთისმეტეველო ქრებული“, 1, 1991, გვ. 176)...მაშასადამე, შეიძლება გამოითქვას გარაუდი, რომ პალესტინის ქართველთა მონასტრის წარწერებმა შემოგვინახა ერთ-ერთი ბირველი მთარგმნელების სახელები - ანტონისა და აბაის, ანუ იგივე საბასი (5, გვ. 9).

ქართული ისტორიოგრაფია პეტრე იბერის აკავშირებდა ბირველ ქართულ მთარგმნელობით სკოლასთან, რომლის ერთ-ერთი ლიდერი უნდა ერფილიყო პეტრეს აღმზრდელი და მომღვარი ითანე ლაზი. ამ განცხადების უფლებას იძლევა ის, რომ სწორედ ითანე ლაზის მიერ აგებულ პალესტინის მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარწერები (4, გვ. 18).

„საჭიროდ გთვლით მოვათავსოთ შემდეგი ცნობა: ბროფესორმა ლ.

ა. მაცულევიჩმა წამოაუნა შემდეგი დებულებები: ა) ბიჭვინთის ახლად აღმოჩენილი მოზაიკის შემცველი ტამარი და ბეთლემის (ბირ-ელ-უქტის) ტამარი თავისი არქიტექტურული ნიშნებით და მოზაიკური ხელოვნებით ერთსა და იმავე სკოლას ეკუთვნიან და ერთსა და იმავე დროსაა აგებული ბ) ამ ორივე ნაგებობას ისეთი ნიშანდობლივი თვისებები ახასიათებს, რომ ისინი არ შეიძლება იუსტინიანეს ეპოქას (VI ს.) ეკუთვნოდეს. ისინი მეტუთე საუკუნეებები გვიანდები არ შეიძლება იუსტინი ბეთლემის ტაძრისა და წარწერების დათარიღება მეტუთე საუკუნით სავსებით შეესაბამება იმ ფაქტს, რომ წარწერებში მოხსენებული არიან ბაკურ, მარჯან და ბუზმირ“ (32, გვ. 062).

ბეთლემის მეორე და მესამე წარწერებში მოხსენიებულნი არიან ბაკურ, მარჯან (მურვანოსი) და ბუზჩინ (ბუზმირ), რომელთაგან: მარჯან არის ჰეტრე იბერის ერისკაცობის სახელი, ბუზმირ არის სახელი ჰეტრე იბერის მამისა, ბაკურ - ჰეტრე იბერის ჰაპისა. ამრიგად, ჩვენ წინ არის იორდანის უდაბნოში აღმოჩენილი ქართული მონასტრის ნანგრევები, ქართული წარწერებით, რომლებშიც მოხსენიებულია თვით ჰეტრე ქართველის, მისი მამისა და ჰაპის სახელები და შემდეგი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ეს სწორედ ჰეტრე ქართველის მიერ აშენებული მონასტერია. მაგრამ არსებობს კიდევ ერთი უტუარი ცნობა, რომელიც ამ მოსაზრებას საბოლოოდ უეჭველს ხდის. არქეოლოგი ვ. კორბო არა ერთგზის საზგანისით აღნიშნავს, რომ მონასტერს ჰქონია უურმნის საწური და ზეთის სახედელი სათავსოები, რომ ამ მხრივ ამ მონასტრის ბერების საქმიანობა არსებითად განსხვავდებოდა მთელი ამ მხარის სხვა მონასტერთაგან. ჰეტრეს ცხოვრების ტექსტში შირდაპირ დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ ჰეტრე იქ დვინისა და ზეთის მეურნეობას მისდევდა (9, გვ. 27). ისტორიული წეაროების საფუძველზე მკვლევარები ადგენენ, რომ ჰეტრეს ეს მონასტერი აუშენებდა და ქართული წარწერებით შეუმკია ოთხას ოცდაათიან წლებში.

ეს წარწერები უმეტესია დღემდე ცნობილ უკელაზე მკელ ქართულ


The ancient Georgian mosaic inscription in Asomtavruli script (430 – 440) made by St. Petre Iberi. Lazta Monastery, Palestine. Lazta Monastery was founded by Sts. Petre Iberi and Ioane Lazi.



წარწერა 1



შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა  
თეოდორეისითა შეიწევალენ ანტონი აბაი და იოსია მომსხმელი ამის სეფისაი  
და მამა დედაი იოსიასი ამენ.



წარწერა 2.



წმიდაო თეოდორე მარჯან და ბურზნ... ენ ამი.... ...ე

წარწერა 3.



რცხვის

იყვანელი

ცდაში

დავარც

და მუქე

ული მ

ათნი ბა

კურ და

უკაიოს

გარდც

ცყიან კ

მცხოვრი

გრი-ორმ

იზდ და ნ

აშობნი

მათნი ქრისტე



ს ს ს

შეიტელენ  
ამენ

წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე უველაზე მველად მიჩნეულ ბოლნისის წარწერებს. პალეოგრაფიული თვალსაზრისით წარწერები დიდს არქაულობას ამჟღვნებენ. ამ მცირეოდენი მასალიდანაც კი ნათლად ჩანს, რომ ჩვენი წარწერების ენას ახასიათებს უველა ის ნიშანი, რაც საურველთაოდ ცნობილია მველი ქართული სამწერლობო ენის ნორმებისათვის. ეს კი სანგრძლივ ლიტერატურულ ტრადიციებზე მიუთითებს... ამგვარად, ვარაუდი ქართული დამწერლობის ასებობისა მე-5 საუკუნეზე გაცილებით უფრო აღრინდელ ეპოქაში ამჟამად ბევრად უფრო დამაჯერებელი ჩანს (9, გვ. 50).

იორდანის უდაბნოს ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის განუსაზღვრელად დიდია, განაცხადა აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა.

შეტრეი იბერის მარტო ულამაზესი ქართული წარწერებით, რომ შეემკო იორდანის უდაბნოში მის მიერ დაარსებული ლაზთა მონასტერი, სრულიად საკმარისი იქნებოდა იმ დიდი პატივისა და სიუვარულისა, რასაც ქართული კულტისა და ქართველი ერი მას მიაგებს. შეტრეი იბერის რომ არ შეემკო ლაზთა მონასტერი უძველესი ქართული წარწერებით, ჩვენ არ გვეცოდინებოდა, რომ უფლისწული 3 წლიდან 12 წლაში დასაკრთველოში წმინდა წერილს ბერძნულად კი არა, ქართულად კითხულობდა. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ წმინდა წერილი მე-4 საუკუნეში უკვე ასებობდა ქართულ ენაზე.

წმინდა აღმსარებელი პოლიევქტოს (კარბელაშვილი) აღნიშნავს: “ახა უსჭველი საბუთი, რომ მირიანის დროიდანვე ქართულ ენაზე ისწავლებოდა და იმოძღვრებოდა ქართველი ერი... სამღვდელოებამ გამართა ეკლესიებთან ერმათა სასწავლო სკოლები, რომელთაც მთელი ერი ეკლესიაში მეითხველ-მგალობელად გარდააქცირებს. თუ რა შშვენივრად იუო ერმათა აღზრდა სწავლების საქმე იმ დროს საუკრთველოში, ამის უსჭველ საბუთს ვპოულობთ წმ. შეტრეი ქართველის სვინაქსარში” (3, გვ. 27).

## ამბავი ერთი პეტრიწონული ხელნაწერისა (1300-1340)

ბულგარეთში, ქ. ბლოვდივიდან 28-30 კილომეტრის დაშორებით, როდონის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ასენიცის მარჯვენა მხარეს, ღიდებულ ხეობაში მდებარეობს პეტრიწონის სახელგანთქმული სავანე, რომელიც სიძიდით მეორეა მთელ ბულგარეთში.

პეტრიწონის ერთგულადწმიდა ღვთისმშობლის მიმინების ქართველთა სავანე დაარსა გრიგოლ ბაკურიანის-ძემ 1083 წელს. გრიგოლი იქო ბიზანტიის იმპერიის დასავლეთ პროვინციების ჯარების მთავარსარდალი, ამავე ღროს იგი იქო სევასტოპოლის და იმპერიის სამოსელე იერალქიაში საპატიო ადგილი ეჭირა. ამ პეტრიოდში გრიგოლ ბაკურიანის-ძემ მრავლად მიიღო მამულები ფილიბოლის თემში, სამხრეთ თრაკიასა და სხვ. (27, გვ. 256).

გრიგოლი იქო ქართველი ღიდებული - ტაოელი ერისთავთერისთვის ბაკურიანის ძე. ა. შანიძის ვარაუდით, გრიგოლი ბაგრატიონთა გვარიდან იქო.

გრიგოლს მონასტრისათვის შეუდგენია „ტიბიკონი“ (წესრება) ქართულ და ბერმძულ ენებზე 1084 წელს. ტიბიკონში რამდენჯერ-მეა აღნიშნული, რომ „ახლად დაარსებული სავანე ქართულია - ქართველებისაა და მხოლოდ ქართველთათვისაა განკუთვნილი. იგი ტიბიკონში ასევე აღნიშნავდა, რომ იქო ქართველთა „უბრწყინვა-ლესი გვარიდან“ და ამაუბრდა კიდეც თავისი ეროვნული წარმომავლობით (27, გვ. 259).

პირველი, ვინც ქართველი ხალხის მეხსიერებაში აღადგინა ჟამთა სიავის გამო დაგიწუებული და დაკარგული ქართული სავანე ბულგარეთში, იქო გიორგი ჯორჯაძე.

1878 წლის 6 იანვარს სულეიმან-ფაშას მეომრებმა პეტრიწონის მონასტერის აღევა შემოარტყეს. მონასტერი თურქ-ოსმალთაგან დარბევას გადაარჩინა რუსეთის არმიის კაპიტანმა გიორგი ჯორჯაძე-

მექ. მაღლიერმა ბულგარელმა ბერებმა გიორგი ჯორჯაძეს, ვითარცა  
ქართველს, მონასტრის სიმველენი დაათვალიერებინეს და ქართულ-  
წარწერებიანი ღვთისმშობლის სატიც აჩვენეს.

ზეტრიწონის საფანის ეკლეზე დიდი სიწმინდეა ეოვლადწმიდა  
ღვთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატი, რომელიც, გადმოცემის  
თანახმად, ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი. ეს ხატი საქა-  
რთველოდან ჩამოაბრძანეს და საუკუნეთა მანძილზე განდიდა სას-  
წაულებით.

ზეტრიწონის საფანე ქართული სასულიერო მწერლობის ერთ-  
ერთი უმთავრესი ცენტრი იყო, განსაკუთრებით XI-XII საუკუნეები-  
ში. აქ ჩამოყალიბდა ლიტერატურულ -ფილოსოფიური სკოლა,  
რომელიც ზეტრიწონის სკოლის სახელითაა ცნობილი. გრიგოლ ბა-  
კურიანის-ძემ დააპირა სემინარია, სადაც ქართველი ახალგაზრდები  
სწავლობდნენ.

„ჩვენ აქ გვაქვს მეტად იშვიათი, შეიძლება ერთადერთი მაგალი-  
თი ბიჭანტიაში სემინარიის არსებობისა, ამ სიტევის თანამედროვე  
მნიშვნელობით“ - ლ. ჰტი (27, გვ.288).

ტიზიკონის მიხედვით, სემინარიაში სწავლება მხოლოდ ქართულ  
ენაზე იყო. ისწავლებოდა დიალექტიკა ანუ ფილოსოფია, რიტო-  
რიკა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა  
(სასულიერო ზოგზია), იურისპურულენცია (15, გვ.736). ზეტრიწო-  
ნის ქართველთა საფანისა და სემინარიის მუშაობას ოცი წლის გან-  
მავლობაში სელმძვანელობდა ცნობილი ქართველი ფილოსოფისი  
და ღვთისმეტეველი იოანე ზეტრიწი. მე-12 საუკუნის დამდეგს იო-  
ანე ზეტრიწი სამშობლოში ბრუნდება და აგრძელებს მოღვაწეობას  
გელათის აკადემიაში (ზეტრიწონის სასწავლებლის ტრადიციების  
გამგრძელებლად საქართველოში ითვლება გელათის მონასტერი,  
განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც იქ სამოღვაწეოდ გადავიდა იოანე  
ზეტრიწი) (15, გვ.736).

„ეკლეზაში დაახლოებით იმავე პეტრიოდში იყო შარტრის აკადემია. იგი

ერთადერთია შსოფლიოში, რომელიც შეიძლება შეედაროს გელათს, მაგრამ ითანე ზეტრიწის დარი ფილოსოფოსი არ ჰქოლია ამ აკადემიას და არც ერთ გულტურულ კერას იმქამინდელ შსოფლიოში“ (18, გვ. 90).

ზეტრიწონის საფანის ბიბლიოთეკის ხელნაწერთაგან ჩვენამდე მოაღწია მსოფლოდ ერთმა. იგი წარმოადგენს დღესასწაულთა საკითხ-ავ კრებულს. გადაწერილია ზეტრიწონის მონასტერში. ეს ხელნაწერი ერთხსანს ინახებოდა სეანეთში, ამჟამად კი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - H ფონდი (N 1760, ფ. 158r - 169r). ხელნაწერი ეგონათ მე-15 საუკუნის, მაგრამ რამაზ პატარიძემ ჭყირნიშნით 1300-1340 წლებით დაათარიღა (26, გვ. 5-6.).

ზეტრიწონულ ხელნაწერში შესულია ითანე დამასკელის, ეფრემ ასურისა და სხვათა თხზულებანი, ჰავიოგრაფიული ძეგლები. ასევე შესულია „ცხოვრება და მოქალაქება წმიდისა და ნეტარისა მამი-სა ჩვენისა ზეტრე ქართველისაი, რომელი იუო ძე ქართველთა მეფი-საი“. ხელნაწერი გადაიწერა ზეტრიწონის მონასტერში ოქროუმაის ძის მიერ. ანდერში კვითხულობთ: “დაიწერნეს ესე დღესასწაულთა საკითხავნი მონასტერსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა ზეტრიწონის ღუაწლითა და წარსავებლითა მახარებლისა აქროიუმაისძისათა თანა საქონებელად მისსა, ვიდრეცა ეგულებინ, ხელითა მდაბლისა გრიგოლისითა და ვინცა აღმოიკითხვიდეთ, ჩუენთვისცა შენდობასა იტეოდით, რათა ღმერთმან თქუენცა შეგინდვნეს და მახარებელსა აქროიუმაისძესა და მშობელთა მისთა საბასა და მარიამს შეუნდოს ღმერთმან.“ სოლომონ უებანეიშვილმა შირველმა გამოაკვეთა ზეტრიწონულ ხელნაწერში დაცული „ზეტრე ქართველის ცხოვრება“ 1946 წელს (33, გვ. 256-272).

ზეტრიწონულ ხელნაწერში დაცულ „ზეტრე ქართველის ცხოვრების“ ტექსტს ახლავს ზაქარია ქართველისა (ავტორი) და მაკარი მესხის (მთარემნელი) ანდერშები. ზაქარია ქართველის ანდერში მოვითხოვს რომ იგი ნეტარ ზეტრეს ქართლიდანვე გაჲულია და წმიდა მამის გარდაცვალებამდე მის გვერდით იუო. ამიტომ აღწერა

ის, რაც საკუთარი თვალით ნახა და უურით მოისმინა. მაკარი მესხის ანდერმი კი გვაუწებს, რომ მას ქართულად უთარგმნია ზაქარია ქართველის მიერ ასურულ ენაზე დაწერილი „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ჰეტრე ქართველისაი, რომელი იყო მე ქართველთა მეფისაი“.

ქართული „ჟეტრეს ცხოვრების“ ცნობათა მეცნიერული ღირებულება ფასდაუდებელია, უპირველესად ეს უნდა ითქვას ზაქარია ქართველისა და მაკარი მესხის ანდერძებზე, რომელთაც ჩვენი ძველი კულტურის ისტორიისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, როგორიც აქვს გიორგი მთაწმინდელის ცნობას „ბალაგარიანის“ ბერძნულად მთარგმნელის - ეფთიმე მთაწმინდელის შესახებ. ეს გარემოება გვიკარნახებს, რომ ქართული „ცხოვრების“ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს დიდი სიფრთხილით მოვაგიდოთ. ის, რაც ჩვენმა წინაპერებმა წრფელი ლიტერატურული საქმიანობის შედეგად გვიანდერძებს, საჭიროა კრიტიკულად შევამოწმოთ, მაგრამ არ უნდა გაფაუფასუროთ. ქართულმა ხელნაწერმა დაიცვა „ჟეტრეს ცხოვრების“ ავტორის სახელი „გლახაკი ზაქარია, მოწაფე მისი ქართლითგანვე“ და მოღი, ნუ შევცდებით მის აღმოფხვრას და ამ მიზნით გ ზასაცდენილ და უსისტემო კვლევა-ძიებას (21, გვ. 151).

ზაქარია ქართველი V საუკუნის საზღვარგარეთელი სასულიერო მწერალია, რომელსაც უმოღვაწია მაიუმის მონასტერში. იგი გვერდს უშვეუნებს მისსავე თანამედროვე აგიოგრაფს იაკობ სუცესს, „მუშანიკის მარტვილობის“ ავტორს. ჩვენ უნდა ვიამაყოთ ამ მწერლით და ჯეროვნად შევაფასოთ მისი ლიტერატურული მოღვაწეობა, რომელიც ნათელ შექს ჰვენს ქართულ-ასურულ და ქართულ-ბიზანტიურ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიას იმ შორეულ წარსულში, როდესაც დიდი ჟეტრე იბერიელი და მისი ქართველი თანამოსენაკენი დღე და დამ იღწვოდნენ სირია-ზალესტინაში ქართული სალიტერატურო და სამონასტრო კერების შექმნისათვის (21, გვ. 153).

ჰეტრიწონული ხელნაწერი „დღესასწაულთა საკითხები“ (1300-1340). ხელნაწერი არის ერთ-ერთი უძველესი, რომელმაც შემოგვინახა „ცხოვრებაი და მოქალაქებაი წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ჰეტრე ქართველისაი, რომელი იქო მე ქართველთა მეფისაი“. ხელნაწერი ერთხანს სვანეთში ინახებოდა, ამჟამად კი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - H ფონდი ( N1760, ფ. 158r- 169r)



## ზაქარია რიტორი (V ს.) – პეტრე იბერის მღწამსის შესახებ

უკრადსაღებია ის ფაქტი, რომ თვით მონოფიზიტი ზაქარია რიტორი (V ს.) თავის თხზულებაში „მამა ესაიას ცხოვრება“ (რომელიც დანართის სახით შესულია ზაქარია რიტორის „ექლესიის ისტორიაში“) ჰირდაშირ მიუთითებს პეტრე იბერის ჭეშმარიტ (დიოფიზიტურ) აღმსარებლობაზე (აკად. ს. უკავშირშვილი, გეორგიკა, ტომი III, 1936, გვ. 11; 8, გვ. 176). ბერძნული დედანი დაკარგულია. თხზულება ბერძნულიდან ითარგმნა ასურულ ენაზე (VI საუკუნის დასაწყისი).

პროფესორშა მარიამ ჩახიძაიაშ მოიკვლია და მოგვაწოდა ასურული ტექსტი თარგმანითურთ.

ფრაგმენტი ასურული ტექსტიდან (Anecdota Syriaca, collegit edidit explicuit I. P. N. Land. III, 166, sqq. Lugduni Batavorum 1870).

როდესაც, ჩალესტინაში მონაზვნებს შორის დავა ატედა იმის თაობაზე, სწორია თუ არა ჩვენი უფლის სორცი ჩვენ სწორ არსად ვცნოთ. სახელებანთქმულმა პეტრემ შეაჩვენა ისინი, რომლებიც ამას არ აღიარებდნენ. ზოგიერთი მათგანი კვლავ აგრძელებდა კამათს მათთან, რომლებიც პეტრეს აზრს იზიარებდნენ. მაშინ, მოდავე მხარეებმა (ამ საკითხთან დაკავშირებით) აზრის გასაგებად დიდ ესაიას მიმართეს. გადაწყვიტეს დათანხმებოდნენ იმას, რასაც ის ეტეოდა მათ. როდესაც მასთან მივიდნენ, იგივე მსჯავრი მოისმინეს მათ, ვინც არ აღიარებდა რომ ჩვენი ერთი უფალი იყსო ქრისტე ღვთაებრივი ბუნებით ერთარსია მამისა, სოლო კაცობრივი ბუნებით მსგავსია ჩვენი.

1) Signo ∵ ~~duo~~ ~~duo~~ ~~duo~~ ~~duo~~ legendum esse indicatur.

1) Signo : لهم من لهم legere monemur.

ჟეტრე იბერის დღემდე უცნობი მინიატურები  
ქართულ-ბერძნული ხელნაწერიდან  
(XIV-XV სს.)

(ხელნაწერს მართლმადიდებელ სამეაროში  
ანალოგი არ ემებნება)

ათონის წმიდა მთის ივერონის ქართულ მონასტერში შესრულებული ქართული მწიგნილობისა და მხატვრული აზროვნების უნიკალური ნიმუში - ქართულ-ბერძნული ილუსტრირებული ხელნაწერი 1913 წლიდან რესეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, სანკტ-პეტერბურგში ინახება. ხელნაწერს მართლმადიდებელ სამეაროში ანალოგი არ ემებნება. მისი არსებობა დღემდე მხოლოდ სამეცნიერო წრეებისათვის იურ ცნობილი.

ამ უნიკალური ხელნაწერის გაცნობის შესაძლებლობა მოგვეცა ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროზოლიტ ნიკოლოზის (ფაჩუაშვილი) დიდი ძალისხმევითა და ღვაწლით, რისთვისაც მის მაღალეოვანა-დუსამღვდელებობას მაღლობას უკავშირდი ქართველი ერის სახელით.

ხელნაწერი მცირე ზომისაა ( $12,4 \times 8,2$ ), შედგება ქაღალდის 146 ფურცლისაგან, აქედან 169 გვერდი მინიატურებს ეთმობა. ხელნაწერი შინაარსით ლიტურგიკული კრებულია. ტექსტი მოიცავს სახარებისეულ საკითხავებს, ტროპარებს, სავედრებელ ლოცვებს, თვენს, მაცხოვრისა და ავგაროზ მეფის მიმოწერის აზოვრიფულ ისტორიას. ტექსტის მირითადი ნაწილი ქართულია, ნაწერი ორ სვეტად, ნუსხურად. ტროპარები, სავედრებელი ლოცვები და ცალკეული საკითხავები კი ბერძნულ ენაზეა ...


სანკტ-პეტერბურგში მოხვედრისთანავე ხელნაწერმა მეცნიერთა

დიდი უურადღება მიიჩურო. მას სხვადასხვა დროს იგვლევდნენ შალვა ამირანაშვილი, ლეონიძ შერვაშიძე და სხვ. 1883 წელს ფრანგმა მეცნიერმა შარლ როლ დე ფლერმა ხელნაწერი XI საუკუნით დაათარიღა...

ნიკო მარმა ქართული და ბერძნული ტექსტები XIV-XV საუკუნეებით დაათარიღა...

ხელნაწერი ბოლოს 1998 წელს ვრცლად შეისწავლა და მონოგრაფია მიუძღვნა ლილია ევსეევამ. მეცნიერმა კრებული XV საუკუნის ბოლოსათვის ათონის მთაზე შექმნილ ხატწერის სახელმძღვანელოდ მიიჩნია. სამწუხაროდ, ხელნაწერი ჩართული ბერძნულ-ქართული ტექსტები სხეციალური კვლევის საგანი არასდროს გამხდარა. მათი შესწავლა კი ბევრს მნიშვნელოვან საკითხს მოჰყენს ნათელს... სიუკეტურ სცენებს წმინდანთა გამოსახულებები ემიჯნება. წმიდანთა რიგში მართლმადიდებელი სამეაროს უველა მნიშვნელოვანი ფიგურა წარმოდგენილი. განდეგილობისა და სამონასტრო ცხოვრების დამამკვიდრებელი წმინდანების - წმ. ანტონ დიდის, წმ. მაკარი მეგვითტელის, წმ. ონოფრეს, წმ. საბა განწმენდილის, წმ. სვიმონ მესვეტის გვერდით გამოსახულია ქართველი წმინდანები - წმ. უქვთიმე ათონელი, წმ. ილარიონ ქართველი და წმ. ჰეტრე იბერიელი... (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2012, გვ. 4)

ჩვენი უურადღება განსაკუთრებით მიიჩურო ორმა მინიატურამ, ესენია: „ხატი მიძინებისა“ და „უდაბნოს ანგელოზი“. ამ მინიატურებზე სხვა წმინდა მამებთან ერთად გამოსახულია ჰეტრე იბერი. წარწერები მინიატურებზე შესრულებულია ბერძნულ ენაზე.



წმ. ბერძნები იმპერიუმი, წმ. ბათილი, წმ. ხიოსი, წმ. ხატი მიმინდისა, წმ. მიხეილი, წმ. იოანე (კლემაჭისი), წმ. დავით.



წმ. ბერე (იბერიელი), წმ. მამამთავარი აბრაამი, წმ. ილარიონი (იბერიელი), წმ. იოანე ნათლისმცემელი - უდაბნოს ანგელოზი (ლაპარაქე დასვენებული მთკვეთიდან თავით), წმ. გიორგი (სავარაუდოდ იბერიელი), წმ. იოანე (იბერიელი), წმ. გევთიმე (იბერიელი).

## ზაქარია ქართველი (V საუკუნე)

ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა  
ჩვენისა პეტრე ქართველისა, ომელიც იუო

მე ქართველთა მეფისა

გვაკურთხენ, მამაო!

ჩემო საუგარელო მმებო, მსურს გაუწეოთ ცხოვრება ჩვენი წმიდა  
და ნეტარი მამისა პეტრესი, ომელიც გახდა მნათობი არა მარტო  
შალესტინის, არამედ მთელი ქვეყნიერების. იგი იუო მეფური, საღვთო  
წარმომავლობის. წმიდა წერილითა და ღვთის ცნებებით აღზრდილმა,  
მსგავსად ხისა კეთილისა და მშვენიერისა, გამოიღო უხვი ნაუოფი თა-  
ვისი დროისა და უწინარეს ქამისა, საწადელი და სასურველი უღველი  
ღვთის მსახურისათვის და შესწირა იგი მაცხოვარს ჩვენსას იესოს  
ქრისტეს. მან არა მხოლოდ თავისი ნაუოფი მიართვა უღვლისშემო-  
ქმედ ღმერთს, მსგავსად მართალი აბელისა, ომელიც ღმერთმა შეი-  
წირა, ომლის სურნელება, ვითარცა კეთილი საკმეველი, ისე ადიოდა  
ზეცაში უფალთან, არამედ სხვა მრავალი სულიც მოაქცია ჭეშმარიტ  
სარწმუნოებაზე – მან მიუმღვნა უფალს მრავალი ნაუოფი ფრიად მშ-  
ვენიერი და კეთილსურნელოვანი, მრავალი კრავნი უბიწო და შეუ-  
რევნელი. ვისწრაფვი გაუწეოთ მისი სათნო ცხოვრების შესახებ, ვი-  
დრე მოგითხრობდეთ მის წარმომავლობასა და აღზრდაზე. თუმცა,  
სჯობს თავი შევიგავო წმიდანის სათნოებათა შესახებ თხრობისაგან.

ვფიქრობ, უფრო მართებულია, ჩემო ღვთისმოუგარენო, თავდა-

ზირველად გაუწეოთ ამ ღვთაებრივი ნერგის წარმომავლობის შესახებ, თუ სად და ოოდის აღმოცენდა იგი. შემდეგ კი მისი საკვირველი მოღვაწეობისა და იმ სასწაულების შესახებ, ოომლებსაც იგი აღასრულებდა. მე არ ვაპირებ სხვისგან მოსმენილის თხრობას, არამედ მსურს გიამბოთ ის, ოაც საკუთარი თავალით ვიხილე: წმიდა მამას სიურმიდანვე მოვევები და, ოოგორც ერთგული შვილი, ეოველთვის მის გვერდით ვიუვავი და უველგან ვახლდი, სადაც კი წავიდოდა იგი.

ბერძენთა შეფის, ღვთისმოსავი თეოდოს მცირის (401-450) დროს (არქადი კეიისრის მე და თეოდოს დიდის შვილიშვილი) ქართლის მეფე იუო ვარაზ ბაკური (მეოთხე მეფე მირიანის შემდეგ). მეფე ვარაზ ბაკური იუო მართლმადიდებელი და დიდი ღვთისმსახური. ღვთისმოსაობა და მგზნებარე სიევარული მაცხოვრისა ჩვენისა იქსო ქრისტესი მას მამა-ჩაპიდან მოსდგამდა. მას შემდეგ, ოაც საქართველოში წმიდა სახარება იქადაგა ქრისტეს მოციქულმა წმიდა და დიდებულმა ანდრიამ (ოოგორც ამას წერს ნიკიტა საღვთო და ფილოსოფოსი „წმიდა მოციქულის მიმოსვლასა და ქადაგებაში”), შემდეგ კი ღვთის მიერ გამოგზავნილმა წმიდა ნინომ, ამ მოციქულთა ქადაგებამ კეთილი ნაუფლი გამოიღო. ქართველმა ხალხმა ისწავლა ღვთისმსახურება, იწამა წმიდა სამება და ნათელიღო წმიდა სამების სახელით. ქართველთა ქვეუანამ ერთხელ იწამა რა ჭეშმარიტი ღმერთი, მისთვის არ უდალატია, არც უუღალატებთ უკუნისამდე, წმიდა სამების მადლით და უღვლადწმიდა ღვთისმობლის შემწეობით, ოომელიც არის სასოება და მფარველი ქრისტიანეთა.

ოოგორც ზემოთ აღვნიშნეთ მეფე ვარაზ ბაკური იუო ღვთისმოში. მეფეს შვილი არ ჟავდა. იგი მხურვალედ ეკედრებოდა ღმერთს მისთვის მოწეალე თვალით გაღმოყენდა და შვილი მიეცა.

ერთხელ, ოოცა მეფე ვარაზ ბაკური სამეფო ქალაქ მცხეთაში ბრუნდებოდა, გზაში შემოაღამდა. მან გადაწყვიტა იქვე მტკვრის ნაბირას გაეთენებინა დამე. მეფემ მილის წინ იღოცა და დაწვა მოსასვენებლად. ოოგორც კი თვალები მიღულა, მეფეს ღვთის ანგე-

ლოზი გამოცხადა. იგი იუო ბრწყინვალე და დიდებული, მოელვარე, სპეციალისტი სამოსით შემოსილი. მისი სახე მზესავით ბრწყინვადა. ანგელოზის სილვისას მეფე შეშინდა. უფლის ანგელოზმა დაამშვიდა და ახარა, ომზე უფალმა მისი ლოცვა შეისმინა. დედოფალი დაფეხმიმდებოდა და შეეძინებოდა გაჟი, ომელიც დიდი და სრული იქნებოდა ღვთისა და კაცთა წინაშე. იგი მრავალ ერს მოაქცევდა ღვთისაკენ. „წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისა ბრწყინვალე და დიდებული, მოსილი სამოსლითა სპეციალითა ელვარედ და ბრწყინვიდა შირი მისი გითარცა მზის თუალი. ხოლო მეფემან ვითარცა ისილა ანგელოზი იგი, იქმნა შეშინებულ ფრიად. პრქუა ანგელოზმა მან უფლისამან მას: „ნუ გეშინინ, მეფე. მე ვარ ანგელოზი უფლისა და მოვივლინე შენდა უფლისა ღუთისა მიერ, ომეთუ შეისმნეს ლოცვანი შენნი. და აჭა მიუდგეს ცოლი შენი და გიშევს შენ ძე, ომელი იუოს დიდ და სრულ წინაშე ღუთისა და კაცთა და მრავალნი ერნი ღუთისა მოაქცინეს“. ოცა მეფემ გაიღვიძა, გახარებულმა ღმერთი ადიდა. გამოცხადების შემდეგ, დედოფალი მალე დაფეხმიმდა და შვა ძე. ახალშობილი მონათლეს წმიდა სამების სახელით და უწოდეს მურვანოსი.<sup>1</sup> ამრიგად ნეტარი მამა ჰეტრე დაიბადა ანგელოზის სარებით, ოკუორც ძველი აღთქმის წინასწარმეტეველები სამუილი და იერემია „და საშოთვანე წმიდა იქმნა ვითარცა დიდი წინამორბედი“ (43. გვ. 217).

<sup>1</sup> ჸეტრე იბერიელი (ერთბაში-მურვანოსი) დაიბადა 411 წელს. დედა იუო ბაკურდუხტი. ჸეტრეს ბაბუა დედის მხრიდან იუო ბაკური დიდი. ბებიას ერქევა ღუხტი. ბაკური დიდი და მისი მეუღლე ღუხტი მიუხედავად მეფური წარმომავლობისა მონაზვნურ-ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ, ისინი ღვთისმობის ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ რომ ერთმანეთში დადებული შეთანხმების საფუძვლზე მათ ხორციელი კავშირი შეწევიტეს და დაკმარიფილდნენ იმ შვილებით, რომლებიც მათ უკვე უავდათ. მეფე ბაკური, გარდა იმისა რომ ლოცულობდა და მარხვას მკაცრად ინახავდა, კვირაში სამჯერ გვიდა ქალაქის ეკლესიას.

გლახაკი ძალიან უქვეარდა. იგი სასახლეში გაჭირვებულთათვის სხვადასხ-შეუსრულდა თუ არა მურვანოს 3 წელი, მას სწავლა დააწეული ინტენსიური უფლისგან მიმაღლებული ჸქონდა დიდი ნიჭი. ღვთის მაღლი იქან დავანებული მასზე. იგი განსაკუთრებით გულმოდებინედ კითხულობდა წმიდა წერილს<sup>1</sup> და სწავლობდა დღისით და დამით. იზ-რდებოდა ღვთის შიშით.

---

ნაირ საჭელებს ამზადებინებდა. შემდეგ კალათებით თავად მიჭრონდა გლახაკ-თა თავშესაფარში და შეუძლოდ მუოფებს თავისი სელით აჭმევდა. მეფე ბაკურის სხარსეთის შეფესთან სახავო სელუერულება ჸქონდა დადებული. ერთხელ იგი სხარსთა მეფესთან ერთად სალაშქროდ გაემართა. ორგორც კი მზე ამოიწვერა, სხარსთა მეფე და მისი მხლებლები ცნენებიდან ჩამოხტოვნენ, რათა მზისთვის თავანი ეცათ. მხოლოდ მეფე ბაკური დარჩა ცხენზე ამხედრებული. „მე ქრის-ტიანი ვარ და თავანს ვცემ მხოლოდ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს, უოველთა შემოქმედს და არა მის მიერ გაზინდ მზეს“, აღნიშნა ბაკურ დიდმა. ბაკურის მეუღლემ, დედოფალმა დუხტიმ ტანთ მამა ჩაიცვა, ძვირფასი სამკაულები გაუ-იდა და აღებული თანხა ღარიბებს დაურიგა. მხურვალედ მლოცველ ღუხტიას უფლისგან კურნების ნიში მიენიჭა. იგი ავაღმეოფს ერთი სელის შესებით კურნავდა. პეტრე იბერის ბებია (მამის მხრიდან), ოსდუხტი, ხალხს ისეთ დიდ წმინდანად მიაჩნდა, რომ როდესაც მიწისმერების შედეგად დანგრეული ციხე-სიმაგრეების აღდგენას ვერ ახერხებდნენ, მის წმიდა ნაწილებს მიიტანდნენ და ციხე-სიმაგრეში დაასვენებდნენ. პეტრეს აღმზრდელი ძუძო დამით დგებოდა და ისე გულმხურვალედ ცრემლებით ლოცულობდა, რომ მასთან მმინარე ურმას მისი ცრემლები ეცემოდა. პეტრეს დედა ბაკურდუხტმა მეუღლის გარდაცვა-ლების შემდეგ ქალაქი დატოვა და სოფელში განდეგილივით ცხოვრობდა. გაჭირვებულებს ეხმარებოდა და სოფლებში უმწეოთა თავშესაფრებს აგებდა. ბოლოს კი მონაზენად აღიკვეცა. (12. გვ 249-254).

<sup>1</sup> „აჩა უქველი საბუთი, რომ მირიანის დროიდანვე ქართულ ენაზე ისწავ-ლებოდა და იმოძღვრებოდა ქართველი ერი“ (3. გვ. 28). „სამღვდელოებაზ

გამართა ეკლესიებთან ურმათა სასწავლო სკოლები, რომელთაც მთელი ერთი იმ დროს საბერძნეთსა და სპარსეთს შორის ომი იუო გაჩაღებული. ბერძნებს ეშინოდათ, რომ ქართველი მეფე მიემსრობოდა სპარსელებს და გაერთიანებული ძალებით დაამარცხებდნენ. მიუხედავად ქართველი მეფის დაპირებისა, რომ იგი არ განუდგებოდა ბერძენთა მეფეს და არ მიემსრობოდა სპარსელებს, თეოდოსი მცირებ მძევლად მოითხოვა ქართველი უფლისწული, რათა სიუვარული და მშვიდობა უფლისწული ქართველებსა და ბერძნებს შორის. ვარაზ ბაკურმა 12 წლის მურვანოსი გააგზავნა სამეფო ქალაქ ქონისტანტინეპოლიში, საბერძნეთის სამეფო კარზე მურვანოს თან ახლდა მისი გამზრდელი, თავისი დროის უგანათლებულები ადამიანი, ფილოსოფოსი მითოდა ატელაზი.

მეფე თეოდოსმა დიდი ზარივით მიიღო ქართველი უფლისწული და საკუთარი შეიღივით აღზარდა. იმპერატორის სასახლეში მონასტრული ატმოსფერო სუფევდა. მეფე-დედოფალი და სამეფო კარი დიდ ღვთისმსახურებაში იყვნენ. დროის უმეტეს ნაწილს მუდმივ ლოცვასა და მარხვაში ატარებდნენ და მოწეალებას უხვად გასცემდნენ. მურვანოსი სედავდა რა მათ დიდ ღვთისმოსაბას (სიუვარული ღვთისადმი მას სამშობლოდან, თავისი მშობლებისგან გამოუვა),

---

ეკლესიაში მკითხველ-მგალობლად გადააქციეს. თუ რა მშენივრად იუო ერმათა აღზრდა სწავლების საქმე იმ დროს საქართველოში, ამის უქვეველ საბუთს ვაროვლობთ წმიდა შეტრე ქართველის სვინაქსარში...“ (3. გვ. 27). როგორც შეტრე იძერის ბიოგრაფიიდან ჩანს წმიდა წერილი ქართულად იმ დროის-ათვის უკვე არსებობდა. სწორედ მას კითხულობდა დღე და ღამე 9 წლის მანძილზე (3 წლიდან 12 წლამდე) ზატარა მურვანოსი საქართველოში. ამიტომაც არაა შემთხვევითი, რომ მის მიერ აშენებულ მონასტერში აღმოჩნდა ქართული წარწერები – ერთ-ერთი უძველესი დღემდე ცნობილ წარწერათა შორის (3. გვ. 9). წ. კითხვის წიგნ-საცავში ინახება ორი ძველი სამოცი-ქულო დაწერილი ერთი VII-VIIIს., მეორე IX-Xს. ხელით დაწერილი), რომელთა წინასიტუაციის წარწერათაგან, საგულისხმოა, რომ სრული

სამოციქულო სათაურითურთ უთარგმნიათ ქართულად 399წ. (19. გვ. 41). მან კიდევ უფრო გაამრავლა თავისი სათხოებანი. მკაცრი მარხვა, მღვიმარება, გამუდმებული ლოცვა, გლახაკთათვის მოწელების გაცემა, სიმშვიდე, სიეფარული, სიკეთე, მოთმინება და, ორგორც წმიდა მოციქული იტეოდა, „ეოველნივე ნაეოფნი სულისანი შეიტკბნა, ომელ არიან წმიდანი სათხოებანი“. უველაზე მეტად კი მოიპოვა სულისა და ხორცის სიწმიდე დიდი იოსების მსგავსად. მურვანოსი სამეფო სამოსლის ქვეშ ფარულად ბალნის სამოსელს (თხის ბეჭვისა-აგან მოქსოვილი უხეში ჩერანგი), ძაბას ატარებდა. მარხულობდა კვირაში ორჯერ ან სამჯერ, ხანდახან კი მთელი კვირის განმავლობაში არაფერს იღებდა, მსგავსად დანიელ წინასწარმეტეველისა და მისი მეგობრებისა (სამი ურმისა). იგი თრგუნავდა ხორცის სიმხურვალეს და „ცეცხლსა მას სულისასა განამლიერებდა, ოძლისა მოფენად მოვიდა ქრისტე ძე ღვთისა“. ჯერ კიდევ უმაწვილს ღმერთმა მიანიჭა განკურნების მაღლი.

იმ დროს სპარსეთში აწამეს ქრისტეს მიმდევრები. ქრისტიანებ-მა, ომლებიც ესწრებოდნენ მათ წამებას, ქართველთა მეფე ვარაზ ბაკურს გამოუგზავნეს მოწამეების წმიდა ნაწილები. ამ წმინდანთა წმიდა ნაწილები მურვანოს თან ჰქონდა და ემსახურებოდა მათ დიდი მოწირებით. ოცა უფლისწულს ძილი მოუნდებოდა, წვებოდა პირდა-პირ იატაკზე მოწამეთა წმიდა ნაწილების წინ და ასე იმინებდა. წმიდა მოწამენი ძილში ეცხადებოდნენ მურვანოს მხედრების სახით, ანუგ-ეშებდნენ მას, მოუთხობდნენ ფათა სასუფეველსა და დაუსრულებელ ნეტარებაზე.

გავიდა ერთი წელი. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს წმიდა შობის დღესასწაულის აღნიშვნიდან თერთმეტი დღის გასვლის შემდეგ დადგა წმიდა და ბრწეინგალე და ნათლით შემოსილი ქრისტე ღვთის ნათლისღბა. ნათლისღების დღესასწაულზე დიდებულები, უბრალო სალწი და თვით მეფე-დედოფალი წირვაზე დასასწრებად წავიდნენ ნეტარი კონსტანტინე დიდის მიერ აშენებულ წმიდა სოფიოს ტაძარში.

მონა ღვთისა მურვანოსი დარჩა სასახლეში, რადგანაც რაც შეიძლება მეტი გულმოდგინებით შეესრულებინა ლოცვის კანონი და თავისი თავისთვის დასვენების უფლება არ მიეცა. მას სურდა მომსახურებიდა მოწამეთა წმიდა ნაწილების. მურვანოსმა გაწმიდა კანდელები, რომელთა ანთებასაც აპირებდა წმიდა ნაწილების წინ. მან ერთ-ერთ მსახურს კანდელების ასანთებად ზეთის მოტანა სთხოვა. მსახური განრისხდა და უთხრა: „რა არის ეს? უკელა ქრისტიანი აღნიშნავს ნათლისღების დღესასწაულს და მხიარულობს, ჩვენ კი მონაზვნებივით ცდის ცდის ცდის“. მან არ მოუტანა ზეთი, უფრო მეტიც, უფლისტულის მოკვლა განისრახა, რათა მისგან გათავისუფლებულიყო და თავის ნებაზე ეცხოვოდა. ნეტარი მურვანოსი არ განრისხებულა. იგი მშვიდად წამოდგა და კანდელები ზეთის მაგივრად წელით აავსო. შემდეგ მუხლი მოიღოკეა და, მსგავსად წმიდა ელია წინასწარმეტყველისა, აღაპერო ხელები და კანდელების ასანთებად ითხოვა მაღლი ღვთისაგან და წმიდა მოწამეთაგან. ჰოი, სასწაული, რამეთუ კანდელები წეალზე უცებ აინთო და ზეთის გარეშე შვიდი დღე-ღამის განმავლობაში იწვოდა „დიდად ბრწეინვალედ“. ამ სასწაულის შესახებ აცნობეს ბერძენთა მეფეს თეოდოს მცირეს. როცა მეფე და დიდებულები მოვიდნენ და იხილეს, თუ როგორ ბრწეინვალედ ენთო ზეთის გარეშე წეალზე კანდელები, აღიდეს ღმერთი და თქვენს: „ნეტარია მონა ღვთისა მურვანოსი“. მეფე ეამბორა მის წმიდა სახეს. ამ სასწაულის შემდეგ მეფე და სასახლის დიდებულებმა კიდევ უფრო შეიუერეს ღვთისმოსავი უფლისტული. ერმა მურვანოსი მკაფრად იცავდა შემდეგ წესს. იგი ეოველდღიურად თავისი საკვების ნაწილს დარიბებს უნაწილებდა. ერთხელ, როდესაც მურვანოსი მხურვალედ, ცრემლებით ლოცულოდა, იხილა მის წინ მდგარი უფალი იესო ქრისტე. მურვანოსმა მეისვე თავებანი სცა უფალს, ცრემლებით ასველებდა უფლის წმიდა ფეხებს და თან ევედრებოდა: „უფალო, უფალო, ნუ მიმატოვებ“. უფალმა ნუგეში სცა და აღუთქვა: „მრავალნი კეთილნი იქმნენ შენ მიერ ქვეეპასა ზედა, რამეთუ მე შენთანა გარ ეოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა“.



მინიატურა „კანდელთა უზეთოდ ანთების სასწაული“

შეტრედგას სამლოცველოში და მარწხენა ხელით კანდელში ასხა-  
ამს წეალს. მინიატურა ძლიერ დაზიანებულია, დახატულია ბესარიონ  
კათოლიკოსის შეკვეთით. ქართველ წმინდანთა ცხოვრება-წამებათა  
კრებული, ე.წ. ბესარიონ კათოლიკოსის (1725-1737) კრებული. ხელ-  
ნაწერი S-3269, 290r. გადაწერილია XVIII საუკუნეში.

O miracle! St. Petre lights icon lamps on water instead of oil (it is recounted in detail on p.145).

մաշրամ օևոնո, զօնց մաստան օջախեն, զերագյելս եղազարնեն. ուժմբա, զալուսեմա-քյզես, ռոմ յարտզել սպալուսիշյալս գամութեազեծ<sup>1</sup> քյոնքա.

ամ ջղութան մոյուլյածյալու մշրշանումա մըրկուցք զաճանչյան օյրու-սալումմու զամշ ֆազրեծա. յէ ռոմ զացո տյարուսու մբուրյմ, սպալուսիշյ-լու տաշուտան մռութմա դա մշյազարն առ բաւալույու, մաշրամ օմնյուրա-ժորմա մշրշանուս անրու յյր մշյացալյազոնա. մամոն մյոյմ սպալուսիշյալս մյուշալյալյարյան մուշիոնա, ռատա մուտզուս մյացրաճ յըզանյան նոնատ տաշալո. մատ զաճանչյան նյուրամ մշրշանուսուս մռացալա, ռաճգանաց յմինութատ, ռոմ սպալուսիշյալս զակյազուս մշյատեզայամ, մյոյսաց սաս-րույս սաւայլու յլութատ. մաշրամ լմյորտո օյդարացա տաշուս ռիյյալ մշրշանուս, ռոշորուց օյդարացա ռուսեծս մուսո մմյեծսացան.

ոյշ զօնմյ սաշյուրուսու սաւայլաճ օռանյ (սայսարուա սպալուսիշյալս արմիշրջել մուտրութալյ լաթիյ) յացու ֆմութա դա զանմուրյածյալու յացալու ծոռուրու սայմուսացան. օմուտզուս, ռոմ սպարու մյուրու տաշաճաճյան յմսանյ-րատ սպալուստզուս, մշրշանումա դա օռանյ սաշյուրուսմա զաճանչյան նյուրուս սա-սանուս դարուցան. յրտեյլ, ռոջըսաց օևոնու յրտաճ օլենդնյեն դա սայ-ծոռութնյեն սայսայնու ցեռաշրյան մշյասեծ, մատ զասեյն ճատ մացեռաշրուս սության: „ռամյույ սաճաճա յացնյեն ռենո, զօնա սամնու մշյան նյարյան լու սա-յլուսա հյմուսատուս մյուն (յ) յար մյու մուրուս մատսա“ (մատյ 18,20) դա յուրաքանչ „դա ռոմյուման առա ալութա յարան տաշուս դա մշյամության մյ, օցո առա առս հյմդա դուրս“ (մատյ 10,38).

<sup>1</sup> յրտեյլ, ռոջըսաց օև մատ մուրուս օջաճ դա մատ սայլուս ենակյ յեսայուրյ-ծոռճա, սպայ դասոնանա սպալուս ենակյուն սամուսյալմու. սպալուսիշյալու դաշարճա, յտայյանա, մուս յոյեյան եյլյան մուշյուս դա բուրութատ դա ցորյության նյամումանա: „հյմու սպալու դա հյմու լմյորտու!“. մաս յցոնա ռոմ նեցյան նյազարնյեն սպալու. ամ զամութեաճյան մշյամ մատցանմա յարյու յէ յայյանա դա հասկյա մոնանյ-նուս սամուսյալո. ռոջըսաց մշրշանուսու նյուրաճ ալուցյացա, յցուեն մատու սանյալյան. մատ մուրուս յայյան ջայումուսա մոնանուն տյարությ դա մուսո մմյեծս – նորուլյ դա սովորունո. տաշալոսահինու տանամդյան մուրուս նորյան, յրտու – նյուրու դա մյուրյ –

სამეფო ქონების გამგებელი (12. გვ. 259).

მურვანოსმა და იოანემ მტკიცედ გადაწყვიტეს, როგორც კი ხელ-საყრელი შემთხვევა მიეცემოდათ, იმპერატორისაგან ფარულად დაუ-ტოვებინათ სამეფო კარი და გაქცეულიყვნენ.

იმის შესახებ თუ როგორ დაეუფლა ნეტარი ზეტრე (უფლისწულ მურვანოსს სახელი ზეტრე ბერად აღკვეცის შემდეგ ეწოდა) ბერმელს, გაუწეუბთ შემდეგს. ჩვენი ეოფნის დროს კონსტანტინეპოლიში მან ისე აღვიდად ისწალდა ბერმელი და დაეუფლა მეცნიერების დარგებს, რომ თავისი გონიერებით მეფე და სასახლის ფილოსოფოსები განაცვიფრა. ასევე აღვილად შეისწავლა მან ასურული ენა<sup>1</sup>, როდესაც ჩვენ წავედით იერუსალიმში. დავუბრუნდეთ ზემოთ მოხსენიებულ ამბავს. მურვა-ნოსმა და იოანე ლაზარი მტკიცედ გადაწყვიტეს კონსტანტინეპოლი-დან წასვლა. ერთხელაც, ღამით იზოვეს მათთვის ხელსაყრელი დრო, აიღეს ცხოველმჟღველი ჯვრის ნაწილი, იმ წმიდანების ნაწილები, რომელთაც ისინი ემსახურებოდნენ, საჭირო თანხა და დატოვეს ქა-ლაქი კონსტანტინეპოლი. ქალაქიდან გამოსულებმა დაინახეს ნათ-ლის სვეტი, რომელიც ბნელ დამეში მათ გზას უნათებდა. ნათლის სვეტიდან მოესმათ ხმა: „ეძიებდეთ ნათელსა, რომელი იგი მოვიდა

<sup>1</sup> ქართული საისტორიო წეარო გვაწვდის ცნობას ბირველ ენაზე: „ხოლო ბირველი ენა ასურებრი იუო“ (35. გვ. 163). ბირველი ენა – ასურული ანუ ქა-ლდეური იუო (40. გვ. 439). სახელოფანი ისტორიკოსი - არქეოლოგი, ქართუ-ლი ენის გრამატიკის ერთ-ერთი ბირველი შემდგენელი და პედაგოგი თევდორე ქორდანია გამოთქვამს მოსაზრებას: „უკველია, რომ ბირველად საღვთო წიგნები გადათარგმნილ იქნა V საუკუნეში ასურულ ანუ ქალდეურ ენიდან. ბირველ მთარგმნელებად მოხსენებულია ქართველნი, სტეფანე და დავითი...“ (19. გვ. 46). როგორც სტრაბონი, ისე სხვა ძველი ბერძენი ისტორიკოსები მიუთითებენ, რომ ხალდები იგივე ხალიბები არიან. ქალდეულები ძველად ხალიბებად იწოდებოდნენ. ხალიბები კი ქართველური ტომია (28. გვ. 139).

ქალდი ქართველთა უმეელეს სახელს წარმოადგენს.

მამისაგან ნათლისა და რომელი ეძიებდეს მას ნათელსა სასეიდელი სრულებით მიიღოს“: წმიდანებმა დაინახეს სვეტი ნათლისა და მოქსმათ რა ხმა სვეტიდან, დიდად გაიხარეს და ადიდეს წმიდა სამება. ამასობაში მიაღწიეს ზღვის ნაპირს. ღვთის განვებით, ნავიც გამოჩნდა. ავიდნენ ნავზე და გაუდგნენ გზას. ინათა თუ არა, მეფე თეოდოსს მოახსენეს ნეტარი მურვანოსის გაქცევის შესახებ. დიდად დამწუხრდა მეფე და ბრძანა სასწრაფოდ მოეძებნათ ისინი. მათი მიება ამაო აღმოჩნდა, რაღგანაც ღმერთმა დაიცვა თავისი მონები. გადაცურეს ზღვა და როდესაც ხმელეთზე დადგეს ფეხი, წმიდანებმა აიღეს მოწამეთა წმიდა ნაწილები, წმიდა სახარება, ნაწილი ცხოველმუოფელი ძელის (ჯვრის) და გზა გააგრძელეს. გზაში ღმერთმა მათ მრავალი სასწაული მოუვლინა. სიცოცხლის მომნიჭებელი ჯვრის ნაწილს მთელი მოგზაურობის განმავლობაში უხვად სდიოდა მირონი. ისინი იღებდნენ მირონს, იცხებდნენ სხეულზე და დაღლილობა სწრაფად ენსწოდათ. ამის შემსედვარე წმიდანები ადიდებდნენ უფალს, რომელმაც მათ ასეთი სასწაული მოუვლინა.

მიაღწიეს ერთ ქალაქის. ამ ქალაქის მთავარმა ისინი შეიბერო და საპურობილები ჩასვა. უთხრა, რომ შეიცნო მათში გაქცეული მონები და არ გაათავისუფლებდა მათ, სანამ არ მოვიდოდა მდევარი. იმ ღამეს მოხდა ისეთი დიდი მიწისძვრა, რომ ქალაქში მრავალი სახლი დაინგრა. ქალაქის მთავარს მილში გამოცხადება ჰქონდა. მას ეჩვენა „ვინმე კაცი საშინელი“ რომელებმაც უთხრეს, რომ თუ არ გაათავისუფლებდა ტუსაღებს, მთელი ქალაქი მიწასთან გასწორდებოდა. გამთენისას შემინებული მთავარი სასწრაფოდ გაეშურა საპურობილისკენ, დატევევებულ წმიდანებს ფეხებში ჩაუვარდა, გაათავისუფლა ისინი და შატიება სთხოვა. იგი ცოტმლებით ევედრებოდა მათ ქალაქში დარჩენას და აღუთქვა, რომ აუშენებდა ისეთ მონასტერს, როგორსაც მოისურვებდნენ, მაგრამ ისინი არ დასთანხმდნენ და იერუსალიმისკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

მიუახლოვდნენ თუ არა წმიდა ქალაქ იერუსალიმს, შეჩერდნენ  
და დიდხანს ღვარეს ცრემლები. შემდგე შევიდნენ ქალაქში, მოილო-  
ცეს წმიდა ადგილები და ეკლესიები: წმიდა აღდგომისა, გოლგოთა და  
დიდებული ბეთლემი, ზეთისხილის წმიდა მთა და გეთსიმანია, სადაც  
განსასვენებელი პატივა დედა ღვთისამ და საიდანაც უფალმა ჩვენმა  
იესო ქრისტემ აღამაღლა ზეცად მისი უოვლადწმიდა დედის უწმიდე-  
სი სხეული. მხურვალე ცრემლებით მოილოცეს ცხერის კარიბჭესთან  
არსებული ტაძარი – ზრეპატივე, სიონის წმიდა მთა – მოციქულების  
შეკრებისა და სხვა წმიდა ადგილები.

იერუსალიმში მოლვაწეობდნენ რომაელი დიდებული ზინინო  
და მისი მეუღლე – რომაელი სენატორის ქალიშვილი მელანია.   
მათ იერუსალიმში ააშენეს ორი მონასტერი: დედათა და მამათა და  
შეუღდნენ მონაზენურ ცხოვრებას მათ მიერ აშენებულ მონასტერში.   
რომაელი დიდებული ზინინო ზურგით ეზიდებოდა შეშას თავისი მონ-  
ასტრისათვის, რათა მორჩილების მაგალითი ეჩვენებინა მონასტრის  
ბერებისათვის. ზინინოს მსგავსად ხეტარი მელანიაც თავს ხელსაქმით  
იოჩენდა. ზავლე მოციქულის სიტევისამებრ: „უკეთუ ვისმე არა უნებს  
საქმის, ნუცადა ჭამენ“ (II თესალონიკელთა მიმართ 2,3).

მელანიამ ცინო მურვანოსი და იოანე, რომელთაც იგი ჯერ კიდევ  
კონსტანტინეპოლიდან იცნობდა და მათზე ზრუნვა თავად იტვირთა.  
ისინი გაგზავნა ზინინოს მიერ აშენებულ მონასტერში და ჩააბარა  
მონასტრის წინამდღვარს დიდმოღვაწე და კეთილშობილ ადამიანს.  
მონასტრის წინამდღვარმა მურვანოსი და იოანე დიდი სიხარულით  
მიიღო და ბრწყინვალე აღდგომის ტაძარში, იესო ქრისტეს საფლა-  
ვზე მონაზენად აღკვეცა. (იმ დროს ზეტრე 20 წლის იესო). მურვანოს ს  
უწოდა ზეტრე, ხოლო მითრიდატე ლაზე იოანე და წაიუვანა მონას-  
ტრეში.

ზეტრე და იოანე დღენიადაგ ლოცულობდნენ, მარტულობდნენ და  
წარმატებულები იუვენენ ღვთისსათნო უველა საქმეში – ასე განვლო  
ზეტრეს ცხოვრების 25-მა წელშა. წმიდა ზეტრემ იმდენად დათრგუნა

თავისი ხორცი, რომ მისგან მხოლოდ მეტალი და ტეავი იყო დარჩენილი. სამოსელი მისი იყო საოცრად უბრალო და ჰგავდა მათხოვრისას. უფრო დიდი დავაწლისათვის ისინი დიდი წნით გადიოდნენ უდაბნოში და კვლავ მონასტერში ბრუნდებოდნენ. ამის შემდეგ მათ დატოვეს მონასტერი და იმ ფულის ნაწილით, რომელიც კონსტანტინეპოლიდან წამოიღეს, ქალაქში ააშენეს სახლი სასტუმრო, სადაც „განმზადეს ფეხთა საბანელი, ტრაპეზი და სარეცელები“. თავშესაფარს აძლევდნენ საქართველოდან ჩამოსულებს, ასევე ბერძენ მოძლოცველებსაც. შემდეგ წავიდნენ უდაბნოში, შეკრიბეს მმები და თავისთვის აიშენეს მონასტერი. როცა მათი დავაწლის შესახებ შეიტყო პატრიარქმა ანასტასიმ, ხეტარი ჰეტრე და იოანე თავისთან დაიბარა, მათი დიდი წინამდლევობის მიუხედავად, მღვდლად დაასხა ხელი და კვლავ მონასტერში გაგზავნა.

მონასტერში დაბრუნებისთანავე ჰეტრემ და იოანემ უოვლადშიდა ღვთისმმობლის სახელზე ტამრის მშენებლობა დაიწუეს. ტამრის მშენებლობის დროს ჰეტრე დაიღალა და დასასვენებლად დაწვა. მაშინ მას წინ დაუდგა ეშმაკი. ის კიცხავდა ჰეტრეს და ეუბნებოდა: „რატომ არ დარჩი სატახტო ქალაქში, რათა უკრავ და გეჭამა განცხრომით? აი, ხომ ხედავ როგორ სულ ტეუილად იმრომე. მაღლი ვერ მიიღე. პროფესორი მიხეილ ქავთარია და დოქტორი ელენე კაველაშვილი ამოთქვამენ გარაუდს, რომ ფეხზე დგომაც კი არ შევიძლია“. ხოლო წმიდა ჰეტრემ არაფრად ჩააგდო იგი და შერისხა: „წარვედ ჩემგან, ეშმაკო, მე მხოლოდ ჩემი ღმერთის იმედი მაქვს. სასოწარკვეთილი შენ ხარ და შენი მსახურნი“. მაშინვე ბოროტი კვამლად იქცა და გაუჩინარდა. წმიდა ჰეტრემ კი ცრემლებით დაუწუო ღმერთს ვედრება. მაშინ გამოეცხადა უფალი ჩენი იესოქრისტე და უთხრა: „რა არის ჰეტრე? რატომ ხარ დაღონებული? განაარ იცი, რომ ჩემს ხელშია სიცოცხლეც და სიკვდილიც და ჩემგან არის ცხოვრება. მე შრომას არავის დავუკარგავ, პირიქით, მრავალგზის მიგაგებ არა მარტო შრომისათვის, არამედ გაფიქრებისთვისაც კი. რამეთუ წეტარ არიან, ვისაც არ ვუწახივარ ხორციელად და მაინც ჩემი რწმენა

აქვთ, ვიდრე ისინი, ვინც მიხილა და მემსახურებოდა მე. (იოანე 20,29). ახლა კი ზეცას ასედე. “ ზეტრემ აისედა და ზეცაში იხილა საუცხოოდ შემკობილი ტამარი, რომელიც მზესავით ბრწყინვდა. მან ასევე იხილა დიდებით აღსავსე 50 კაცი, რომელიც ტამარში მსახურობდნენ და გალობდნენ. უფალმა ზეტრეს უთხრა: „აი, ტამარი, რომელიც შენ ააშენე. ნუდარ წუხარ, იმხიარულე“. თქვა ოა ეს უფალმა, ზეცად ამაღლდა. წმიდა ზეტრემ თაუვანი სცა და ადიდა უფალი ღმერთი. გაძლიერებულმა უფლის შეწევნითა და მაღლით, დაასრულა წმიდა ეკლესიისა და მონასტრის მშენებლობა. თავი მოუეარა იქ მოღვაწე უველა ბერს, დაუდგინა მათ წესი და კანონი და დანიშნა მონასტრის წინამმღვრად წმიდა და ღმერთშემოსილი მამა. ამ მონასტერს ჰქვია ქართველთა მონასტერი (ქართველთა მონასტერს მოგვიანებით VI საუკუნეში ჯვრის მონასტერი ეწოდა) (16. გვ. 13).

ამის შემდეგ ნეტარმა მამებმა ზეტრემ და იოანემ დატოვეს მონასტერი და წავიდნენ უდაბნოში, სადაც მდინარე იორდანის ნაპირზე მონასტერი<sup>1</sup> ააშენეს. ღვთის მაღლით მრავალი სასწაული აღესრულა მათ მიერ აშენებულ მონასტერში, რამეთუ უღველ ღღესასწაულზე დიდი მოწიწებით გამოაბრძანებდნენ წმინდანების წმიდა ნაწილებს, რომელიც ნეტარ ზეტრეს სულ თან ჰქონდა. აღავლენდნენ წმინდანების მიმართ სავერცებელ ლოცვებს და, მას შემდეგ, რაც ემთხვეოდნენ წმიდა ნაწილებს, მათ კვლავ თავის ადგილზე დააბრძანებდნენ.

<sup>1</sup> მდინარე იორდანის ნაპირზე (იორდანის უდაბნოში) ბეთლემის მახლობლად აგებული დაზთა (ბეთლემის) მონასტერი აღმოაჩინა და გამოიკვლია 1952 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ. ვ. კორბოს აღმოჩენილი ქართული ტამარი თავისი არქიტექტურული მონაცემებით უველა საუკუთესოდ ითვლება ამ მიდამოებში გათხრებით აღმოჩენილ სხვა ტამართა შორის. რაც ნათელეოფს მისი ხუროთმოძღვრისა და ამშენებლის დიდ ოსტატობას, მაღალ კულტურასა და გემოვნებას. მთავარი კი ის არის, რომ ამ ტამ-

რის იატაკზე აღმოჩნდა უძველესი ქართული წარწერები (18 გვ. 34). მუდამ ასესოვდათ მოციქულის სიტყვები „მოისეენიებდეთ და ჰატიეს მიაგებდეთ წმინდანებს“.


ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი მათ მიერ აშენებულ მონასტერში იმულფებოდნენ იორდანის ნაპირას, იოანეს სახეზე მძიმე იარა, ურ-ვილი (მუწუკი) გაუჩნდა, რომელიც სახეს უჭამდა და თვალის ჩინს ართმევდა. იოანეს რცხვენოდა სალხში გამოჩენა და სახეს სელით იფარიავდა. წმიდა ზეტრემ წაიუგანა იგი იერუსალიმში უფლის საფლა-ვები. მსურვალედ ილოცეს და შემწეობა სთხოვეს უფალს. ლოცვის დამ-თავრების შემდეგ უველამ იხილა, თუ როგორ გამოვიდა კაცის ხელი წმიდა ლოდიდან (წმიდა გოლგოთას სათავანებელი კედელი) და შე-ეხო თუ არა იოანეს სახეს, მაშინუე განიკურნა. უველამ იხილა როგორ გადაეწმინდა იოანეს სახე. იარის კვალიც კი არ იუო დარჩენილი. მათ ღმერთი ადიდეს, რომელიც შეეწია წმიდა მამებს.

მოგვიანებით იოანე კვლავ აგად შეიქმნა. დააგადება სასიკვდი-ლო იუო. ვინც კი მას ნახავდა, ამბობდა, რომ მისი გამოჯანმრთელება შეუძლებელი იუო. ნეტარს კი უხაროდა ამ სოფლის დატოვება, რადგან სასოებდა ღმერთზე, რომ იგი მიანიჭებდა მას საუკუნო ნე-ტარებას. წმიდა და ნეტარი ზეტრე მალიან განიცდიდა იოანეს უიმ-ედო მდგომარეობას და ემნელებოდა მასთან განშორება. ერთ ღამეს, როცა ზეტრე ლოცვად იდგა და ღმერთს იოანეს გამოჯანმრთელებას ევედრებოდა, მას ზეციდან ხმა მოესმა: „ზეტრე შენი სიუვარულისა და მსურვალე ლოცვების გამო იოანე კიდევ თორმეტ წელს იცოცხლებს“. მოულოდნელად იოანე ფეხზე წამოდგა. მთელი სხეულიდან ქერ-ცლი მოსცილდა და კანი ჩვილი ბავშვისას დაემსგავსა. ამის შემსედ-ვარე უველამ ადიდა ღმერთი, რომელიც ასრულებს იმათ ნებას, ვისაც ღვთის შიში და სიუვარული აქვს. წმიდა ზეტრემ უთხრა ნეტარ იოანეს, რომ მას ღვთისადმი მაღლობის ნიშნად უსისხლო მსხვერწლი უნდა შეეწიო. ნეტარმა ზეტრეს აუხსნა, რომ იგი წირვას ვერ ჩაატარებდა, რადგანაც ხმა წართმეული ჰქონდა. რაზეც წმიდა ზეტრემ უზასუსა

„თუ უფლისთვის საამო იქნება შენი შესაწირავი, იგი ხმას დაგი-ბრუნებს“. მაშინ ადგა ნეტარი იოანე, შევიდა საკურთხეველში და დაი-წეო ქამის წირვა და მიეცა მას უფლისაგან ხმა პირველზე უკეთესი და უფრო ძლიერი.

ამის შემდეგ ნეტარ იოანეს თავის სენაკში ჰქონდა გამოცხადე-ბა. იხილა უფლის საშინელი სამსჯავრო (მეორედ მოსვლა). ჩვენება სამი ღლე-ღლამის განმავლობაში გრძელდებოდა. მან იხილა საშინელი სამსჯავროსათვის გამზადებული საედრები (ტახტები). ცაზე, ღრუბ-ლებში, გამოჩნდა ცხოველმუფლები ჯვარი. მან იხილა უფალი — მსა-ჯული უოველთა, რომელიც საედარზე იჯდა, ხოლო მის გარშემო იუო ანგელოზთა, მთავარანგელოზთა, სერაფიმთა და ქერუბიმთა გუნდი. მან ასევე იხილა წმიდა მოციქულები, რომლებიც საედრებზე ისხდ-ნენ. ხოლო წინასწარმეტყველები, ერველი წმიდანი და მართალნი, ქრისტე ღმერთის მარჯვნივ იდგნენ. ნეტარი და წმიდა პეტრე და თვით იოანე საკურთხევლის წინ ისხდნენ. მათ გარშემო კი — მრავალი მონ-აზონი, რომლებიც მათ უფალს წარუდგინეს. იოანე სედავდა როგორ ერიდნენ ზოგიერთებს, ჩაუქრობელ ცეცხლში, ზოგი კი ღებულობდა უშენობ გვირგვინს. იოანემ ასევე იხილა უოვლადწმიდა ღვთისმშობე-ლი — მდგარი თავისი მის წინაშე, რომელიც ღოცულობდა მთელი სა-მეაროსათვის. ხილვა იმდენად შემზარავი იუო, რომ მისი გადმოცემა ადამიანის ენით შეუძლებელია, როგორც ამის შესახებ თვით ნეტარმა იოანემ გვიამბო. ამ ხილვის შემდეგ იოანე 30 დღის განმავლობაში არავის გამოლაპარაკებია. ის ფიქრებით დედამიწაზე კი არა, ზეცაში იუო, ხოლო სახე ანგელოზს მიუგავდა.

წმიდა პეტრე, მისი მოწაფები და ნეტარი იოანე გაემგზავრნენ ეგვიპტეში. მათ მოილოცეს სკიტის უდაბნო. პეტრემ და იოანემ უდ-აბნოში აარჩიეს ადგილი, სადაც ააშენეს ტამარი. მის გარშემო კი დააარსეს მონასტერი. წმიდა მამებმა ტამრის საკურთხებლად ეჩის-კოშოსი მოიუგანეს. ტამრის კურთხევის დროს მათ იხილეს წმიდა მარ-კოზ მახარებელი, რომელიც ნელსაცხებელს სცხებდა და აკურთხებდა



იერუსალიმის ჯვრის  
მონასტრის ფრესკა.  
ამ ფრესკასთან  
დაკავშირებით საინტერესო  
ვარაუდი გამოთქვა  
ს. ეაუხიშიშვილმა. მისი  
თქმით, თვალაზეეული,  
სქემოსანი მონაზონი  
შეიძლება იუოს პეტრე  
იბერის მასწავლებელი  
და თანამოღვაწე, იოანე  
ლაზი (26. გვ. 13 -14 ),  
რადგანაც, ოოგორც „პეტრე  
იბერის ცხოვრებაშია“  
მოთხოვილი იოანეს  
სახეზე ურვილი გაუჩნდა,  
რომელმაც მას მხედველობა  
წაართვა. მისი განკურნება  
მოხდა უფლის საფლავზე.  
ფრესკას ახლავს ქართული  
წარწერა: „იუვენედ წელი  
თქვენი მორტემულ და  
სანთლები აღნთებულ“  
(ლუკა. 12:35).

მათ მიერ აშენებულ ტამარს. ღმერთმა მრავალი სასწაული მოახდინა ნეტარი ზეტრეს სელით, როგორც მის მიერ აშენებულ ტამარში, ისე მთელ ალექსანდრიაში მან განკურნა მრავალი ეშმაკეული, ბრძა, კოჭ-ლი და კეთოვანი.

შემდეგ ისინი დაბრუნდნენ იერუსალიმში, სადაც მათ კვლავ ააშენეს სახლი – სასტუმრო (უცხოთა თავშესაფარი). შემდეგ ახალი ტამრის<sup>1</sup> მშენებლობა დაიწყეს.

მათ სიახლოეს ვინმე მდიდარი ერისკაციც აშენებდა ტამარს. მას საზღვრის გამო დავა ჰქონდა ზეტრეს მოწაფეებთან. ერთ დღეს, როდესაც იოანე ტამრის მშენებლებთან იმუოფებოდა მოდავე კვლავ აუხირდა, სახეში სელი გაარტეა და ტამრის მაშენებლები გაყარა. იოანემ არ უპასუხა, უსიტყვოდ შევიდა ზეტრესთან სენაქში და მომხდარის შესახებ აუწეა. წმიდა ზეტრემ არ შერისხა მოძალადე, მშვიდად თქვა: „გასაკირი იქნება, თუკი იგი არ მოკვდება ამ დამეს“. გამთენისას გაიგეს, რომ მათი მოდავე გარდაცვლილიყო, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ჯანმრთელი იუო. მას ღვთის რისხეა უწია. „რამეთუ წერილ არს: ჩემი არს შერის-გებაი, და მე მივაგო, იტყვის უფალი“ (რომაელთა მიმართ 12:19). მისი დასაფლავების შემდეგ წმიდა მამებმა კვლავ გააგრძელეს ტამრის მშენებლობა და ღვთის შეწევნით კეთილად დასრულეს.

ნეტარი მამები თავმდაბლად ემსახურებოდნენ უველა მომსვლელს. ღებულობდნენ და აბურებდნენ გლახაკებსაც და იერუსალიმში სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მომლოცველებსაც<sup>2</sup>. ერთხელ, მათ სურსათი გამოელიათ. ჩვეულებისამებრ თავი მოიყარა

<sup>1</sup> ეს ის ტამარია, რომელიც წმიდა ზეტრემ ააშენა იერუსალიმში, სიონის ტამრის ზემოთ (ჩრდილოეთით), ვ.წ. „დავითის კოშკის“ ახლოს. მას ახლაც იბერთა მონასტერი ჰქვია (16. გვ. 11).

<sup>2</sup> ი. რუფუსი წერს, რომ ზეტრე და იოანე მომლოცველებისათვის, უპოვართა

და გლახაეთათვის ხშირად, განსაკუთრებით ღღესასწაულებზე ათ მაგიდასაც კი უამრავმა გაჭირვებულმა და მოძღვაცემამა. წმიდა მამები ღმერთს მინდობილნი ღოცვად დადგ წენ. ღოცულობდნენ და თან ქრისტეს ევერებოდნენ: „უფალო, უფალო შენ ამბო ნუ ზრუნავ ხვალისთვის, რადგან ხვალე იზრუნებს თავისთვის (მათე 6,34). მაგრამ როგორ მოვიქცეთ ახლა, როდა სურსათი გამოგველია შენი მონების გამოსაკვებად“. სანამ წმიდა მამები ღოცულობდნენ, უველა ჭურჭელი გაისო ხორბლით, ფქვილით, პურით, მუხუდოთი, ზეთითა და ღვინით. ჭურჭლები ვერ იტევდა მათ სიმრავლეს.

ამ სასწაულის მხილველებმა ადიდეს უფალი და გულუხვად გასცეს მოწეალება. არქიმანდრიტმა ზენონმა ჰეტრეს და იოანეს მონასტერში დაბრუნება ურჩია, რათა იქ მმებთან ერთად მორჩილებითა და თავმდაბლობით, მარხვითა და ღოცვით ეღვაწათ. ისინი დაემორჩილნენ მამა ზენონს და მონაზვნური ცხოვრება იერუსალიმთან ახლოს მეოფ მონასტერში გააგრძელეს. ისეთი შემართებით იღვწოდნენ, თითქოსდა ახლად აღგვეცილები იუვენენ. უღველდღე ისვეტდნენ სათნებებს და სულიერების უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდნენ. ამ მონასტერში აღესრულა წმიდა და ნეტარი საჭურისი იოანე — წარსდგა ის უფლის წინაშე მოძღიმარი სახით. იგი დიდი ჰატივით დაკრძალეს მათ მიერ აშენებულ ქართველთა მონასტერში. ხოლო ნეტარმა ზეტრემ კიდევ მრავალი წელი იღვაწა მონასტერში, რომელშიც მამა ზენონმა გაგზავნა.

---

შლიდნენ და უველას თვითონ ესახურებოდნენ (45. გვ 291). კ. ჰორნი ზეტრე იბერის სტუმართმოვარეობით ჰატრიათერ აბრაამს ადარებს. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ აბრაამის მამის — თარიჩას — ქალდეველთა ურიდან გამოსვლის დროისათვის ქალდეა ქართველთა წინაპარი ტომებით იუო დასახლებული (ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა წინაპარების ბიბლიური ისტორია ადამიდან იქსომდე, თბ., 1994, გვ. 33). ქართლის ცხოვრების თანახმად, მცხეთოსის გაქმა ჯაფარის ჯაფარეთის ტერიტორიაზე დააარსა ორი ქალაქი: წუნდა და არტანისი, რომელსაც

მოგვიანებით ური ეწოდა (ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 10).

მისი დგაწლის შეფასება შეუძლებელია, რადგან იგი „უზესთავს იქმნა ბუნებისა კაცთასა და დიდად განითქვა სახელი მისი იერუსალიმში, ზალესტინასა და ეგვიპტეში.“ ეველათთვის განდა სანატრელი, ვითარცა ქრისტე ღმერთის ჭეშმარიტი მონა.

იმ ღორს მაიუმში (ღაზაში შემავალი ქალაქი) გარდაიცვალა ეპისკოპოსი. ქალაქის მაცხოვრებლებმა ზატრიარქს თხოვნით მიმართეს: „წმიდაო მეუფე, ჩვენი ქალაქის ეპისკოპოსი გარდაიცვალა და ჩვენ ზეტრე ქართველის გარდა სხვა ეპისკოპოსი არ გვინდა“. ზატრიარქმა მისი მოქმედნა ბრძანა. წავიდნენ და იზოვეს იგი უდაბნოში, რადგანაც ჩვენი წმიდა მამა უდაბნოს დიდი მოვარული იყო, სადაც ხშირად განმარტოვდებოდა ღმერთთან სასაუბროდ. ოოგორც კი იზოვეს, დაიჭირეს და ოომ არ გაქცეულიყო შეკრეს. ასე შეკრული წაიყვანეს. ოოდესაც წმიდანმა გაიგო, ოომ მას ეპისკოპოსობას უპირებდნენ, მალიან შეწუხდა და მწარედ ატირდა. ევედრებოდა გაეშვათ და მიზეზად ასახელებდა იმას, ოომ ცოდვილი იყო. მაგრამ ხალხი არ უსმენდა. გზაში ერთ სოფელთან შემოაღამდათ. წმიდანს გაქცევა რომ უერ მოეხერხებინა, შეჩერდნენ მაღალსართულიან სახლში. წმიდა ზეტრემ უთხრა მათ, ოომ გაეხსნათ დამე, ხოლო გამთენისას ისევ შეკრათ. მათ ზეტრე გახსნეს. ოოდესაც უველამ დაიმინა, ზეტრე ჩუმად ადგა და გადაწვიტა გადამხტარიულ. ის ფიქრობდა, ოომ თუ გაქცევას უერ მოახერხებდა სხეულის ოომელიმე ნაწილს მაინც დაიზიანებდა, ამით იმ ზატივსა და დიდებას მოაკლდებოდა, ოომელსაც უმზადებდნენ. ვინაიდან მას ამა სოფლის დიდება სმულდა. მაშინ მას უფალი გამოეცნადა ანგელოზთა დასთან ერთად და უთხრა: „ჟეტრე, განა არ იცი რა უფთხარი ჩემს მოციქულ ჟეტრეს, ფეხების დაბანისას ოომ მეურჩებოდა“. ჟეტრემ მრწოლით მიუგო: „ოოგორ არ ვიცი, უფალო“. მაშინ უთხრა უფალმა: „ახლა შენც იგივეს გეუბნები. მწერემსე ჩემი ცხვრები, თუ გინდა გქონდეს წილი ჩემს სამკვიდრებელში“ (იოანე 13,8; იოანე 26,16). უფალმა ანუგეშა და გააძლიერა იგი.

ამის შემდეგ უფალი ზეცად ამაღლდა. ხოლო პეტრე თავვანს სცემდა და ადიდებდა მის წმიდა სახელს. გამთენისას ხალხმა ნეტარი პეტრე პატრიარქთან წაიუვანა, რომელსაც პეტრემ უთხრა, რომ არ იყო ლიტისი ამ პატივისა. ოღონდ გაეშვათ და თავის თავს უდირსს უწოდებდა და იჩემებდა თითქოს მრავალი ცოდვა ჩაედინოს მაშინ, როდესაც უბიწო იყო. მას არავინ უსმენდა. პატრიარქმა წაიუვანა წმიდა პეტრე ტაძარში და ღვთის ნებით მთავარეპისკოპოსად აკურთხა. პატრიარქმა იგი თავისთან დიდხანს გააჩერა, რის შემდეგაც მისვდა, რომ პეტრე ღვთის დიდი მონა იყო. რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ პატრიარქმა თავისთან იხმო ქალაქ მაიუმის მთავრობის წარმომადგენლები, დამოძღვრა ისინი, ხოლო პეტრეს შესახებ უთხრა: „კაცნო, ღვთისმოუვარენო, უფალმა ღმერთმა თქვენ მოგცათ ეს მწევემსი კეთილი. მას დაემორჩილეთ ისე, როგორც ქრისტეს, და მთელი სულით და ხორცით მისდეით მას. მათ დიდი სიხარულით მიიღეს წმიდა პეტრე და შმაღლობდნენ უფალ ღმერთს. პატრიარქმა დიდი პატივით გაგზავნა წმიდა პეტრე ქალაქ მაიუმში საეპისკოპოსო კათედრაზე. როდესაც წმიდა პეტრე ქალაქს მიუახლოვდა, მის შესახვედრად გამოვიდა მაიუმის მოსახლეობა. უკელამ დიდმა თუ პატარამ ანთებული სანთლებით ხელში, საქმევლის კმევითა და გალობით, დიდი პატივითა და კრძალვით შეიუვანა იგი ჯერ ქალაქში, შემდეგ კი ტაძარში. ღვთის ნებით, იმ ღღეს მრავალი სასწაული აღევლინა წმიდა პეტრეს ხელით, რაც უკელას ახარებდა. ხალხი მაღლობდა ღმერთს, რომელმაც მათ ასეთი მწევემსი მოუკელინა.

პეტრე დიდი ხნის განმავლობაში არ ატარებდა წირვას. მაშინ მას მოესმა ხმა, რომელმაც მოუწოდა: „პეტრე გაამრავლე შენი ტალანტი – შესწირე მსხვერპლი, რომ არ დაისაჯო იმ მონასავით, რომელმაც თავისი უფლის ტალანტი მიწაში ჩამარხსა.”

უფლის ხმის გაგონებაზე პეტრე შეშინებული წამოდგა და დაიწუო კამის წირვა. უკელა იქ მეოფმა დაინახა, პეტრემ „რა კამს განაწილა ხორცი იგი ქრისტესი (შეასრულა კვეთა) აღივსო წმიდა საკურთხე-

ეველი სისხლითა“<sup>1</sup>. თვით ნეტარი ჰეტრე შემრწუნდა და მოსცილდა წმიდა ტრაზებს. ზეციდან მოისმა ხმა, რომელმაც უთხრა ეპისკოპოსს: „მსსვერბლის შეწირვა დაასრულე, რადგანაც ქს მოხდა არა შენთვის, არამედ ჩემთვის, რათა უველავ იცოდეს, რაოდენ დიდებული და საშინელია ეს წმიდა შესაწირი (უფლის უხრწნელი ხორცი) – საკურნებელი, განსაწმენდელი და განმანათლებელი სულისა და ხორცისა მათთვის ვინც შიშითა და ძრწოლით მიეახლება მას, ხოლო დამსჯელი ბილწთათვის გონიერითა და გულით“. ისილეს რა ეს სასწაული და მოესმათ ხმა ზეციდან, უველას გაუსარდა და ადიდეს ღმერთი, რომელმაც მისცა მათ ასეთი მწევემსი. ამიერიდან წმიდა ჰეტრეს უველა ღვთის ანგელოზად მიიჩნევდა.

450 წელს იმპერატორი თეოდოსი მცირე გარდაიცვალა. ტახტზე მარკიანე (450-475) ავიდა. მან ქალაქ ქალკედონში 451 წელს მოიწვია მეოთხე მსოფლიო კრება<sup>1</sup>, რომელშიც 630 ეპისკოპოსი მონაწილეობდა. კრებამ დაამტკიცა ქრისტეს ორი ბუნება. რადგანაც სევერიანელები და იაკობიტები არ აღიარებდნენ ქრისტეს ორ ბუნებას და არც მის განკაცებას უოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან. ნეტარმა კირილე ალექსანდრიელმა და წმიდა მამებმა შეაჩენეს იაკობიტები და უველა ის მწვალებლები, რომლებიც არ აღიარებდნენ ქრისტეს ორ ბუნებას და მის განკაცებას უოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან. მეფე მარკიანემ ჰალესტრინაში თავისი წარმომადგენელი გაგზავნა, რათა ქვეენიდან მწვალებლები (მონოფიზიტები) განედევნა.

<sup>1</sup> მეოთხე მსოფლიო კრება მოწვევული იქნა მონოფიზიტთა ერესის განსახილებად. იმ ტაძარში, საღაც დიდმოწამე ეფემიას წმიდა ნაწილები იუო დაბრძანებული, წმიდა მამებმა ერთსულოვნად შეაჩენეს ევტიქის ერესი. ერესი მდგომარეობდა შემდეგში: მაცხოვარში მისი განკაცების შემდეგ ღვთაებრივმა ბუნებამ სრულიად შთანთქა კაცობრივი. ამიტომ განკაცებულ ღვთის ძეში თაუგანს უნდა კცევდეთ მხოლოდ ერთ – ღვთაებრივ ბუნებას. ამ სწავლებას მონო

ფიზიტური ეწოდება. მის მიმღევრებს კი მონოფიზიტები. კრებაზე დაამტკიცეს ქრისტეს ორი ბუნება: ღვთაებრივი და გაცობრივი. ხანგრძლივი კამათის მიუხდავად, მოწინააღმდეგე მხარეები ვერ შეთანხმდნენ. მაშინ მართლმადიდებელმა და მონოფიზიტმა მღვდელმთავრებმა დაწერეს თავიანთი სარწმუნოების მრწავი და საკუთარი ბეჭდით დალუქეს. იმპერატორ მარკიანეს თანდასწრებით წმიდა ეფემიას ლუსკუმა (კუბო) გახსნეს და ორივე გრავ ნილი მკერდზე დაადეს. შემდეგ კუბო იმპერატორის ბეჭდით დალუქეს და ირგვლივ მცველები დააეცნეს. ორივე მხარე გაძლიერებულ ლოცვასა და მარხვას მიეცა. სამი ღლის შემდგა ლუსკუმა გახსნეს. მართლმადიდებელთა გრავ ნილი წმიდა ეფემიას მარჯვენა სელში ეჭირა, მონოფიზიტთა კი მის ფეხებთან ეგდო. წმიდა ეფემიამ ცოცხალივით ასწია სელი და გრავ ნილი მართლმადიდებელ ჰატრიარქს მიაწოდა. ამ სასწაულის შემდეგ მრავალი გზააბნეული დაუბრუნდა მართლმადიდებლობას (44. გვ. 35).

როგორც ცნობილია ზაქარია ქართველის „პეტრეს ცხოვრების“ მაკარი-სეულ (XIII ს.) თარგმანს ჩვენამდე ჰირვანდელი სახით არ მოუღწევია. ქალებ-დონის კრებაზე კირილე ალექსანდრიელი სევეროსის და იაკობის მიმდევრებს ვერ შეაჩვენებდა, რადგანაც ამ ღროს კირილე ალექსანდრიელი უკვე გარდაცვალილი იყო, ხოლო სევეროსი და იაკობი კრების შემდგომი ღროის მონოფიზიტი მოღვაწენი ივენენ. შეუძლებელია XIII საუკუნეში ქართული ეკლესიის მესევეურებს არ სცოდნოდათ, რომ კირილე ალექსანდრიელი ქალებდონის კრების მონაწილე ვერ იქნებოდა და რომ სევეროსი და იაკობი მეექვსე საუკუნის მოღვაწენი იუვენენ და ეს შეცდომა ვერ შეემჩნიათ. როგორც ჩანს, პეტრე იბერის წმიდანად შერაცხვისას ქართველ ეკლესიაში მაკარი მესსის მიერ თარგმნილი ტექსტი სრული სახით არსებობდა და მხოლოდ მომდევნო ღროის აებედითი მოვლენების შედევად დაზიანდა (8. გვ. 159).

პეტრე იბერის მოღვაწეობა ჰალესტინაში ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთ ეველაზე რთულ ჰერიოდს – მონოფიზიტური ერების წარმოშობა-გამლიერებას დაქმთხვა. განსაკუთრებით მმღავრად მან ფეხი მოიკიდა ეგვიპტესა და სირია-ჰალესტინაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქალებედონის კრებაზე მართლმადიდებლობის გამარჯვებით განაწეუნებულმა ეგვიპტური წარმოშობის ბერმა თეო-

დოსიმ ჰალესტინაში სახალხო ამბოხება მოაწეო. მან ადვილად შეძლო გაუნა-  
თლებელი ბერების დაწმუნება, რომ თითქოს ქალკედონის ქრებამ ნიკეა-კონ-  
სტატიინებოლის რწმენის სიმბოლოსაგან განსხვავებული საწმუნოებრივი  
განსაზღვრება მიიღო. ბერები, რომელთა რიცხვმა 10 000 მიაღწია, თეოდოსის  
წინამდღლობით დამნაშავეთა ბრძოლი იქცნენ, თავიანთი მონასტრები და უდაბ-  
ნოს სენაცები მიატოვეს და იერუსალიმში შეიჭრენ, სადაც არც სანმრის გაჩე-  
ნასა და არც მკვლელობებს არ ერიდებოდნენ. მათ იერუსალიმის მართლმადიდე-  
ბელი ჰატრიარქი იუბენალი ჩამოაგდეს და გააძვევეს, ხოლო მის მაგივრად  
თეოდოსი აირჩიეს. იმპერატორი მარკიანე იმულებული გახდა იუბენალის კათ-  
ედრაზე დასაბრუნებლად იერუსალიმში ჯარი გაეგზავნა. არეულობა ეგვიპტეში  
ალექსანდრიელმა სუცესმა ტიმოთე ელურმა წამოიწუო. ბარბაროსმა მწვალე-  
ბლებმა ალექსანდრიის მართლმადიდებელი მთავარებისკონსი შროტერიოსი  
აღდგომა დღეს სანათლაში მოკლეს, მისი აკაფელი გვამის ნაწილები მთელ  
ქალაქში ათრიეს, ქალაქის დამცველი გარნიზონი ვერაგულად გაანადგურეს  
და მთავარებისკონსად ტიმოთე გამოაცხადეს. სირიაში მღვდელმა ჟეტრე ფუ-  
ლონმა ანტიოქიის მართლმადიდებელი ეპისკოპოსის მარტინიოსის წინააღ-  
მდეგ მრავალრიცხოვანი ჰატრია ჩამოაყალიბა, ტახტიდან ჩამოაგდო და მისი  
კათედრა თვითონ დაიკავა. უნდებოდა რა მოღვაწეობა მომმღლავრებული ერესის  
ეპიცენტრში, როგორც ჩანს, ჟეტრე იბერი ბრძოლაში აქტიურად ჩაბმას ასკეტურ  
ცხოვრებას ამჯობინებდა, რამიც ხელს ბუნებაც უწეობდა, „რამეთუ უდაბნოის-  
მოვეარე იუ წმიდა ი ქს“ (8. გვ. 161-162). “...უდაბნოში ჟეტრეს გაქცევა და  
მისი აშეარა მცდელობა არ ჩარეულიერ საეკლესიო დაბირისპირებებში, იმაზე  
მიუთითობს, რომ იგი იმ საერთო საფუძვლების ერთგული რჩებოდა რომელიც  
ქრისტიანობაში დაპირისპირებულებას აერთიანებდნენ, მაგრამ ინტერტრეტა-  
ტორებს ამის დანახვა არ სურდათ“ (6. გვ. 13).

იერუსალიმელმა მონოფიზიტმა ჰატრიარქმა თეოდოსიმ ჟეტრე იმულე-  
ბით, მისი სურვილის წინააღმდეგ, ეპისკოპოსად აკურთხა. მიუხედავად იმისა,  
რომ ჟეტრემ თავი ერეტიკოსად გამოაცხადა, რადგანაც მონოფიზიტებისთვის  
ქალკედონიტები (მართლმადიდებლები) ერეტიკოსები იუვნენ. მალე იუბი-  
ნალი იერუსალიმის ქალკედონიტი ჰატრიარქი (452წ.) ქალკედონის ქრების

შემდეგ იმპერატორ მარკიანეს ჯართან ერთად უკან დაბრუნდა და თეოდოსის მათ შორის ბრძოლა გაიმართა, რაღგანაც უკეთურთა რიცხვი ძალიან დიდი იქო და შესაბამისადაც დიდ წინაამღვდევობას უწევდნენ. ბეჭრი მართლმადიდებელი დაიღუპა ბილწი მწვალებლების ხელით. თუმცა, საბოლოოდ უკეთურნი დამარცხდნენ.

ერთ დღეს, ოთვესაც წმიდა ჰეტრე ქამის წირვას ატარებდა, ცხადად იხილა ანგელოზებს დიდებით როგორ აჟეავდათ ზეცაში ღმერთთან მწვალებელთა მიერ წამებულ მართლ მაღიდებელთა სულები. ასევე იხილა მწვალებელთა (მონოფიზიტთა) სულები „შთამავალნი ქვესკნელად ჯოჯოხეთად“. ბეტრეს ეს ხილვა უფლისგან მიეცა იმიტომ, რომ თავისი სამწუოსთვის ესწავლებინა ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხოლო უწმუნონი და მცირედ მორწმუნენი რწმენაში გაემტკიცებინა.

ღვთისმოუვარე და მართლმადიდებელმა მარკიანემ ექვს წელს იმეფა და დატოვა ეს ქვეყანა. მწვალებლებმა ღრო იხელოეს, აღიგზნენ, ცეცხლივით აინთნენ და დაიბრუეს ქვეენის ზოგიერთი მხარე. ერთხელაც შეიკრიბნენ და გადაწევიტეს მოეკლათ მღვდელმთავარი წმიდა ბეტრე ქართველი. მათ წამოიუვანეს ვინმე ურმა, რომ მზაკვრულად მოეკლათ იგი. მაგრამ როდესაც ისინი კარს მიუახლოვდნენ დააკაცუნეს და თქვეს: „წმიდაო ღვთისაო, კარები გაგვიღე და ეს ურმა განკურნე, ვინაიდან იგი ბოროტისაგან იტანჯება“. ამ ღროს ზეციდან მოისმა ხმა: „ბეტრე არ გაუღო კარები, რაღგანაც მზაკვარნი არიან“. უსჯულოებმაც გაიგეს ეს ხმა და თავზარდაცემულები გაიცნენ.

როცა ნეტარი მიხვდა, რომ მათ მზაკვრულად უნდოდათ მისი მოკვლა, მითხრა: „შვილო ზაქარია, აღექი და წავიდეთ უცხო მხარეში, რათა ჩვენი სიკვდილით ესენი არ წარწმდნენ“. დავტოვეთ იქაურობა

---

მიერ დაუენებული უველა მონოფიზიტი ეპისკოპოსი გადაუენა ბეტრეს გარდა. სახელგანთქმული ბეტრე ხელუხლებელი დარჩა. როგორც ჩანს, მისი ქალკე-

დონიტური მიმართულების გამო (ნ. გვ. 14).

და მივედით ერთ სოფელში. იქ წმიდა კვირა დღე. წმიდა ზეტრემ ბრძანა საკურთხევლის მომზადება. მას სურდა ჟამის წირვის დაუენება. მაგრამ სასლი, ომელშიც იგი აპირებდა წირვის ჩატარებას, აღმოჩნდა საკერპო. ამაღლებულ ადგილზე იდგა კერჩები. ვუთხარი: „წმიდა მამაო, იქნებ არ ღირდეს აქ წირვის დაუენება, რადგანაც კერჩები დგას?“ ხოლო წმიდანმა მითხრა: „შვილო ჩემო, ჩვენ ღმერთს შევწირავთ მსხვერჩლს, ემაგებს კი არა“. ორგორც კი დაიწუო ჟამის წირვა, საცეცლურიდან გამოვარდა ცეცხლის ალი და შემუსრა კერჩები. სახლს კი არაფერი ავნო. ამ სასწაულის მხილველებმა ღმერთი ვადიდეთ.

შემდეგ მივედით ერთ ქალაქში, სადაც დავუავით რამდენიმე დღე. ქალაქში ცხოვრობდა ერთი ქრისტიანი კაცი, ომლის ასული მმიმე სენით იქ დაავადებული. მამამ გადაწუვიტა გრძნეულის მოვანა. დედა კი მივიდა წმიდანთან, ფეხებში ჩაუვარდა და ცრემლებით შესთხოვა: „შემიწეალე, ქრისტე ღვთის მონავ, განკურნე ჩემი ასული, ის-სენი ჯადოქრის ხელიდან, რადგანაც მამამისს სახლში სურს გრძნეულის მოვანა“. წმიდანს შეეცოდა ქალი და უთხრა: „ნუ ტირი, ქრისტე განკურნავს შენს ასულს. ხოლო რაც შეეხება გრძნეულს, არამგონია გათენებამდე იცოცხლოს“. წმიდანი ავადმეოფთან წავიდა, სცხო გოგონას წმიდა ზეთი, წმიდა სამების სახელით, ხელი მოჭეიდა და წამოაუენა სრულიად ჯანმრთელი, რისთვისაც უველამ აღიდა უფალი. აღსრულდა ნეტარი ზეტრეს სიტევები, გრძნეული გამთენისას იზოვეს მკვდარი. ზეტრეს დიდების სახელი კი იმ არემარეს მოედო.

იმავე ქალაქში ცხოვრობდა ერთი დიდებული, ომელმაც წმიდა ზეტრე და მასთან მეოფნი სადილზე მიიჩატიუა. წმიდა ზეტრეს არ სურდა წასელა, თუმცა სათრი ვერ გაუტეხსა და ეწვია. ორცა სუფრას მიუსხდნენ, თავადი ოჯახის წევრებს უხეშად მიმართავდა და ლანძღვდა, რადგანაც მას ფიცხი სასიათი ჰქონდა. მაშინ წმიდანს ხმა მოქმედა: „ზეტრე არ წაგიკითხავს წმიდა წერილში, ომ უოველი ცუდი სიტევისათვის, ომელსაც იტევიან აღმარინები, ზასუს აგებენ

მის გამო განკითხვის დღეს. რადგანაც შენი სიტუაციით გამართლდები და შენი სიტუაციით დაისჯები. ჩემი სახელი იგმობა მაგ სახლში, შენ კი მანდ სარ?“. მაშინ წმიდა ზეტრემ რაღაც მოიძინება, სასწრაფოდ ადგა და ჩვენ დავტოვეთ მასშინმდის სახლი.

მეორე დღეს გავეშურეთ ქალაქგარეთ მუოფ მონასტრებში, რადგანაც ზეტრეს წირვის დაეცენება სურდა. წმიდანთან მივიღნენ იმ ქალაქის დიდებულნი და დაიწეუს ერისკაცთავის დამახასიათებელი ფუჭის საუბარი და ბილწიტუვაობა. წმიდა ზეტრემ მათ არაფერი უთხრა და შევიდა ტამრის საკურთხეველში ქამის წირვის ჩასატარებლად. ამ დროს გამოეცხადა უფლის ანგელოზი, რომელიც საკურთხევლიდან მის გაგდებას ცდილობდა. წმიდა ზეტრემ ცრემლებით ჰყითხა: „რა ჩავიდინე, რა დანაშაულისთვის ვისჯები?“. უფლის ანგელოზმა მიუგო: „ზეტრე, იმ დღეს, რომელ დღესაც აზირებ უფალს მსხვერპლი შეხწიო, უსარგებლო საუბარს უურს ნუ დაუგდებ. ნუ შეაგინებ და ნუ გახრწი შენ გულსა და გონებას. ნუ მიატოვებ შენს კეთილ გულ-მოდგინებას, რადგან უფლის წინაშე სუფთა, წმიდა გონება (გული, აზრები) უმაღლესია და აღმატებულია ნებისმიერ მსხვერპლსა და შესაწირავზე. ამჯერად მიგეტევა. ამის შემდეგ გაფრთხილდი, როცა დააპირებ ქამის წირვის ჩატარებას“. წმიდა ზეტრე ფეხებში ჩაუვარდა ანგელოზს, შენდობა სთხოვა და უფალი ღმერთი აღიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ დავტოვეთ იქაურობა. გზაში წმიდანი მრავალ სასწაულს ახდენდა. საღვთო სწავლებით მრავალი ადამიანი მოაქცია და ბევრი უძლური და სწორი განკურნა ქრისტე ღმერთის მალით.

გავიდა წანი. გამეფდა ლეონ დიდი. ღვთის ეკლესიებში მშვიდობა დამეარდა. ამ სანატრელმა მეფემ მისწერა წმიდა ზეტრეს, რომ თავის ადგილს დაბრუნებოდა. წმიდა ზეტრე დაუბრუნდა თავის საეპისკოპოსო კათედრას და თავის სამწესოს, რომელსაც მწუემსავდა ქრისტე ღმერთის შეწევნით. შემდეგ ქალაქგარეთ ააშენა მონასტრები, მშვენიერი ეკლესიით. მოუვარა თავი მმებს და დაუდგინა მათ წესი და

კანონი საღვთო და სულიერი.

წმიდა ჰეტრე გამუდმებით მარწელობდა, რის გამოც მას კუჭი დაუვადდა. სამკურნალოდ ცხელ წელებზე წასვლა ურჩიეს. როცა გაიგეს, რომ იგი მიემგზავრებოდა, თან გაშევა ქალაქის ახალგაზრდობა. მათ შორის ბევრი კერძთავვანისმცემელი იყო. ნეტარმა ჰეტრემ დამოძღვრა ისინი და მონათლა თითქმის ორასი კერძთავვანისმცემელი. უკელას უხაროდა და ადიდებდნენ უფალს. ამის შემდეგ ნეტარმა და წმიდა ჰეტრემ ისევ განაასლა მათთან საუბარი: „იმ ღროს, როდესაც მოვედით ჰალესტრინის ამ მხარეში, ვისურვეთ წასვლა იმ მთაზე, სადაც მიიცვალა მოსე წინაპრამეტეველი. მოსეს მთაზე ერთი დაუუდებული წმიდა ბერი იყო. მან სენაკიდან გამოუსვლელად ორმოცი წელი იღვაწა. ჩვენს დანახვაზე წმიდა ბერმა მითხრა: „ქართველთა მეფის ძევ, კეთილი იუს შენი მობრძანება“. შენდობა ვითხოვე და ვთქვი, რომ ეს მართალი არ იყო. წმიდანმა კი მომიგო: „ნუ უარისოფ იმას, რაც ჩვენ ქრისტე ღმერთმა განგიცხადა. შემდეგ მან წარმომიდგინა ჩემი უოველი გზა და ისიც, რომ სალხმრავალი ქალაქის ეზისკონისი გავხდებოდი. ის წმიდა ბერი ზესტად ასლა გარდაიცვალა. როცა მე ვნათლავდი ამ სალხს, ვისილე ღმერთის წმიდა სული როგორ გადმოვიდა წმიდა ემბაზზე (სანათლავზე) და აავსო იგი ენით აღსწერები ნათლითა და ბრწყინვალებით. ასევე ვისილე, თუ როგორ აჭეულდათ წმიდა ბერის სული ზეცაში ღიღებით ღვთის წმიდა ანგელოზებს. ჩვენ უნდა წავიდეთ და ვეპმბოროთ მის წმიდა ნაწილებს. თქვენ კი, შვილნო ჩემნო, შეგიძლიათ შინ დაბრუნდეთ. გფარავდეთ ღვთის მალა. მან ლოცვა-კურთხევით გაუშვა ისინი. ჩვენ კი წავედით წმიდა ბერის სენაკში. ვეამბორეთ მის წმიდა ნაწილებს, ვილოცეთ და წამოვედით.

გზად მიმავალნი მივაღექით წმიდა ბერის სენაქს. წმიდა და ნეტარი შეტრეს დანახვა ბერს მალიან გაუხარდა. ილოცეს, მოკითხეს ერთმანეთი და საღვთო საუბარი წამოიწეს. მას ჟემდეგ, რაც თქვეს ბევრი რამ სულისათვის სასარგებლო, ბერმა წმიდა შეტრეს უამბო: „სანამ მოვიდოდი ამ ადგილას, ვნახე ერთი მღვიმე, რომელშიც ვიხილე

ერთი გარდაცველილი ბერი, მისი სახე მზესავით ბრწეინავდა. შიშითა და სიხარულით ვეამბორე მის წმიდა სახეს. დავიმახსოვრე ეს ადგილი და ამის შესახებ ფაცნობე ვეველა ღვთისმოუვარეს. როდესაც უკან დავ-ბრუნდით, წმიდანი იქ ვეღარ ვნახეთ. ეს სასწაული ჩვენ მინიშნებად მივიჩნიეთ და იმ ადგილას ტაძარი ავაშენეთ. ღმერთს ვევედრებოდი გაეცხადებინა ჩემთვის, თუ ვინ იუო ის წმიდა ბერი. უფლისგან მეუწეა, რომ ის ბერი იუო მოსე, დიდი წინასწარმეტეველთა შორის“. როცა ბერმა თხრობა დაამთავრა, ფეხები დაგვბანა. ჩვენ მასთან სამი დღე დავუავით. წასვლისას წმიდა მამამ დაგვლოცა და გზა გაფაგრმელეთ.

იქიდან წამოსულები მივედით ერთ ადგილას, სადაც დიდხანს არ უწვიმია. დაბის მოსახლეობა მივიდა წმიდა ეპისკოპოსთან და სოხოგა ელოცა, რომ წევიმა წამოსულიერ. წმიდანი ლოცვად დადგა. ლოცვის დამთავრებისთანავე კოკისბირული წევიმა წამოვიდა. ქრისტაუგანისმცემლები ამ სასწაულის ხილვის შემდეგ წმიდა ჟეტრეს ხელით მოინათლნენ და უველა ადიდებდა უფალს.

წამოვედით იმ ადგილიდან და მივედით ერთ სოფელში, სადაც ერთმა უშეილო კაცმა გვიმასპინძლა. იგი შევედრა წმიდა ჟეტრეს ელოცა, რათა ღმერთს მისთვის შვილი მიეცა. სხვებიც მოვიდნენ იმავე თხოვნით. წმიდა ჟეტრემ ილოცა და მათ ჯვარი გადასახა. უველას შეეძინა შვილი და აღიდეს უფალი. სადაც კი მივიდოდით, სოფლებში თუ ქალაქებში, იგი უველგან სასწაულებს ახდენდა.

ამჯერად ერთ სოფელში მივედით, რომლის სახელი იუო ატო-მოკონი. იქ სულთოფენობის დღესასწაული აღვნიშნეთ. სოფელში ცხოვრობდა დედოფლის ერთი მოხელე, სახელად ელია. დიდად სტუმართმოუვარე და გლასაკამოწევალე. ელია იუო ერუ. ერთხელ, როცა მასთან ვისხედით, მან ნეტარისა და წმიდა ჟეტრეს საბეჭური (სამღვდელო სამოსელი) აიღო, როგორც კი უურთან მიიღო, მაშინვე დაუბრუნდა სმენა და ადიდა უფალი.

ელიამ მთელი ზაფხული თავისთან დაგვტოვა, რადგან ადგილი იუო გრილი, ჰაერი კი სუფთა. იქ იუო ტბა. ელია გაუშვებდა თავის

მსახურს ტბაზე სათევზაოდ და ისიც უოველდღე თითქოს ღვთის განგებით ერთ თევზს იტერდა. ამ თევზს წმიდა ეპისკოპოსს მიართმევდნენ. იქვე, მასლობლად ერთი სწორული მთავარი ცხოვრობდა. მან მოისურვა თევზი, რომელსაც ეპისკოპოსს მიართმევდნენ. ელიამ გაგზავნა მეთევზეები. იმ დღეს მათ ორი თევზი დაიჭირეს. წმიდა შეტრემ ერთი თევზი გაუგზავნა მთავარს, თან შეუთვალა, რომ იგი სასოებდა ქრისტე ღმერთზე, ამიტომ ამ თევზით განიკურნებდა. მართლაც, როგორც კი მთავარმა თევზი მიირთვა, იმწამსვე განიკურნა და ღმერთი ადიდა.

ამის შემდეგ წამოვედით იქიდან და მივედით ერთ სოფელში. ამ სოფლის მოსახლეობა მარცვლეულს არ თესავდა. საზორდოს ისინი ღვინით მოიზოვებდნენ, რაღაც მხოლოდ მევენახეობას მისდევდნენ. ვენახს ჭია გაუჩნდა, რის შესახებაც წმიდა შეტრეს აცნობეს. წმიდანმა ვენახს საპკურებლად მათ მისცა ნაეურთხი წეალი. როგორც კი აპკურეს, ჭია გაქრა. სოფლის მოსახლეობამ ადიდა ღმერთი.

წამოვედით იმ სოფლიდან და მივედით წმიდა მამა ესაიას მონასტერში, სადაც მრავალი დღე დავეავით. „ნეტარნი და წმიდანი მამანი უთხრობდეს საქმეთა მათთა ურთიერთას მაღლითა წინასწარმეტეულებისათთ“, რაღაც ეს წმიდა მამები იყვნენ ქვეუნიერების ორი დიდი მნათობი, ორივენი დიდ სასწაულებს აღასრულებდნენ და თავიანთი სწაულებით მრავალი სული მიჰყავდათ უფალთან. მათი სენაკები ერთმანეთისაგან ათხი მილიონით (მილიონი – ათასი ნაბიჯი) იყო დამორჩებული. მამა ესაია ხელსაქმით ირჩენდა თავს და გამუდმებული მარხვისაგან დაუმდურებული იყო. უოველ კვირას მამა ესაია თავისი სენაკის კარებს აღებდა და წმიდა შეტრეს ორ სეფისკვერს მოუკითხავდა. წმიდა შეტრე კი ნეტარსა და წმიდას უგზავნიდა ორ თევზს. როცა წმიდა მამები ერთმანეთს ხვდებოდნენ, სული-ერად სარობრენენ ქრისტეს მაღლმოსილი სიუვარულით აღვსილნი.

ღვთისმსახურმა და წმინდანების დიდმა მოუვარულმა მეფე ლეონ დიდმა 17 წელი იმეფა და გარდაიცვალა. ნეტარი მეფის ლეონის შეძეგ ზენონი გამეფდა. მეფე ზენონიც ღვთისმოვარე და მორწმუნე

იურ. მეფეს გაგონილი ჰქონდა წმიდა მამების — ესაიასა და ზეტრეს მოღვაწეობის და იმ დიდი სახწაულების შესახებ, რომლებსაც ისინი ასდენდნენ. მეფემ მოინდომა წმიდა მამების ნახვა და მათთან თავისი საჭურისი გაგზავნა. როცა წმიდა და ნეტარმა ზეტრემ ამის შესახებ შეიტყო, მალიან შეწუნდა. იგი შევიდა საღიაკვნოში, ატიოდა და უფალს შესთხოვა არ დაეშვა მეფესთან მისი გამგზავრება. ღამით ნეტარმა ზეტრემ დატოვა იქაურობა და უცხო ქვეეანაში გაემგზავრა. საჭურისმა მეფის წერილი ნეტარ ესაიას გადასცა. როცა ნეტარმა ესაიამ მეფის წერილი წაიკითხა, მალიან შეწუნდა და უფალს თხოვა მას რაიმე სწეულება შეჭეროდა. უცებ ისე გასიგდა, რომ სენაკიდან გამოსვლა ვერ შესძლო. ამის შემნედვარე საჭურისი უძლური შეიქნა რაიმე ეღლონა და უკან გაბრუნდა. წავიდა თუ არა საჭურისი, მამა ესაია გამოჯანმრთელდა. ნეტარი მამის ესაიას ცხოვრება და მოღვაწეობა და მის მიერ მოხდენილი სახწაულები, ღვთის მაღლით, ჩვენ მიერ უკვე იქნა აღწერილი. ჩვენ კი დავუბრუნდეთ წმიდა ზეტრეს შესახებ თხრობას.

ნეტარი და წმიდა ზეტრე უცხო ქვეეანაში შეხვდა ერთ მებოსტნეს, რომელიც იურ კეთილი და გულწრფელი ადამიანი. ნეტარი ზეტრე მასთან შეხერდა. ერთხელ, ღამით მებოსტნეს ჰქონდა ჩვენება: იხილა კაცი, რომლმაც უჩვენა ადგილი, საღაც უნდა წასულიერი იმიტომ, რომ იქ წმიდა მოწამები განისვენებდნენ. კაცის მითითებით მებოსტნეს მიწიდან უნდა ამოედო წმიდანთა წმიდა ნაწილები და ესისკობოს ზეტრე ქართველისთვის გადაეცა. გამთენისას მებოსტნემ ამ ჩვენების შესახებ ნეტარ ზეტრეს აუწევ. წმიდა ზეტრემ უთხრა: „შვილო, წადი და ამ ხილვის შესახებ აუწევ თქვენს ეპისკოპოსს და როგორც ის გიბრძანებს, ისე მოიქეცი.“ მებოსტნე წავიდა და ადგილობრივ ეპისკოპოსს მოახსენა მომსდარის შესახებ. ეპისკოპოსი მიგიდა ნეტარ ზეტრესთან. მათ შეკრიბეს ხალხი, აღავლინეს სავედრებელი ლოცვები და დიდი მოწიწებით ამოაბრძანეს წმიდა მოწამეთა ნაწილები. წმიდა ზეტრემ უბრძანა მებოსტნეს ელოცა, რომ გაეგო წმიდა მოწამეთა სახელები. კეთილმა მებოსტნემ ლოცვა დაიწურ. ლოცვისას მან იხილა სამი კაცი.

ისინი მის წინ იდგ ნენ, თავზე შარავანდედი ედგათ და ბრწეინავდნენ. წმიდანებმა მებოსტნეს შემდგეი აცნობეს: „ჩვენი სახელები ზეცაშია დაწერილი, ერში ჩვენი სახელები იუ: ლუკა, ფლუ და რომანზი. ვერამეთ სხარსეთის მბრძანებლის მიერ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღსარებისათვის. ჩვენი სხეულები ცეცხლში ჩაიფერფლა და მხოლოდ ის დარჩა, რასაც ჟედავთ. წმიდანების სახელზე ტაძარი ააშენეს, სადაც წმიდანთა შატიოსანი ნაწილები დააბრძანეს. ტაძარი აკურთხა ორმა ენისკონსმა და ჩვენც ვადიდეთ ღმერთი.

სანამ ჩვენ იქ ვიუავით, ჩვენი ტაძრის მღვდელმთავარი მოვიდა და წმიდა პეტრეს მოახსენა, რომ მის სახელზე მეფე ზენონისაგან კიდევ ერთი წერილი მოვიდა. წერილში ეწერა: „ილოცეთ ჩემთვის, წმიდა მამებო, ჩემთან მოსვლით კი ნუღარ შეწუხდებით.“ წმიდანი გაახარა მეფის გადაწყვეტილებამ.

იქიდან ჩვენს ქალაქში გამოვემგ ზავრეთ. ქალაქის მაცხოვრებლები ანთებული სანთლებით ხელში, გალობითა და საკმევლის კმევით შემოვეგებნენ წმიდა ეპისკოპოსს, მის წინაშე მუხლი მოიდრიკეს და თავვანი სცეს. წმიდა პეტრემ აკურთხა და ამბორის ეოფით მოიკითხა ისინი. ხალხიც, თავის მხრივ, ეამბორა მის წმიდა სახეს. ვეღანი ერთად გავეშურეთ ქალაქისაკენ. შევედით წმიდა ეკლესიაში და ვილოცეთ. მთელი ქალაქი სარობდა მწევმსთავრის დაბრუნებას. მრავალმა ადამიანმა მოიკარა თავი, რათა წმიდანის ქადაგებისთვის მოესმინა. ვეველა მონატრებული იუ მის სილვას და მისი სწავლების მოსმენას. წმიდა პეტრემ, ჭემარიტმა მწევმსმა, ხალხს ჯვარი გადასახა და მათი დამოძღვრა დაიწეო: „ჩემო შვილებო, მმებო და ქრისტესთვის საუგარელნო, უპირველეს უოვლისა, დაიცავით წმიდა სამების წმიდა და მართალი სარწმუნოება. მოიხვეჭეთ სასოება (იმედი), სიუვარული, სიმდაბლე, სულგრძელობა, მოთმინება, სიკეთე და სიმშვიდე. იუავით გლახაკთა მოწევალე, სტუმართმოუვარე, უცხოთა შემწენარებელი და მათზე მზრუნველი. ესწრაფვეთ შრომას საღვთოს და სულიერს. მიბაძეთ საღვთო და წმიდა ადამიანებს. აკეთეთ კეთილი საქმეები და მოიხ-

ვეტერ წმიდა სათნოებანი. ღაემორჩილებთ თქვენს წინამდღვრებს, ვითარცა ღვთის ანგელოზებს. მათი ნათქვამი დაიმახსოვრეთ, ვითარცა ღვთის პირისგან გამოსული. წმიდა პეტრებ მათ კიდევ სხვა მრავალი სულისთვის სასარგებლო რჩება მისცა. უველას უხაროდა და ადიდებდა ღმერთს.

ქადაგების შემდეგ ქალაქის მთავარმა სადილზე დაგვპატიჟა. მივუსხედით თუ არა სუფრას, ვიღაც მოვიდა და მამა ესაიას გარდაცვალება, საიდუმლოდ გვაუწეა. ჩვენ არ ვისურვეთ წმიდა პეტრესთვის მაშინვე გვეთქვა. თუმცა, მას სულიწმიდისაგან ეუწეა ამის შესახებ. როცა სუფრიდან წამოვდექით, მან გვითხრა: „ჩემო შვილებო, რატომ გიკვირთ მამა ესაიას გარდაცვალება, მოციქულებიც და წინასწარმეტეველებიც გარდაიცვალნენ. თვით უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ შესვა ეს სასმისი.“ გვითხრა თუ არა, შევიდა თავის სენაქში, დაემსო მაცხოვრისა და წმიდა დედოფლის ღვთისმშობლის ხატების წინ, ცხარე ცრემლებით ატირდა და მსურვალედ შეევედრა: „ნეტარო და წმიდა, მამაო ესაია, დღეს შენ გახვედი ამ ქვენიდან. მალე მეც სიკვდილი მელის. ამიერიდან იუავი ჩვენი შემწე და ქომაგი წმიდა სამების წინაშე.“ წმიდა პეტრე დიდხანს ეგვირებოდა უფალს მსურვალე ცრემლებით. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენთან მოვიდა მამა ესაიას მოწაფე და მისი სიკვდილის შესახებ გვაუწეა. ჩვენ ვკითხეთ თუ რა დროს გარდაიცვალა იგი. მან გვიამბო შემდეგი: „როცა მამა ესაია ავად გახდა, მივევით მისი სენაკის კარებთან, ამ დროს იგი ვიღაცას ესაუბრებოდა. როცა შიგ ნით შევედით, სენაკში მის მეტი არავინ იუო. ჩვენ ვკითხეთ თუ ვის ელაპარაკებოდა იგი. ნეტარმა მოვეიგო: „დიდი იოანე წინამორბედი და ნათლისმცემელი მოვიდა და მითხრა, რომ ჩემი სულის წასაუენად სამი დღის შემდეგ მოვიდოდნენ. მე ვკითხე დიდ იოანეს, თუ რით იკვებებოდა იგი უდაბნოში. მან მიასუსა: „მწვანეთაგან და მცენარეთა და თივათაგან იუო საზრდელი ჩემი“ როცა მამა ესაიამ გვიამბო ამის შესახებ ჩვენ გაფოცდით და ვადიდეთ ღმერთი. სამი დღის შემდეგ იგი გარდაიცვალა და წარსდ გა უფალთან. როცა მმებმა



იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკა. წმიდა იოანე ნათლისმცემელი  
და მისი მამა წინასწარმეტველი წმიდა მღვდელმთავარი ზაქარია.

შეიტუვეს მისი გარდაცვალების შესახებ, მოვიდნენ, მიიღეს კურთხე-  
ვა მისი წმიდა ნაწილებიდან და მისი ზატიოსანი და წმიდა სხეული  
დაკრძალეს. სანამ ცოცხალი იყო, მე ვკითხე: „წმიდა მამა ქსაია, რო-  
გორ მოვიცე მე თქვენს შემდეგ?“ რაზეც ნეტარმა მიჩასუხა: „შვილო  
ჩემო, წადი ეპისკოპოს წმიდა ჰეტრე ქართველთან და მასთან დარჩი,  
რადგანაც ჩვენ შემდეგ ეს ადგილი გაუდაბურდება.“ ასეც მოხდა.

ერთსელ, ერთი ურია მეთევზე მოვიდა. იგი წეალმაკით იყო დაა-  
ვადებული, მუცელი უსაშეველოდ ჭრონდა გასიებული. ურია ნეტარსა  
და წმიდა ჰეტრეს ფეხებში ჩაუვარდა და სთხოვა განეკურნა იგი. წმი-  
დანმა უთხრა: „სახლში წადი. თუ ამ ღამეს გამოჯანმრთელდები, მა-  
შინ ხვალ მოდი და მოგნათლავ, თუ არა და ნუღარ მოხვალ.“ წმიდა  
ჰეტრეს ლოცვით ურია იმ ღამესვე განიკურნა, გამთენიისას კი მოინ-  
ათლა წმიდა ეპისკოპოს ჰეტრეს ხელით და ღმერთი ადიდა.

ნეტარსა და წმიდა მღვდელმთავარ ჰეტრეს სათხოებათა გვირ-  
გვინად ლოცვა და წიგნის კითხვა მიაჩნდა. თვითონაც დღენიადაგ  
საღვთო წიგნების კითხვაში იყო. ნეტარი ამბობდა, როგორც ვენახი  
ნაუოფს არ იძლევა წელის გარეშე, ასევე მონაზენის გონება უნაუო-  
ფოა წიგნის კითხვისა და სულიერ სწავლათა სმენის გარეშე.

ჩემო საუკარელო მმებო, დადგა ღრო გაუწეოთ წმიდა მღვდელმ-  
თავარ ჰეტრეს აღსასრულისა და წმიდა სამების წინაშე მისი წარდ-  
გომის შესახებ. ნეტარმა თვითონაც კარგად იცოდა თავისი ამ ქვეუნ-  
იდან გასვლის დღე და საათი. ერთ დღეს მან უველა თავისთან იხმო  
და დიდხანს მოძღვრავდა. გადასცა მათ საღვთო და სულისათვის სა-  
სარგებლო სწავლება. წმიდანის სწავლებამ მათზე ისე ძლიერ იმოქმე-  
და, რომ დიდხანს ტიროდნენ. ქადაგების შემდეგ კი დაუფარავად ღიად  
გვითხრა: „შვილებო და მმებო, მოახლოებულია ჩემი ამ ქვეუნიდან  
გასვლის დრო. მალე დაგტოვებთ და წავალ გზით, რომლითაც არა-  
სოდეს მივლია. თქვენ კი, საუკარელნო, გახსოვდეთ თქვენდამი ჩემი  
სიუკარელი და არ დამივიწეოთ.“ წმიდანის სიტევებმა უველა დამ-  
წესრა და აატირა. წმიდანმა მათ ჯგარი გადასახა, დალოცა, გამოემშ-

ვიდობა და გაუშვა. თვითონ კი შევიდა სენაკში, დაემსო მაცხოვრის ხატის წინ და მხურვალე ცრემლებით შეავეღრა უფალს თავისი სამწესო და მთელი ქვეუნიერება.

ჩვენთან იუო ერთი მმა, სახელად ათანასე-წმიდა, კეთილი, მშვიდი და მდაბალი, რომელიც იუო წმიდა მამა ზენონ სკიტელის მოწაფე. მამა ათანასემ ჰქითხა მომაკვდავ მოძღვარს, თუ როგორ უნდა მოქცეულიერ მისი გარდაცვალების შემდეგ. მამა ზენონმა უბასუხა „შვილო ჩემო ათანასე, ჩემი სიკვდილის შემდეგ წარი წმიდა ეპისკოპოს ჰეტრეკართველთან. ის, გინც მის მორჩილებაში იქნება, ჭეშმარიტ გზაზე ივლის“. მამა ზენონის გარდაცვალების შემდეგ, მამა ათანასე მოვიდა წმიდა ზეტრესთან და ორი წელი დაჭუო ჩვენთან.

ერთ ღამეს მამა ათანასე მწარედ ტიროდა. როდესაც ნეტარ ჰეტრეს მისი ტირილის ხმა მოქსმა, თავისი სენაკის კარი გააღო და ჰქითხა: „შვილო ათანასე, რა მოხდა, ასე მწარედ რატომ ტირი?“ მამა ათანასემ უბასუხა: „წმიდა მამა, რატომ მეგითხები იმას, რაც შენთვის წმინდან-ისთვის ისედაც ცნობილია.“ წმიდა ზეტრემ კვლავ ჰქითხა სიძღაბლით: „თქვი, შვილო, რადგან არ ვიცი.“ ამაზე ათანასემ მიუგო: „წმიდაო, გველაფერი კარგად უწევი, თუმცა ნიშნავ მორჩილებისა, გეტვერ რაც ვისილე. ამ ღამით ჩემთან, უღირსთან, მოვიდა ჩემი მოძღვარი მამა ზენონი. მან მომიყითხა და მითხრა: „უფალი ბრძანებს, რომ რამდენიმე ღლები წმიდა ეპისკოპოსი ჰეტრე ქართველი უნდა წარსდგეს მის წინაშე, რადგან წმიდანები ევედრებოდნენ უფალს წმიდა ეპისკოპოს ზეტრე ქართველს დაეტოვებინა თავისი სხეული და მათთან დამკვიდრებულიერ. წმიდა ზეტრემ დიდხანს ტანჯა თავისი ხორცი უფლის სიევარულისათვის და ახლა იგი დაუმლურებულია. უფალმა მათ მიუგო: „მისი უოფნა საჭიროა ამ ქვენად, რათა მრავალი სული დააუენოს ჭეშმარიტ გზაზე.“ წმიდანები კი კვლავ ევედრებოდნენ უფალს ზეტრეს წამოევანას. მაშინ უფლისებერმომქმედმა ღმერთმა ბრძანა ათი ღღის შემდეგ წმიდანები შეკრებილივნენ და მისულივნენ ეპისკოპოს ნეტარ ჰეტრე ქართველთან და მისი სული წამოევანა ალექსანდრიის



წმ. ოლარიონ ქართველი, წმ. ბეტრე ქართველი, წმ. არჩილ  
მეფე და წმ. მეფე ლუარსაბი. XVIII-ის მინიატურა.

შატრიარქ წმიდა მოწამე ბეტრეს. მმა ათანასემ უამბო წმიდა ბეტრეს თავისი სილვის შესახებ და თან მწარედ მოთქვამდა: „უნდა ვიგლო- ვოთ ჩვენი ობლობა, წმიდაო, რამეთუ გვტოვებ.“ წმიდა ბეტრემ მოთ- მინებისკენ მოუწოდა და ანუგეშა იგი საღვთო სწავლებით.

იმ დღიდან მოუღლებული წმინდანს არაფერი უხმია. ათი დღის განმავლობაში სელაპერობილი ლოცულობდა. ერთ დღესაც, თა- ვისთან გვიხმო, ნუგეში გვცა, განგვამტკიცა სულიერი სწავლებით და ეპლესის წესი და რიგი დაგვიდგინა. როცა ძეათე დღე დაღგა, შევიდა ტამარში, მოუხმო თავის სამწესოს და დამომდვრო ისინი. შემდეგ ქა- მის წირვა ჩაატარა. ჯერ თავად, შემდეგ კი მღვდლები და მრევლი აზი- არა. დგოთისმსახურების შესრულების შემდეგ კი შეკრებილთ მშვიდობა უსურვა და უთხრა: ჩემო საევარელო შეილებო, ამიერიდან ვეღარ მისილავთ“. კველა ატირდა. მღვდლები და დიაკვანნი ეამბორნენ მის წმიდა სახესა და ხელებს. ხალხიც ეამბორა მის წმიდა ფეხებს და სამო- სელს, თან მწარედ მოთქვამდა. წმიდანმა კი უთხრა: „რას აკეთებთ, რა- ტომ მიშფოთებთ სულს? ჩემო შვილებო, წადით სახლებში, დაისვენეთ და, როცა საჭირო იქნება კვლავ მოვიხმობთ“. მლიქს დაარწმუნა ისი- ნი სახლებში წასულიერნენ. ჩენ კი გვითხრა: „ჩემო შვილებო, თქვენც დაისვენეთ. ნუღარ შემაწუხებთ“ და სატრაპეზოდ გაგვიშვა. თვითონ კი ერთ-ერთ მმასთან ერთად თავის სენაკში შევიდა და უფლის მიმართ ილოცა. როცა სუფრიდან ავდექით, წმიდანმა თავისთან გვიხმო. გზაში საოცარი სურნელი ვიგრძენით. სენაკში შევედით და წმიდანს თაუფანი ვეცით. ნეტარმა და წმიდამ ჯვარი გადაგვსახა და გვაკურთხა. შემდეგ სახეზე პირჯვარი გადაისახა და მართალთა მილით დაიმინა. ანგელოსთა დასმა და მრავალმა წმინდანმა, რომელთაც წინ უძლოდა წმიდა მღვდელთმთავარი ბეტრე ალექსანდრიელი,<sup>1</sup> მისი წმიდა სული დიდი მოწიწებითა და გალობით ზეცაში აიუვანა. ასე დიდებითა და შატრივით წარუდგინეს წმიდანი უფალს. უფალმა მას უთხრა: „კეთილო

<sup>1</sup> მღვდელმოწამე ჰეტრე – ალექსანდრიელი მთავარებისკოში დაიბადა მონაც, სახიერო და სარწმუნო! მცირეთსა ზედა სარწმუნო იქმნება, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ. შევედ (შედი) სისარულსა უფლისა შენისასა (მათე 25:23). დიდი შრომითა და ღვაწლით გალევლი მისი წმიდა ნაწილები ტამარში დაასვენეს.

სწორად გავრცელდა სმა წმიდანის გარდაცვალების შესახებ. მრავალმა ადამიანმა მოიუარა თავი ქალაქიდან და ასლომდებარე სოფლებიდან. დიდებულები და თანამდებობის ჩირები, წარჩინებულნი და გლასაკნი, ახალგარზორდები და სანშიშესულები მოდიოდნენ მასთან გამოსამშვიდობებლად, ცრემლებს ღვრიდნენ და ეამბორებოდნენ მის წმიდა ნაწილებს. ერველი მხრიდან მოჰყავდათ უძლურნი, მმიმე სენით შეპერობილნი, ბრძები, კოჭლები და ეშმაკეულნი. ოვარც კი შეეხებოდნენ ნეტარი ჰეტრეს წმიდა ნაწილებს და მის

---

და აღიზარდა ალექსანდრიაში. 300 წელს იგი გახდა ალექსანდრიის მთავარებისკოში. იმპერატორ დიოკლეტიანეს და მაქსიმიანეს მიერ ქრისტიანთა დეკნისას, ნეტარი ჰეტრე ქალაქიდან განდევნეს. მღვდელმთავარი ფარულად ნახულობდა საცერობილები გამომწევდეულ ქრისტიანებს, ეხმარებოდა ჰეტრივებსა და ობლებს, ქადაგებდა ღვთის სიტევას და ღვთისმსახურებას აღასრულებდა. დეკნისა და შევიწროების მიუხედავად ალექსანდრიის ეკლესია ჰეტრე ალექსანდრიელის ბრძნული სელმძღვანელობით მტკიცდებოდა და იზრდებოდა. ბოლოს იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის (305-311) ბრძანებით მღვდელმთავარი შეიარეს. წმიდა ჰეტრე სელისულებას წერილობით შესთავაზა, ციხის უკანა კედელი გაერღვიათ და სალხისავან ფარულად გაეკანათ იგი სიკერილით დასასჯელად, რათა ხალხის აჯანება და სისხლისდრო აეცილებინათ თავიდან. წმიდა ჰეტრეს სწორედ იმ ადგილას მოკვეთეს თავი, სადაც აღრე წმიდა მოციქული მარკოზი დასაჯეს სიკერილით. ეს მოხდა 311 წელს. მორწმუნებმა წმიდა ჰეტრეს ცხედარი ეკლესიაში დაბრძანეს და წესის აგების ღროს შეძაღლებულ ადგილას დასვენეს. სიცოცხლეში ჰეტრე მსოლოდ კვარცხლბეკთან კდებოდა, რაღაც, ოვარც თვითონ აშბობდა, ამ ადგილზე გარს შეძოვლებულ ღვთაებრივ ნათელს სედავდა და მასზე ასვლას გერ ბედავდა.

მართმადიდებლობის დიდი მოსაგრე – ჰეტრე ალექსანდრიელი ცნობილია,

როგორც დიდი ღვთისმეტეველი და საეკლესიო მწერალი (ხს. 25 ნოქმბერი) (44. წ. 2. გვ. 456).<sup>1</sup>

შესამოსელს, მაშინევ იკურნებოდნენ და უფალს ადიდებდნენ. დიდი იუო ცრემლით განზავებული, მწუხარებაცა და სიხარულიც.

სიხარული გამოწვეული იუო იმ დიდი სასწაულებითა და კურნებებით, რომელთაც ჰეტრეს წმიდა ნაწილები ახდენდა. მწუხარება და გლოვა კი იმის გამო, რომ ასეთ მნათობს დასცილდნენ ხორციელად. სამი ღღე-ღამის განმავლობაში ემშვიდობებოდნენ თავის სულიერ მოძღვარს.

იმდენად დიდი იუო გამოსამშვიდობებლად მოსული ხალხის სიმრავლე, რომ სამი დღის შემდეგ ძლიის მოვახერხეთ მისი დაკრძალვა. დავერმალეთ მის მიერ აგებულ ტაძარში, ისეთი დიდი ზატივით, როგორიც წმიდანს შეეფერებოდა. ენთო უამრავი სანთელი, მრავალი კელაპტარი, იკმეოდა საკმეველი და ისმოდა გალობა. ხოლო მისი წმიდა სხეულიდან ისეთი ენით აუწერელი სურნელი იფრქვეოდა, რომ იგი ამა სოფლის ნებისმიერ სურნელს აღემატებოდა, როგორც მზის სინათლე აღემატება ვარსკვლავთა ნათელს.<sup>1</sup> წმიდა და ღმერთშემოსილი მამა ჩვენი ჰეტრე ქართველი, ეზისკონოსი ზალესტინის ქალაქ მაიუმის, აღესრულა ორ ღვევებერს, ჩარასკევ დღეს, სამოცდასუთი წლის ასაკში, ბერძენთა მეფის, ზენონის (441-491), დროს.

მე, გლახაკი ზაქარია, მისი მოწაფე, წმიდანს საქართველოდან გამოვევი და მასთან ვიუავი მის გარდაცვალებამდე. ამიტომაც

<sup>1</sup> ითანე რუფუსი შემდეგ ნაირად აღწერს წმიდა ჰეტრე იბერიელის გარდაცვალებასთან დაკავშირებულ მოვლენებს: ...“იუო იმ სოფლის მოსახლეობის დიდი ტირილი და დაღადისი. ისინი იგონებდნენ ბევრ სასწაულს, ნიშნებს და კურნებას, რომელთაც ღმერთი მისი მეოხებით ახდენდა, განსაკუთრებით დიდ მხ-

არდაჭერასა და მოწეალებას, ომელთაც მათ ცხონებული ანიჭებდა... ოცა გა-  
თენდა, წმიდანის სხეული სუღარაში გაახვიეს და საქურთხევლის წინ დაასვენეს  
და რაღანაც ზოგიერთი მმათაგანი ჯერ კიდევ არ ატარებდა წმიდა სამოსელს,  
მათი ტანისამოსი წმიდა სხეულის ხელზე შეხებით აკურთხეს და ასე სიხარულით  
შემოსეს ისინი... მემკვიდრეები ცდილობდნენ ცხედარი წაესვენებინათ და დაუ-  
მარხათ მის უწინდელ მონასტერში, ომელიც მაიუმის მეზობლად მდებარეობ-  
და. მათ ქმინოდათ, ოცა ამქალაქის მაცხოვრებლები წმიდანის გარდაცვალების  
ამბავს გაიგებდნენ, მისდამი დიდი სიყვარულის გამო, სწრაფად მოვიდოდნენ,  
მის წმიდა სხეულს მოიტაცებდნენ და ამქალაქის ერთ-ერთ ტაძარში დაკრძალა-  
ვდნენ. რამეთუ მას ანგელოზად და წინასწარმეტეველად რაცხდნენ. ამიტომ მისი  
კუბო სწრაფად შხრებზე შეიდგეს და გზას გაუდგნენ... ჩვენთან იმულებოდა მამა  
მაქსოსი. სანამ საჭმელად და გვსხვდოდით, მან უცებ წამოიძახა: „მისმინეთ, თუ  
რა უნდა გიამბოთ... ერთხელ, ოცა ნეტარი ჰეტრე ერთ-ერთ უკანასკნელ წმიდა  
საიდუმლოს ასრულებდა, მე დავინახე რაღაც მეწარმელის მსგავსი ღრუბელი და  
ამღრუბლიდან საქურთხევლის თავზე მიშვერილი ხელისგული. შიშით შექრობ-  
ილი გიდები და გვანკალებდი, მაგრამ წმიდანი არაფერს ასხობდა, რადგანაც მან  
ამის მიზეზი იცოდა. მომდევნო დღეს, უკანასკნელი წმიდა მსხვერპლშეწირვის  
დროს, ამჯერად დავინახე ხელის მტევანი იდავეამდე, ღრუბლებიდან საქურთხევ-  
ლის თავზე გამოშვერილი... წმიდანმა მითხრა, რომ მის სიცოცხლეში ამის შეს-  
ახებ არაფერი მეთქვა. ახლა კი ღრო დადგა იცოდეთ, თუ ჩვენ როგორ წმიდანთან  
ერთად გვეღირესა ცნობერება და როგორ მამას, მწევმეს, ებისკოპოსს, დვთისმსახ-  
ურსა და ჩვენი სულისათვის ქომაგს დავშორდით სხეულებრივად“. იმ ხელის  
ჩვენება ნიშნავდა ზეციდან უფლის მოწოდებას. ღმერთმა ხელი გამოგვიშვირა  
და იგი თავისთან იხმო, როგორც წერია: „მარჯუენამ უფლისამან ამამაღლა  
მე, მარჯუენამ უფლისამან ქმნა მალი. არა მოგეუდე, არამედ ვცხონდე და გან-  
ვთქუნე მე საქმენი უფლისანი“ (ფს. 117,16)... გამთენისას მაიუმისა და დაზის  
მოსახლეობამ შეიტეო ცხონებულის გარდაცვალების შესახებ და გაიქცნენ მისი  
წმიდა გვამის მოსატაცებლად. მაგრამ ოცა ჰეტრე მათ დაკრძალული დასვდათ,  
შირქეე დამტვრენ და თავეანი სცეს მის წმიდა ღუსტებას. მოთქვამდნენ და გუ-  
ლითადი ვედრებით მირს ემსობოდნენ, ოცა როცა საევარელი შვილები, ომძლ-  
თაც ასეთი მამა წაართვეს და არა მარტო მამა, არამედ აღმზრდელიც, მწევმესიც

და ეპისკოპოსიც...“ (46, გვ.196-201).

აღვწერე მისი ცხოვრება და სასწაულები, ჩემი თვალით ნანახი და ჩემი უკრით მოსმენილი. თვითონ ნეტარი და წმიდა, ორგორც კეთილი მამა, თავის შვილებს ისევ ჩვენს სასარგებლოდ არაფერს გვიმა-ლავდა. იგი გვიამბობდა თავისი სილვებისა და უფლის გამოცხადე-ბათა შესახებ. მის მიერ მოხდენილი სასწაულების თვითმხილველნი კი ჩვენ თვითონ უიუავით.

ქრისტემ უწეს, ოომ აღვწერე მისი მრავალი სასწაულიდან მცი-რედი. თითქოს უკიდეგანო ზღვიდან შევაგროვე მცირეოდენი წვეთები. ასე მოვიქეცი იმიტომ, ოომ სასწაულთა სიმრავლის გამო შურიანი მტრის ჩაგონებით ისინი დაუჯერებლად არ მოგჩვენებოდათ.

ღმერთმა მაშოროს ტუუილი და ურწმუნოება საღვთო წერილისა და წმინდანთა ცხოვრებისა, ორგორც თავში მოგამსენეთ.

ჩვენ კი, მმებო, მივბაძოთ ჩვენი წმიდა მამების ცხოვრებას და ვთხოვოთ მათ შემწეობა წმიდა სამების წინაშე. განსაკუთრებით კი ნე-ტარსა და წმიდა მღვდელმთავარ ზეტრეს – მშვენებასა და სიამაუეს ქა-რთველთა და ქამაგს მთელი ქვეუნიერების, რადგანაც წმიდა მამის ზე-ტრეს მიერ განსწავლულნი, მისივე მეოხებით, მასთან ერთად ღირსი გავხდეთ ცათა სასუფევლისა ქრისტეს იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, ოომელსაც შვენის დიდება, პატივი და თაუვანისცემა თანა დაუსაბამოდ მამით და უოვლად ძლიერით და ცხოვლისმუოფელით სულით წმიდი-თურთ აწ და მარადის და საუკუნეთა მათ დაუსრულებელთა უკუნითი უკუნისამდე ამინ.

დიდება ღმერთსა!

წმიდა  
პეტრე  
იბერი,  
იერუსალიმის  
ჯვრის  
მონასტრის  
ფრესკა



St. Petre Iberi  
(a fresco),  
Jvari (Cross)  
Monastery,  
Jeusalem.

## ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი<sup>1</sup>

თუმცა დეკენბერისა ბ [2]. წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუქუნისა ჩეტრე ქართველისა, მიამოს ენისკონზისაი<sup>2</sup>

მწუხრი, უფალო ლალადებავსა. ბ. გუერდი

„ეოგელი სასოება“...

1. მოიწია ხსენებაი შენი, ბრძენო მამაო, და მოგვიწოდს გალობად საკვირველებათა შენთა, რომელთა-იგი იქმოდა უფალი შენ მიერ, წმიდაო, და განგწმიდა დედის მუცლითვან და გამოგირჩია სიჩ-ჩოითვან, ღირსო, ჭურად რჩეულად და ორდანოდ დამტევნელად მადლთა მათ თვისთა, და დაემჭვიდრა იგი ეოვლითურთ შენ შორის და განიფინა ეოველსა სოფელსა ხსენებაი შენი და შემოჰკრბეს ერთა დიდებად და ქებად შენდა.
2. ზირველად მუცლად-ლებისა შენისა, ნეტარო, უწევბულ იქმნეს შენთვის ჩუქუნებისა მიერ მშობელნი შენნი, ვითარმედ ეოფად სარ კაცად საკვირველად, და დამტევნელად მადლთა საღმრთოთა. სოლო შენ არავე უგულებელს ჭეავ მცნებანი იგი სამეუფონი, არ-ამედ სიურმითვანვე იწევ აღსვლად სარისხთა სათნოებისათა და

<sup>1</sup> ივანე ლოლაშვილი, პრეობავიტული კრებული, 1983, გვ. 173-192.

იბეჭდება S 3269 (ფ. 290r – 292v), A 111 (ფ. 134 -135v), A 151 (ფ. 72v – 73v) და H 1672 (ფ. 456r – 459v) ხელნაწერების მიხედვით. ტექსტი ზირვე-ლად გამოაქვევნა გელათური № 33 ხელნაწერიდან პ. კეგელიძემ (ეტიუდები, VI, 1960, გვ. 244 – 247). მუსლებად დაუოფა ჩვენ გვევართის. ორ ხელნაწერ-ში (A111 და A 151) შიგადაშიგ ჩართულია ამბაკომ წინასწარმეტეველისადი

მიმღენილი საგალობლები.

ძალითი-ძალად მიეახლე ღმერთსა და მოიღე მაღლი ზეცით სასწაულთა და ნიშთა ღიღთა.

3. მონაო სარწმუნოო, კაცო ღმრთისაო, ბრძენო, ვაჭარო გონიერო, რომელმანცა განსცვალე სიმდიდრე ესე – ქუეუანაი სუფევისა და მეუფობისაი მის წარმავალსა ზენა სუფევად და განშორებითა და სივლტოლითა უცხოთა თანა უარ-ჰქავ თავი თვისი, ხორცნი განლიერ მოღუაწებითა აწ უხორცოთა თანა მდგომარე ხარ შენ წინაშე ღმრთისა. წმიდაო მღედელთ-მთავარო ჟეტრე, მეოს გუევავ ჩეენ წინაშე ღმრთისა!

სხუაი. ღ. გუერდი

„ჰოი, სასწაული“...

4. ჰოი სასწაული საკვირველთა, რამეთუ ვინ იხილა წევალი მსგავსად ზეთისა აღნთებული მრავალ-დღე კანდელთა შინა და მით მღვიძარედ განმოთველი მრავალთა დამეთა და ლოცვით მეედრებული უფლისაი, რათა წარუმართოს სლვასა მას მისა მიმართ, რომლითაცა მოიღო გულსავსებაი სურვილისა თვისისა.

ღიღბაი. ხმაი ბ

„მდინარე“...

5. მოიწია ღღესასწაული სისარულისა და მოუწოდს ერთა შესხმად და ქებად ღმრთივ-ბრწყინვალეთა მათ ცხორებასა და სასწაულთა, რომელნი აღასრულნა ღმერთმან მის მიერ. მოვედით, ერნო, მეფენო და მთავარნო, მღდელთმთავართა თანა და, მამათა კრეულნო, მდიდარნო და გლაბაგნო და უოველნო ჰასაგნო, რომელთა

ზედა უხუებით მიფენილ არს მაღლნი საკვირველებათანი! ზოგად აქებდით, უოველნო მეფენო, შარავანდედსა თქუენსა და, მთავარნო, დიდებასა თქუენსა, სამღვდელონო კრებულნო, მღდელობისა წესა და მონაზონთა მწეობრნო, მოღუაწებისა ძეგლსა და გლახაკთა სიმდიდრესა, ბრმათო ნათელსა მდიდრად მიმნიჭებულსა და ცოდვილთა მომაქცეველსა, უმღერთა მკურნალსა, და ჩუენ, ქართველთა, სიქაღულსა, დიდსა მოღუაწესა წეტრეს, რჩეულსა მას ღმრთისასა, რათა მოსცეს სოფელსა მშვიდობაი და სულთა ჩუენთა – დიდი წეალობაი<sup>1</sup>

### აწდა ღმრთისმშობლისაი. ხმაი ა

„ნათელი ნათლისა...“

6. ნათელმან ნათლისამან – ღმრთისა სიტუამან ნათლის სუეტით ნათლად გეზრახა, ბრძენო, ნათელსა მაგას მნათობსა და ბრწყინვა-ლებასა ქართველთა ერისასა და ღირს გუო შენ ჰირისპირ სილგასა თვისესა, ვითარცა მოსე, და გასწავა შენ სჯული და მცნებაი თვისი, რათა პნათობდე ბნელისა მუოფთა, წეტრე მამათმთავარო

„მღდელთა შენთა შეიმოსონ  
სიმართლე და წმიდანი შენი სახარ...“

7. იქმენ ორღანო, ბრძენო, ღმრთივ-შეწუნარებულ მაღლთა მათ სულისა [წმიდისათა] ღმრთივ-ბრწყინვალეთა, და სარკე უბიწო შეუმ-წიკულებულ და სავანე წმიდა, დამტევნელ მამისა მითურთ, რომლისა სარწმუნოებაი მიჭიდვე კიდეთა სოფლისათა და უფროისად ქალაქსა შენსა მიამოსა და ჩუენ ქართველთა გუფარევდ, მამაო,

<sup>1</sup> S 3269 სელნაწერში ამას მოსდევს ესაია წინასწარმეტეველის საკითხა-

ვი, იგავთა საქითხავი და ნაწევეტი სოლომონის სიბრძნიდან (ფ. 290 – 291r).  
ზეცით გარდამო.

„მტერთა მისთა შევმოსო  
სირცხვილი, ხოლო მის ზედა აღვიუვან...“

8. რაბამ დიდ არს სსენებაი შენი, წმიდაო მღდელთ-მთავარო, ნეტა-  
რო და ბოწეინგალეო პეტრე, მნათობო სოფლისაო და სიქაღუ-  
ლო ქართველთა ერისა მორწმუნისაო! მოგუხედენ მოწეალებით,  
რომელი სსენებასა შენსა ვაქებთ, და გვისხენ ხილულთა და უხი-  
ლავთა მტერთაგან. მეფესა ჩუენსა ძლიერა მოჭმაღლე წინააღმ-  
გომთა ზედა!

დიდებაი გ. გუერდი

„მჯდომარე“...

9. ვითარითამე შესხმითა ვაქებდეთ ღირსად, ანუ რომლითა გალობითა  
უგალობდეთ ჩუენ მღდელთ-მომღუარსა პეტრეს, მნათობსა სოფლი-  
სასა, და სიქაღულსა ქართველთა ერისასა და უმეტეს ქალაქისა  
მოამისა, და მრგულივ ჰალესტინესა, და ალექსანდრიასა, და ეგ-  
ვიზტეს, სკიტეს და თებაიდასა, რომელსა შინა იღუაწა ღუაწლი სათ-  
ნოი ღმრთისაი და მოჭფინა მდიდრად სასწაულინი და კურნებანი და  
აწ მეოს არს ჩვენთვის უფლისა მიმართ.

აწდა. ღმრთისმშობლისაი

ონითაი ხმაი დ: „ქუეუანისა მეფისა ძეობა და“...

10. ქუეუანისა მეფობისა ძეობაი უარ-ჟეავ სრულიად სოფლისა დატევ-  
ებითა. ამისთვისცა საკუთარ შეილ ღმრთისა იწოდე, პეტრე, მოღუ-  
აწებისა კლდეო მტკიცეო და განუკუთელო ზღუდეო მორწმუნეთა

ქართველთაო, ევერტე ღმერთსა შეწუალებად სულთა ჩუენთათვის. დღესასწაული სიხარულისა აღმოუბრწყინდა უკველთა – წენება შენი, სამგზის სანატრელო მამაო პეტრე, და შემობკრებს ერთა გალობად საკვირველებათა შენთა გალობად საკვირველებათა შენთა მღდელთ-მთავართა თანა. მეფენი და მთავარნი, მდიდარნი და გლასაკნი და ეოველნი ჭასაკნი მორწმუნეთა ერთობით ადიდებენ განმამლიერებელსა შენსა უფალსა, რომლისა მიერ გაქუს შენ კადნიერებად. ევერტე მას შეწუალებად სულთა ჩუენთათვის.

### სხუარ. გ. გუერდი

11. განიშორენ საცთურნი სოფლისანი, ღმერთ-შემოსილო მამაო და იხუმიე შენ უცხოებით სიგლოტოლაი, და შეუდეგ ქრიტესა და მიხუედ უდაბნოთა პალესტინისათა მარადის განკაფული მარხვითა, მღვიმარებითა და შრომითა. მიმოიქცეოდი საუოფელთა იორდანისათა და უსხეულოითა ცხორებითა განაკვირვენ მხილველნი შენნი და უმეტესად სასწაულთა საკვირველთა მოჰყენდი ჭირვეულთა ზედა. ამისთვისცა, წმიდაო მღვდელთ-მოძღუარო პეტრე, პატიგს გსცემთ დღეს დაძინებასა შენსა. მეოს გუეუავ უფლისა მიმართ შეწუალებად სულთა ჩუენთათვის.

### სხუარ. გ.

12. მირთაგან სამეფოთა აღმოსცენდი შენ, წმიდაო და გამოიხუენ ევავილნი მრავალ-ფერნი სათნოებათანი და მადლი საკვირველებათა შენთა განისმა უოველსა სოფელსა შენსა. ამისთვისცა მადლმან ღმრთისამან გცნო შენ მიშრონითა მღდელთ-მოძღუარებისაითა და, ვითარცა მწუეშმან კეთილმან, დასდევ სული შენი ცხოვართათვის. და აწ დამკვიდრებულ ხარ უკველთა წმიდათა თანა წინაშე ღმრთისა. მათ თანა ქრისტესა ღმერთსა ევერტე, რათა შეიწუალნეს სულნი ჩუენნი.

უგალობრითსა. წმაი ბ.

„რომელმან განახმო“...

13. მიჭრონსა სულნელსა ქებათასა შეჭმზადებს ერი მორწმუნე მიჭრონისა მაგის სულნელისა, მამაო სანატრელო, რომელმან სულად სულნელად მიუძღუანენ შრომანი შენნი და აღავსე სოფელი სიხარულითა.

14. ქებაი ქებათაი შეენის შენდა, მამაო, არამედ ვერ მალმიც ჯეროვნად შესხმად შენდა უმლურითა სიტყვითა, არამედ მალისაებრ შეიწირენ მცირენი ესე გალობა[ნი] და მეოხ მეეავ წინაშე უფლისა.

15. კაცო ღმრთისაო, მონაო სარწმუნოო და კაცო გულის - სათქუმელო სულისაო, ღირსო, ანგელოზმან აუწეა შობაი შენი ანგელოზისა მაგის წმიდისა მამასა შენსა და ჰმადლობდა იგი ღმერთსა.

\* \* \*

16. ღმრთისმშობელო სმალო, უბიწოო დედაო, ქალწულო მარიამ დიდებულო, რომელმან დაიტიე დაუტევნელი ღმერთი და გვიშევ ხორცშესხმული, მისა მიმართ მეოხ გუეეავ მოსავთა შენთა...

გალობაი - „კლდესა ზედა“

17. შეიუარე სიწმიდე სიჩხოითვან, წმიდაო პეტრე, და შიშითა ღმრთისაითა მოცულ იუავ შენ მარადის. ამისთვისცა დაიმკვიდრა შენ თანა მდიდრად ღმრთისამან და გშოჭურ რჩეულ და მსილველ უხილავთა საქმეთა, სანატრელო.

18. მოიძულენ სუფევანი სოფლისანი, მამაო, და შორტირთა წილ სამეუფოთა შეგემოსა შინაგან ფიცხელი მამაი ბალნისაი და დამე უოველ მღვიმარებითა დააჭვნენ სორცთა აღმრვანი და სათნო ექავ ღმერთსა მართალსა.
19. იუავ რაი შენ სიურმესა მეფისა თანა მორწმუნისა, გაუენებდეს მონანი შენინი მსახურებად უფლისა და არა მოგართვეს ზეთი კან-დლისა აღსანთებელად, ხოლო შენ ილოცვე რაი, თვინიერ ზეთისა შვიდ დღე აღენთო წეალი ცეცხლითა.

\* \* \*

20. შენ მხოლოდ გამოსჩნდი უზეშთაეს ანგელოზთა და უდიდებულეს სერაბინ-ქერაბინთა, რამეთუ შემოქმედი მათი იტვირთე მკლავთა ზედა, უბიწოო. მისა მიმართ მეოხე გუევავ, რათა გაროოთ ლხინებაი ცოდვათა ჩუენთაი<sup>1</sup>.

მესმასა<sup>2</sup>

„მთისაგან უზელოდ“...

21. სურვილი საღმრთოი შენ შორის ეტეინებოდა მდიდრად, მამაო, და სურვიელად მისდევდი კუალსა მწევემსთ-მთავრისასა. ამისთვის ნათლისა სუეტით გეზრახებოდა და გასწავებდა და ნუგეშინის-გცემდა.

<sup>1</sup> ამის მომდევნო ოთხი მუხლი ამოღებულია H 1672 სელნაწერიდან (ფ. 458).

<sup>2</sup> მესმა (მესმასა) – ჰიმნოგრაფიული კანონის მე-4 გალობის მველი ქართული სახელწოდება, მოძღვნარებს მეოთხე ბიბლიური კანონიდან: უფალო მესმა სმენა შენი და შემქმინა(ამბაკუმ. 3,1-19). ზოგირთ კანონში მე-4 გალობას ეწოდება

“უფალო მქსმასა” (14, გვ. 579).

22. გექმნა თანაგანზრახ კეთილი სრბისა შენისა, ღირსო, საჭურისთ-მთავარი ბრძენი და მიისწრაფე ნავთ-საუდელად, სადა მიგიძღვა ღმერთი ორთავე და იღუაწეთ თქვენ ღუაწლი უკუდავებისა სათნო ღმრთისაი.
23. ვერ წარიტაცეს მფრინველთა, ვერცადა მზემან განახმო, ვერცა ეპლთა შეაშთვეს, ჭირთა და განსაცდელთა მნელთამან და ზრუნვა-მან სოფლისამან თესლი ღმრთის მსახურებისა, არამედ ასწილად აღაორმინე.
- \* \* \*
24. ომელისა ქებაი ქებათაი შეამკობდა, ქალწულო, და პირად-პირად-ნი იგი მოსწავებანი წინასწარმეტეუელთანი გაქებდეს, უსმლოო ღმრთის-მშობელო, მორწმუნენი გიგალობთ: “დაგვიფარენ განსაცდელთაგან”.
- ღაღადებულსა. გალობაი ა  
„შენ მნათობთა“...
25. მიმო-რაი-იქცეოდე შენ, ნეტარო, ადგილითი ადგილად უცხოთა თანა, აღაშენენ მონასტერნი, შეჭკრიბენ მმანი, და ჰმსახურებდი უცხოთა და უძლურთა განჯეურნებდი. და განისმა უოველთა შორის სათნოებათა შენთა სიმრავლე, ბრძენო.
26. მი-რაი-ხუედ წმიდად ქალაქად, მამაო, შეგიწენარეს შენ მსგავსადგე შენსა უცხოებად წარმოსრულთა მეუღლეთა მათ ღმრთის-მოუკარეთა, ჰრომით მოსრულთა, და აღაშენენ შენცა სახლი უცხოთა შემწენარებელმან, ნეტარო პეტრე წმიდაო, მსგავსად აბრაჟამისა.
27. მსგავსად მოსესა გიჩუენა უფალმან ზეცათა შინა სელითუქმნელი ტამარი ნათლითა სავსე და ერგასისნი კაცნი ბრწეინებლენი

მას შინა და მოგცა იგი სასუიდელად შრომათა შენთა, რომელთა  
ჟულფი, წმიდაოზეტრე, მნათობო სოფლისაო.

\* \* \*

28. შენ ღმრთის სიტევისა უცხოდ დამტევნელო ქალწულო, განწირ-  
ულთა სასოო, ნავთსაღგურო, შენდა მოვილტით და შენ მიგავ-  
ლენთ ძისა შენისა, რათა მოვიღოთ მისგან მეოხებითა შენითა  
ბრალთა შენდობაი და ცხოვრებაი სულთა ჩუენთაი, ღირსო...

ღაღაღუავსა

„სიღრმეთაგან აღმომიეგანე“...

29. იქმოდა რაი ღმერთი შენ მიერ ნიშთა და მალთა აურაცხელთა,  
განხდა ყოველთა შორის წმაი შენი. ამისთვის შემოკრბეს ერნი  
შენდა და გთხოვდეს შენ განმგებელად.

30. ჩატრიარქი გაიძულებდა მწესად ქალაქსა მიამოსა, ხოლო შენ  
მოსწრაფედ ევლტოდე დიდებასა, ვიდრემდის [არა] გეჩუენა შენ  
ქრისტე და გიბრძანა შენ განგებაი მისი.

31. ჰეტრე, მნათობო სოფლისაო, მოციქულისა ჰეტრესებრ დამწესი  
ეპლესია და ნათელ-სცემდი წარმართთა და მოქცევად ცოდვილთა  
სინანულად და აცხოვნებდი.

\* \* \*

32. სიტევაი ღმრთისაი დაუსაბამო შენ მიერ, დედაო უსძლოო, განხ-  
ორციელდა და საცოურთაგან განათავისუფლა სოფელი. მისა  
მიმართ მეოხ გუგუაჭ!

იბაკოი გ

33. ცეცხლი რაი საღმრთო გულად იღე, წმიდაო, რომლისა მიფენად  
მოვიდა მეფე, მის მიერ დასწუენ ეოველნი ნიკონი ვნებათანი და  
ექმენ ლამპარ ბრწყინვალე ბნელისა მეოფთა, ვითარცა სუეტი  
ნათლისა ახალსა ისრაელსა და აღიუგანენ ზეცისა იერუსალიმსა,  
ჰეტრე სიქაღულო ქართველთა.

მეოს გუეჯავ სულთა ჩუენთათვის!

იკოსი

34. რომელი შესხმა ანუ რომელი ქებაი შევსწიროთ შენდა, მამაო,  
ანუ რომლითა გალობითა გიგალობით შენ, უოვლად ძლიერო  
ძლუდელთ-ძლიდუარო ჰეტრე?! სიტუაცია მოუძლურდების და გონ-  
ებაი განცვიფრდების შრომათა, ჭირთა და ღუაწლთა შენთათ-  
ვის. რომელი ვთქუა ანუ რომელი დაუტეო, უღონო ვარ, რამეთუ  
უოველივე საკვირველ არს შენი: შობაი, აღზრდაი, სიურმე და მეის  
დატევებაი სოფლისაი, უცხოებაი, სიგლახაკე, მარხვაი, მღვიმა-  
რებაი, სასწაულნი და ნიშნი ურიცხუნი წილვანი საკვირველნი და  
მარადის ქრისტეს თანა ცხორებაი, მწევემსობაი ჭეშმარიტი, მო-  
ქცევაი წარმართაი და ცოდვილთა შეწუნარებაი, სრბისა კეთილისა  
საგრობაი, ესრეთ გვირგვინსანობაი და აწ კადნიერად დგომაი  
უხილავსა მას შინა ნათელსა წინაშე უფლისა და მეოხებაი ჩუენ  
უოველთვის.

## თუესა დეკენბერსა ბ

დამინებაი წმიდისა და ღმერთ-შემოსილისა მამისა ჩუენისა ჰეტრე ქართველისაი, მიამოსა ქალაქისა ეპისკოპოზისა. ესე იუო ნათესავით ქართველი, მე ქართველთა მეფისა ვარაზბაკურისა, რომელი იუო მეხუთე მეფე მირიანის მეფობისაგან. აღესრულა თუესა დეკენბერსა ორსა, დღესა შარასკევსა, წლისა სამეოცდახუთისა, ჟამთა ზენონ მეფესა ბერძენთა ზედა<sup>1</sup>

### კურთხეულხარსი

„ხატისა მისთვის“...

1. გაქუნდა უფალი მსმენელად თხოვათა შენთა, წმიდაო ჰეტრე მღვდელთმთავარო, ამისთვის მარადის გამოგიჩნდის და გიჩუენებდის დიდებასა თვისესა და განგამლიერებდის; ხოლო შენ სიხარულით და მაღლობით ესრეთ ღაღადებდი და იტყოდი: „კურთხეულხარ შენ, უფალო“.
2. ვერ მალ-უც ენასა ჩუენსა გამოთქმად საკვირველებათა შენთა, მამაო უოვლად ბრძენო, რამეთუ უფროის მალისა ჩუენისა აღემატა დიდებაი შენი. არამედ შეიწირე ჩუენ უღირთა მალისაებრ გალობაი და გვითხოვე აწ ღმრთისაგან მოტევებაი ცოდგათა ჩუენთაი.

<sup>1</sup> იბეჭდება S 3269 (292 – 293 r) და H 1672 (ფ. 559 v -460 v) ხელნაწერების მიხედვით. მეორეში ჰეტრე ქართველის მცირე საკითხავი არ არის დაცული. ტექსტი იწევება პირდაპირ “კურთხეულხარსის” საგალობლით, რომელიც მისდევს წინა საგალობლებს. პირველად გამოაქვევნა პ. კეკელიძემ

(ეტიუდები, VI, 1960, გვ. 247 – 250).

\* \* \*

3. უსურნელეს მიშრონთა ფშვიან სათნოებანი შენი და უმეტეს მხისა ბრწევინვენ საკვირველებანი შენი და მოძღვრებანი მაღალნი, და უფროის ჭირნი და შრომანი, რომელ თავს ისხენ ქრისტეს ღმრთისათვის, წმიდაო. ამისთვის გადიდა ღმერთმან შენ, მაღიდებელი თვისი.
4. ეუფლა პირველ სიკუდილი და განვარდა დიდებისგან ადამ, ხოლო იხსნა დღეს შობითა შენითა, ეოვლად წმიდაო ქალწულო სმალო. მიხსენ ჩუენცა განსაცდელთაგან მტერისათა და დირს მყენ გალობად შენდა. კურთხეულ ხარ შენ, რომელმან გვიშევ ხორციელად დამბადებელი.

აკურთხევდითსა

„სახუმილმან გარდ...“

5. გაუწეა ღმერთმან წინაისწარ-უოფად აღსასრულისა შენისა, მამაო, და მხიარულ გეო მოლოდებითა კეთილთა მოუგონებელ-თაითა, რომელსა შინა სუფევ მარადის და აღამაღლებ ღმერთსა უკუნისამდე.
6. ეჩუენა მმასა ეფთვიმის (sic) მამაი ზენონ, მნათობი იგი სკიტისაი, და ეტეოდა განსლებასა შენისათვის, ვითარ-იგი ისწრაფდეს წმიდანი მისვლასა შენსა და მათ თანა დამკვირდებად უკუნისამდე.
7. ხელთა ღმრთისათა შეჭვედრე სული შენი უბიწო, წმიდაო პეტრე. მაშინ მოვიდეს ანგელოზთა გუნდი და კრებული ეოველთა წმიდათა და გიმლოდეს და აღგიუვანეს წინაშე ღმრთისა.

\* \* \*

8. ვერ შემძლებელ არს გონიერად მიწიდომად საიდუმლოთა შენთა, უსძლოო სძალო მარიამ, რამეთუ დაიტიე უფალი დიდებისა გვი-შევ ხორცშესხმული. მისა მიმართ მეოთხ გუევავ შემსხმელთა შენთა.

ადიდებდითსა

„სიტუაციაზე ზეცით“...

9. კრებულსა მას წმიდათასა წინა-მავალად შენდა და პატივად წინა-უპირობდა წმიდაი პეტრე, მღვდელთ-მოწამე დიდი, მამათმთავარი იგი ალექსანდრიისაი, ვითარცა სეხნასა მისსა და ღმრთისა ზი-არსა. ამისთვისცა მის თანა გიგალობთ, ღმერთშემოსილო.
10. აწ არა-სადა იგავით, არცა აჩრდილის სახედ სედავ ჰირსა მას საღმრთოისა ქრისტე მეუფისასა, მამაო წმიდაო პეტრე, არამედ განიცდი შენ ბირის-ბირ ბირსა სასურველისა შენისა ქრისტესა, ნეტარო, რომელისა მიმართ მეოთხ გუევავ ჩუენ.
11. ზეცით მოგუხედენ, მამაო, შემოკრებულთა ამათ და სურვილით მე-დღესასწაულეთა წმიდასა ამას სახსენებულსა შენსა და გვითხოვე ლხინებად ცოდვათა ჩუენთაი და უოველთავე განსაცდელთაგან გვიხსენ, და მეფესა ჩუენსა ზეცით მოჰმადლე ძლევაი.

\* \* \*

12. სძალო და დედაო ქრისტესო, სიმრავლე ანგელოზთაი ევედრე-ბიან ქრისტესა, ძესა შენსა, და შენცა მიგავლენთ მორწმუნენი ვედრებად: „მოსავთა შენათვის ნუ დასცხოები, რათა განმარინენ ჩუენ საფრხეთა მათგან ეშმაკისათა მაღიდებულნი შენნი“.

გამოავლინე. დ. გუერდი

13. მოაწია დღესასწაული შენი, ბრძენო მამაო, ვითარცა ცისკარი ბრწყინვალე, და განამნიარულებს გულსა მორწმუნეთასა, და განსდევნის სიბილწესა ეშმაკთასა, ომელნი სურვილით გადიდებენ და ჰქონებენ ბრალთა შენდობასა.

აქებდითსა

„შენ სიტეუა“ ბ-გ ზის.

14. ქებაი ქებითაი შევსწიროთ, ჰორ ღმრთის-მოუკარენო, მღვდელთ-მთავარსა წმიდასა და გალობათა წესტუსა დავჭიბეროთ ჩუენ შესს-მად ღუაწლთა, ჭირთა და მოთმინებათა მისთა, ომელნი დაით-მინენ სიუკარულითა ქრისტესითა და გვირგვინოსან იქნმა იგი.

15. შენ ეტლად საცნაურისა მზისა გიცნობთ, ბრძენო, და განსასუენე-ბლად ეოველთა მეუფებისა, აღმოსავლით რაი აღმოშხედ შენ და დასავალად დაიწიე და განანათლე კედარი ანათლოი ნათლითა სწავლათა შენთაითა.

16. კლდემან მან ცხორებისამან, ქრისტემან მეუფემან, ჩუენებით განგიცხადა შენ საკუთარსა თვისსა მწესად ცხოვართა თვისთა, ომელსაცა ურჩ ექმენ, წმიდაო, და დასდევ სული შენი მსგავსად მისსა სამწესოს, ჟეტრე რჩეულო.

დიდებაი. გ. გუერდი

„მჯდომარე“...

17. რაიმე გიწოდოთ შენ, სანატრელო მამაო: სამოთხედ სიტეუ-ერად, აღმომაცენებლად უუავილთა მრავალ-ფერთა, სურნელთა სათნოებათა და მზისა საცნაურისა მტვირთველად, და მდინარედ,

აღსავსედ წეალთა, სულ მომრწყელად დამაშურალთა და წეაროდ  
სასწაულთა საკვირველთა? პეტრე, კლდეო მტკიცეო და გოდოლო  
უძრავო, შესავედრებელო ჩუენ მორწმუნეთაო, ევედრე უფალსა ხს-  
ნად ჩუენდა ბოროტაგან, რომელი გადიდებენ შენ.

თუესა დეკენბერსა პ.

წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა დიდისა მღვდელთ-  
მოძღვარისა პეტრესი, რომელი მონაზონ იქმნა, განეშორა და  
მერმე იმულებით მიამოსა ეპისკოპოზად იკურთხა. ესე იუო ძე  
ქართველთა მეფისა ვარაზ-ბაკური კეთილ-მორწმუნისა. ესე  
მეოთხე მეფე იუო მირიან მეფეთგან, რომელი მოიქცა დედისა  
ჩუენისა ნინოს მიერ და დასაბამ იქმნა ქართველთა ქრისტეს  
ცნობისა და სარწმუნოებისა<sup>1</sup>

უგალობდიდსა. ხმაი ღ

„მხნენი“

1. მოვედით და შემოკრბით დღესასწაულსა ამა დიდსა მღვდელთ-  
მთავრისა დიდებულისა პეტრესა, რომელი არს მხოლოდშობი-  
ლი, ქართველთა მარტობელისა ვედრებითა შობილი ანგელოზის  
ხარებითა, რომელი იშვა მსგავსად ნათლისმცემლისა და ზეცისა  
კამარათა სიმაღლესა ზეშთა უფლისა მიმართ აღმაღლდა.
2. დიდებულება სოფლისა და საწუთოისა შუებანი, მონათა სიმრავ-  
ლე, და ლარი სამეფო, და შუებაი და ფუფუნებაი და მეფეთა მეობაი

<sup>1</sup> იბჟდება S 3269 (ფ. 347v – 348v) კრებულისა და 1742 წელს მოსკოვში  
დემეტრე პეტრეს-ძე ეპიტაშვილის მიერ გადაწერილი „სადღესასწაულოს“

(A152, ფ. 114r – 116 r) მიხედვით.

არარად შეჭრაცხე შენ, დიდებულო მღუდელთ-მთავარო ჰეტრე,  
ნეტარო, და თავი გულარმნილისა გულისა მის, ადამის ამჩარ-  
ტავნებით დამცემი, გლახაკებითა დასთრგუნე.

3. ანგელოზად ქუკეანისად და კაცად ზეცისად გიცით შენ, დიდებულო, სანატრელო მღუდელთ-მთავარო, ჭურად რჩეულად ქრისტეს ღმრთისა ხორცთა და სისხლთა მისთა სამკვიდრებელად სავანედ და აწ უღელი ერი ქართველთა, გვედრებათ დღეს. მეფე ჩუენი მორწმუნე განამტკიცე და მღუდელნი ერითურთ დაიცევ და მეოხე გუკეავ წინაშე ღმრთისა!
4. ჰოი სასწაული საკვირველი! ლიონი მამაო დიდებულო ჰეტრე, ხედევდი შენ მარადის თუაღითა ამით სულისაითა მაღალთა შინა დამკვიდრებულსა ღმერთსა მხოლოსა; სვიდოდი რაი სოფლისა ღელვათა ზედა, არა დაინთქ წარმაფალისა დიდებისაგან, ჰოი, შრომათა შენთა სიმრავლესა, ნეტარო, რომლითაცა იხარებ წინაშე ქრისტესა. მეოხე გუკეავ ჩუენ.
5. შენ, საუნჯეო სიბრძნისაო, სწავლათა სიმდიდრეო, დიდო საკვირველთმოქმედო, მხნეო მოღუაწეო, ახოვანო უფლისაო, ქართლისა ნერგო, მიამუსა სამოთხეო და სიქადულო ქრისტეანეთაო! ჰოი მკურნალო სულთა და ხორცთაო, შუენიერო, რომელთაცა ქადაგ იქმენ ქრისტესა, ჰეტრე, მეოხე გუკეავ ჩუენ.
6. შენ, მღუდელთ-მოძღუართა სიქადულო, სათნოებათა ჭურო, ქართველთა ერისა ვარსკულავო, ახალ ნერგთა სიმტკიცეო, მოხუცებულთა სუეტო, სწეულთა მკურნალო და ბრძანათა ნათელო, წარწემედილთა და შეცდომილთა მომაქცეველო, ჰოი ნეტარებისა უაღრესო ჰეტრე, მეოხე გუკეავ წინაშე ქრისტესა ქართველთა ქებად.

## დიდებაი დ. გუერდი

„ერემი“...

7. სოფლისა ამისა ამაოქანი უარ-ჲყავ, სანატრელო და აღილე შენ ჯუარი ქრისტეს მხსნელისა და მოღუაწებითა, მამაო, დასთოგუნე მტერი ბოროტი, მრავალფერნი მზაკვარებანი მისნი, ვითარცა რაი ქსელი დედა-ზარდლისაი, დაჭსენ შენ და მნათობად ქუევანასა ქართლისასა აღმოსცენდი და მღუდელთ-მოძღურებისა ნათლითა უნათლეს მზისა განპბრწეინდი. ამისთვისცა გიგალობთ შენ, სასოსა ჩუენსა და სადგურსა ქრისტეს მხსნელისასა. ევედრე მას მგალობელთა და სურვილით მედღესასწაულეთა შენთათვის.

აწდა ღმრთისმშობლისა სტიქარონნი, მსგეფსისა, დიდებაი წარდგომაი ბ. გუერდი.

8. მოღუაწებითა ოფლით და სათნოდ ღმრთისა ცხოვრებითა აღხედ შენ მთასა სათნოებათა მოქალაქეობისასა და ღმრთისაი ზედვითა იშუებდ, მამაო წმინდაო, სამგ ზის სანატრელო მღუდელთ-მოძღუარო ზეტრე. ამისთვის გევედრებით: მეოხ გუევავ ჩვენ — მაღიდებელთა შენთა!

აწდა ღმრთისმშობლისაი. ოხითაი დ

9. ქუევანისა მეფისა მეობაი უარ-ჲყავ სრულიად სოფლისა დატევებითა. ამისთვისცა საკუთარ შეილ ღმრთისაისა იწოდე, ჰეტრე — მოღუაწებისა კლდეო მტკიცეო და განუეცეთელო ზღუდეო მორწმუნეთა ქართველთაო. ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწეალებად სულთა ჩუენთათვის.

## წარდგომა. გალობაი დ

10. სიჩეოით შენითგან შესწირე თავი შენი უფალსა და ხორცობა გემონი მოაკუდინენ, მამაო, ვინა ზეგარდამო ღმრთისა მიერ ცხებულ იქმენ მღუდელთ-მთავრად და, ვითარცა მწევემსმან უოვლად ქებულმან, მგელნი მძიმენი ქრისტეს სამწესოისაგან განხსადენ და მართლისა სარწმუნოებისა მწუანვილსა ზედა გამოიზარდენ, უოვლად სანატრელო ზეტრე, ერი ქართველთა. ხსენებისა შენისა შემსხმელნი და უოველნი მაღიდებელნი შენნი დაიცვენ განსაცდელთაგან.

გალობანი წმიდისა პეტრესნი  
უგალობდითსა დ. გუერდი

„გალობით შევსწი“...

11. წეალობათა შენთა ნათელი, ქრისტე, აღმომიბრწყინვე, გევეღრები დამბრმალსა ცოდვათა მღუდელთ-მოძღუარისა ოსითა წმიდისა პეტრესითა და წეუდიადი ბრალთა ჩემთა განბანე, უოვლად სახიერო!
12. ქუევანაით ქართლისაით აღმოჰქედ შენ ძირთაგან კეთილითა მეფეთა, გლასაკთ-მოწეალებით და ქუელის-მოქმედებით მოენიჭე ღმრთისაგან სარებითა ანგელოზისაითა, ვითარცა დიდი წინამორბედი.
13. ქუევანა გონებისა შენისა მოიმუშაკე მოღუაწებით და დასთესე თესლი სულიერ, და საღმრთოი მარწვისა და ლოცვისა და უვნებლობისა იფქლი მოიმუშაკე, მღვდელთ-მთავარო პეტრე.

\* \* \*

14. საჭურველად ნავთ-საუკერძოდ და ზღუდედ სიმტკიცედ და მალ-  
თად, კიბედ აღმომევანებელად გუაქუს მეოხებაი შენი, ქრისტეს  
ღმრთისა დედაო, და ჭირთაგან განვერებით და საცოლერთაგან  
მტერთასა კიხსნებით.

განძლიერდითსა

„არაგინ არს“...

15. უმანქოებითა და სიმშვიდითა იაკობის მსგავსა იქმენ და გიწოდთ  
შენ ასალ ისრაელ, გონება-მწილველ ღმრთისაი და სადგურ სუ-  
ლისა უოვლად წმიდისაი.

16. საკეირველთ-მოქმედად მაღიდებელი თვისი გადიდა ღმერთმან,  
ღირსო ჟეტრე, ოამეთუ კანდელი უზეთო ბრწეინგალედ აღანთე  
მარტივის წელითა აღსავსე.

17. მოკლებულ რაი იქმნენ უოველთაგან საზოდელთა შვილნი ეკლე-  
სისა შენისანი, მამაო, ლოცვითა შენითა იფქლსა ღვინითურთ  
სავსებით უოველთა გარდაემატა.

\* \* \*

18. უდედოდ შობილი გვიშევ უმამოდ და, ვითარცა რაი ჩჩილსა, აწოე-  
ბდ მზრდელსა მას უოველთა სორციელთასა. მას ევერრე ჩუენთვის,  
ღმრთისა დედაო.

მესმასა

„მესმა მე, ქრისტე“

19. შეგავს იქმენ ანგელოზთა ქცევითა, ბრძენო, და გეხუენა შენ ქრისტე ზირის-ზირ, ღირსო, სიუჟარულით გზრასევდა, რაჟამს დაგ სმიდეს საუდარსა ზედა მღუდელთ-მოძღუარისასა.
  20. რაჟამს ქრისტე გაწუევდა მსხუერზლის შეწირვად, თუალით იხილე ხორცი წმიდაი, მდებარე, ასოეულად დაჭრილი, სისხლითა სავსე, რომელი იუო ფეხშეუმსა ზედა.
  21. სახლ იქმენ ღმრთივ-ბრწეინებალე მოღუაწებითა, ტამარ წმიდაი ლოცვისა და გედრებისა და სავანე დიდებისა. გევედრებით შენ, პეტრე, ფარევდი ქართველთა ერსა!
- \* \* \*
22. სასოო და ზღუდეო მორწმუნეთაო, მეოს გუევავ მონათა შენთა წინაშე ძისა შენისა, რამეთუ შენ მოგვაგე სახლინებელად ბრალთა-გან ცსნისა.
- ღმრთისმშობლისა გალობაი
- „რომელმან ღამისაგან“...
23. სათნოებათა სუეტად, საუნჯედ უოვლისა სიწმიდისად გიცნობთ, მამაო სანატრელო. მეოს გუევავ ჩუენ შემსხმელთა შენთა!
  24. ოდეს განსუედ ქალაქით, სუეტი ნათლისა წინა გიძღოდა, ღირსო მღუდელთ-მთავარო ქრისტესო, რომლისა მიერ ამაღლდი ზეცად.

25. ღმრთისა წამის-უოფითა და მეუფისა ქრისტეს წოდებითა საუნჯედ  
საუდართა ზედა აღმაღლდი მღვდელთ-მოძღვრებისათა, დიდებაო!
26. უთესლოდ მუცლად იღე ცათა დამბადებელი, უოვლად წმიდაო, და  
იქმენ უზეშთაეს უოველთა ზეცისა მთავრობათა.

ღაღაღუაგსა

„მომეც მე“...

27. სული წმიდაი დაემკვიდრა შენ თანა და გეო მკურნალ სწეულთა და  
დამხსნელ ბერწობისა, ქართველთა მნათობო, მამაო ზეტრე.
28. იქმენ მწვალებელთა მომაქცეველ და სასწაულთა საუნჯე და  
ლოცვითა წვიმითა მომევანებელ ქამსა მას გუალვისასა.

29. მოაკუდინენ ხორცთა გულის-თქუმანი, ხოლო სცხონდი სულითა.  
მეცა ვნებულთაგან მომკუდარი აღმადგინე, უოვლად ქებულო!

\* \* \*

30. მამისგან შობილი სიტუაა დაიტიე საშოსა და უჟამო ღმერთი ჟა-  
მიერად გვიშევ, უოვლად წმიდაო.

იბაკოი ბ

31. ცეცხლი რაი საღმრთო გულად იღე, წმიდაო, რომლისა მოფენად  
მოვიდა ქრისტე მეუფე, მის მიერ დასწუნენ უოველნი ნიგონი ვნე-  
ბათანი და ექმენ ლამპარ ბოწეინვალე ბნელსა შინა დანთქმულთა  
გითარცა სუეტი ცეცხლისაი ახალსა ისრაელსა და აღიყვანენ  
ზეცისა იერუსალიმსა, ზეტრე მღვდელთ-მთავარო. მეოს გუვეავ

ჩუენ უოველთათვის!  
იკოსი

32. სახლსა შინა ღმრთისასა იქმენ ზეთის-ხილი ნაუოფიერ და ზეთი  
მოწეალებისა შენისა უოველთა მდიდრად განუეავ, ღმერთ-შე-  
მოსილო მამაო, სანატრელო ჰეტრე, ქართველთა სიქადულო, ნუ-  
გეშინის-ცემდი გლახაკთა, განამდიდრებდი უღონოთა და ჭირთა  
და სალმობათა მიერ შეიწრებულთა შენდა მომავალთა განამხია-  
რულებდი! მათ თანა ჩუენცა მოგუმადლე მადლთა შენთა სიმარ-  
თლე! ერთა ქართველთა და მეფესა ჩვენსა მორწმუნესა ჰფარევდი  
და მეოს გუეავ ჩუენ უოველთათვის!

კურთხევლ არს

„ქუეუანით იუდას“...

33. ვენახმან ჭეშმარიტმან გამოგვიდო რტო ჭეშმარიტი ძირისაგან.  
ვიშუებთ ქართველთა ერი აღმოცენებისა შენისათვის, წმიდაო ზე-  
ტრე, და ვიტევით „მამათა ჩუენთა“...

34. ვენახი უნაუფო რომელი-იგი ლოცვითა შენითა ნაუოფიერ ჰეავ,  
მეთევზურთა ბადენი მსგავსად მხსნელისა თევზთა სიმრავლითა  
აღავსენ და ლალადებენ „მამათა ჩუენთა“...

35. მადლითა სულისათა წინაითვე გეუწეა განსვლაი შენი ხორცო-  
გან და ცხორებად უკუდავად მიცვალებაი შენი, წმიდაო, საფანეთა  
შენთა საღმრთოითა და ჰგალობ „მამათა ჩუენთა“...

\* \* \*

36. ანგელოზთა კრებულნი, ვითარცა დედასა ღმრთისასა, ვიგა-  
ლობენ, სძალო, და ძრტოლით გმსახურებენ და შენგან შობილსა

ქრისტესა ხმა-ტკბილად უგალობენ „მამათა ჩუენ[თა]“...  
აკურთხევდითსა

„მთასა ზედ“...

37. ვითარცა გაქუს მენავეთ-მოძღვრად ღმერთი გონებისა შენისა  
უბიწოსა, ვნებათა ჩემთა ღელვანი დააუღევ და ნავთსაუგდელსა  
ცხორებისა წარმიმეღუ მგალობელსა შენსა.

38. წეალთა ზედა სიუჟარულისათა შენ აღიზარდე, ვითარცა ნერგი  
საღმრთოი, და ქამსა თვისსა ნაუოფ გამოიღე ღმრთის-მსახურები-  
სა და მოატუე მშვიდობა მეფესა ჩუენსა.

39. წვალებისა მბრძოლი იყავ, დიდებულო, სოლო შემწე მარ-  
თლ-მადიდებლობისა. ღირსო ზეტრე, მეფე ჩუენი მორწმუნე  
განსაცდელთაგან დაიცავ და ერი ქართველთა ოხითა შენითა დაი-  
ფარე!

\* \* \*

40. ვინ გამოთქუას უბიწო შობა შენი, ღმრთის-მშობელო მარიამ  
დიდებულო, რამეთუ ეოველნი ბუნებანი განკვირდებიან უსხე-  
ულოთანი და მიწით შობილნი მრწოლით გნატრით და გადიდებთ.

აღიღებდითსა

„რომელმან წინაისწარ“...

41. ცრემლთა შენთა მდინარითა, ღმერთ-შემოსილო ზეტრე, სამოთხე  
აღაუვავილე და ფრიადსა ნაუოფსა გამოიღებს მარადის და ზრდის  
სათნოებითა სამწესოთა შენთა.

42. უზაკელი მსახურებად შესწირე ღმრთისაი, ზეტრე, სარგებელი

ღუაწლთა სრულ ჰეთი კეთილად სათნოდ ღმრთისად და მიიღე გვირგვინი დიდებისა ზელთაგან შემოქმედისა ღმრთისათა.

43. ღღეს განსცხოების და იხარებს მორწმუნეთა სიმრავლე, ერი ქართველთა, ბანაკი მღუდელთ-მოძღუართა და მღუდელთა გუნდი წმიდაი, რამეთუ შენი უოველივე აქუს ხატად ცხორებად.

\* \* \*

44. ვითარცა ღმერთსა და კაცსა შენგან შობილსა, სმალო, დამბადებელსა უოველთა საუკუნეთა ღმერთსა ევედრე ხსნისათვის ჩუენისა, რათა გუაცხოვნენ მგალობელი შენი.

გამოავლინე. გ. გუერდი

45. განმანათლებელო უოვლისა სოფლისაო და დამხსნელო ადამის წუევისაო, მოიხილე ღმრთით და განგუანათლენ ჩუენ თაუეანის-მცემელნი შენი.<sup>1</sup> მეოხებითა დიდისა მღუდელთ-მოძღურისა შენისა პეტრესითა და შემიწუალენ ჩუენ.

აქებდით [ისა] თავისა. „ჰოი სასწაული“  
წარიკით [ხეთ]. დიდებაი

46. საცხებელი წმიდაი შეიწუნარე მადლითა სულისაითა და მღუდელთ-მოძღუარ ღმრთისაი იქმენ სათნოდ ღმრთისად, სცხორებდი კეთილად მოქალაქებით შენ, პეტრე, და, ვითარცა ანგელოზი, იქცეოდე ხორცითა სოფელსა შინა. ამისთვისცა მეოხებითა შენითა, ნეტარო მამაო, ჩუენ უოველთა მოგუმადლე დიდი წეალობაი.

<sup>1</sup> აქ წუდება S 3269 ხელნაწერის ტექსტი.

## ლიტერატურა

1. წმიდა ამბობსი აღმსარებელი, მწიგნობრობა ქართული, მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, წ.1, ტ.12, თბილისი, 2011.
2. წმიდა კირიონ II, მწიგნობრობა ქართული, ივერიის გულტურული ოლლი რუსეთის ისტორიაში, ტ.11, თბილისი, 2011.
3. წმიდა ბოლიევქტოს კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსი და მღვდელმთავარი, ტფილისი, 1890.
4. ანანია ჯაფარიძე (მთავარებისკონტოსი), ქართული საექლესიო (სალიტ-ერატურო) ენის ჩამოჟალიბების საკითხისათვის (იოანე დაზი), თბილისი, 2002.
5. ანანია ჯაფარიძე (მთავარებისკონტოსი), ბეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, თბილისი, 2002.
6. გ. თევზამე, ბეტრე იბერი, თბილისი, 2010.
7. გ. თევზამე, ბეტრე იბერი, მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2014.
8. გ. კოპლატამე, სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალი „სამი საუნჯე“, წმიდა ბეტრე იბერი, თბილისი, 2011, №1.
9. გ. წერეთელი, უმველესი ქართული წარწერები ბალესტინიდან, თბილისი, 1960.
10. გ. შარამე, თეიმურაზ ბაგრატიონი - ბიბლიოგრაფი და გოლექციონერი, თბილისი, 1874.
11. გეორგიგა ტ.1, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი, 1961.
12. გეორგიგა, ტ. 2, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები ბეტრე იბერის ბიოგრაფიისათვის, ს. უაუხისშვილი, თბილისი, 1965.
13. დ. ბაქრამე, ისტორია საქართველოსი, ტფილისი, 1889.
14. ე. გაბიძაშვილი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2007.
15. ე. გაბიძაშვილი, შრომები, ტ. 1, ქართველ წმინდანთა და დღესასწაულთა მოსახსენებელი დღეები ძველი ქართული

ხელნაწერების მიხედვით, 2010.

16. ქ. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოძეგლობა.
17. გ. ჩახანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, თბილისი, 1974.
18. ჭ. გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, „გელათის აკადემიის სულიერი იდეალები“, თბილისი, 1990.
19. ო. ქორდანია, ქრონიკები II, ტფილისი, 1897.
20. ო. აბაშიძე, ზალესტინის დღიური, თბილისი, 1961.
21. ივ. ლოლაშვილი, არეოზაგიტიკის შრობლებები, თბილისი, 1972.
22. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია 1, თბილისი, 1960.
23. გ. გეგელიძე, ანტონ კათალიკოზის სალიტერატურო მოღვაწეობიდან, თბილისი, 1914.
24. გ. გეგელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 3, თბილისი, 1955.
25. გ. გეგელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 6, 1960.
26. გ. გეგელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, 1962, რ. პატარიძე „უძველესი იტალიური ჭვირნიშნიანი ქართული ხელნაწერები“, თბილისი, 1962.
27. ლ. მენაბეგ, ძველი ქართული მწერლობის კერძები, წ. 2, თბ. 1980.
28. ო. ლორთქიფანიძე, შრომები, ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში, ტ. I, თბილისი, 2010.
29. შ. ინგოროვება, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბილისი, 1963.
30. შ. კოჭიშვილი, მოგზაურობა წმიდა ქალაქს იერუსალიმსა და წმიდა ათონის მთაზედ, ტფილისი, 1901.
31. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი გამოსცა, გამოკვლეება და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.
32. ს. ეაუხებიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ.2, თბილისი, 1959.
33. ს. ეუბანეეშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, წ. 1, თბილისი, 1946.
34. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა

- და ლექსიკონი და სამიებელი დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ. 1956.
35. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბილისი, 1955.
  36. ქრისტიანული არქეოლოგიის VI სამეცნიერო კონფერენცია, ქვეშედიცია წმიდა მიწაზე, თბილისი, 2002.
  37. შ. ნუცუბიძე, კრიტიკული ნარკვენები, თბილისი, 1956.
  38. შ. ნუცუბიძე, შრომები, ტ. 5, თბილისი, 1975.
  39. შ. ხიდაშელი, ურნალი “ცისკარი”, 1969, №4.
  40. ც. ინწყირველი, ქრისტეს დიდმშვენიერი დიდება, თბილისი, 2000.
  41. ცხოვრება ზეტრე იბერისა, ასურული რედაქცია, გერმანულიდან თარგმნა, გამოკვლევა, კომენტარები და განმარტებითი სამიებელი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1988.
  42. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV. სვინაქსარული რედაქციები XI-XII სს. გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, 1968.
  43. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები „ცხოვრება“ და მოქალაქობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ზეტრე ქართველისა, რომელი იეთ მე ქართველთა მეფისაი“, წიგნი 2, თბილისი, 1967, ი. აბულაძის რედაქციით.
  44. წმინდანთა ცხოვრება, წიგნი I, II, შემდგენელი დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, თბილისი, 2003.
  45. C. B. Horn, Asceticism and Christological Controversy in Fifth - Century Palestine, The Career of Peter the Iberian. Oxford University Press, 2006.
  46. John Rufus, The Lives of Peter the Iberian, Theodosius of Jerusalem, and the Monk Romanus. Edited and Translated with an introduction and notes by Cornelia B. Horn and Robert R. Phenix Jr.
  47. Lang, David Marshall., Lives and Legends of the Gerogian Saints, London, 1956.
  48. The Syriac Chronicle known as that of Zachariah of Mitylene translated into English by F.I. Hamilton and E.W. Brooks.
  49. Памятники Синай археологические и палеографические, вып. 1, под редакцией Б. Н. Бенешевича, Ленинград 1925, табл. 22, 23.

## სარჩევი

წინასიტყვაობა	7
იქრუსალიმის ჯვრის მონასტერი	27
უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან	37
ამბავი ერთი პეტრიწონული ხელნაწერისა (1300-1340)	44
ზაქარია ოიტორი (V ს.) – პეტრე იბერის მრწამსის შესახებ	50
პეტრე იბერის დღემდე უცნობი მინიატურები ქართულ-ბერძნული ხელნაწერიდან (XIV-XV სს.) (ხელნაწერს მართლმადიდებელ სამეაროში ანალოგი არ ეძებნება)	53
ცხოვრება და მოლვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელიც იუო ძე ქართველთა მეფისა	57
საგალობლები	100
ლიტერატურა	124

„ცხოვრება და მოღვაწეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა ზეტრე ქართველისა“, რომლის ავტორია მისი მოწაფე ჭავარია ქართველი, ახალ სალიტერატურო ენაზე გადაიტანა, მასალები მოიძია, წინასიტუაცია დაურთო და გამოსცა ანა აბულაძემ.

წიგნზე მუშაობის დროს გაწეული დასმარებისთვის ავტორი მაღლობას უხდის აკადემიკოს გურამ თევზამეს, პროფესორ ენრიკო გაბიძაშვილს, პროფესორ მიხეილ ქავთარიას, პროფესორ მედეა წოწელიას, პროფესორ მარიამ ჩახიძაასას, პროფესორ თინიკო დოლიძეს, ღოქტორ გიორგი მარსაგიშვილს, ღოქტორ ნანა ბურჟულაძეს, ღოქტორ ნუგზარ ჩატუაშვილს, ნანა ზაქროშვილს, თინათინ-ასმათი ფანცხავას, გურანდა მეტრეველს, აზა ბენიძეს, თამარ მჭედლიშვილს, ნუნუ ჯაფარიძეს, ლუიზა ჯაფარიძეს, ნონა ენუქიძეს, იზო ქავთარაძესა და ნანა შალამბერიძეს.

კომპიუტერული მომსახურება : მარიამ უაშეიშვილი  
დაკაბადონება: ელზა აფაქიძე